ნათელაშვილის "ნათელი" პარტიული სახეები A2
ქართველებმა ღირსეული ადგილი სამშობლოში უნდა იპოვონ A8
სპეცსამსახურები B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 27 თებერვალი, 2004 წელი. №48 (597)
ფასი 50 თეთრი

# პარტიული სია
## სამთა ერთობას საფრთხეს უქმნის

*გუშინდელმა დღემ, ფაქტობრივად, სააშკარაოზე გამოიტანა ის დაპირისპირება, რომელიც უკვე კარგა ხანია, "რევოლუციურ სამეულში" არსებობდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამჯერად ღიად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. საარჩევნო სიებზე მუშაობამ დაადასტურა ის ეჭვი, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ გამოითქვა და მოვლენების სწორედ ასეთ განვითარებას შეეხებოდა.*

თამარ მჭედლიშვილი

ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძეს შორის ურთიერთობები, განსაკუთრებით, ბოლო სამი დღის მანძილზე დაიძაბა. დაუსრულებელმა და, ფაქტობრივად, უშედეგო კონსულტაციებმა ერთიან სიას რეალური საფრთხე შეუქმნა. თანაც, ვითარებას ისიც ძაბავდა, რომ "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" სიის წარდგენამდე ერთი დღით ადრე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკუთარი პარტიის რეგისტრაციის გაუქმება მოსთხოვეს. ასე რომ, მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლა თავისთავად მოასწავებდა საკმაოდ დიდ პრობლემებს როგორც ზურაბ ჟვანიასათვის, ასევე პარლამენტის თავმჯდომარისთვის.

იმის გამო, რომ მოლაპარაკებების პერიპეტიები ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და პოლიტიკური ლიდერები მედიის წინაშე მხოლოდ ზოგად კომენტარს აკეთებდნენ (ხანდახან კი, ტელეკამერებს და დიქტოფონებს ემალებოდნენ კიდეც), მოვლენების განვითარების შესახებ მხოლოდ კულუარული ვერსიები ვრცელდებოდა. თუმცა, ერთი რამ ისედაც ცხადი იყო –კონსულტაციებიდან გამოსულ პოლიტიკოსებს აშკარად ეტყობოდათ, რომ შეთანხმებამდე ჯერ კიდევ შორი იყო.

კონსულტაციები იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ის ადამიანებიც კი, რომელთაც ხელისუფლების გაერთიანებულ სიაში მოხვედრის გარანტია ჰქონდათ, აქეთ ეკითხებოდნენ ჟურნალისტებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს, იყვნენ თუ არა პარტიულ სიაში (აქვე დავძენთ, რომ მათი სახელები საზოგადოებისთვის ნამდვილად არ არის უცხო და ისინი პოლიტიკური ელიტის მიღმა არასდროს მოიაზრებოდნენ).

ასე რომ, სრული კონფიდენციალურობის პირობებში, მედიას მხოლოდ კულუარული ინფორმაციებით უხდებოდა გარკვეული დასკვნებისა და ანალიზის გაკეთება. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ვერსიის თანახმად, ჯერ კიდევ გუშინ არსებობდა მეორე, ე.წ. სათადარიგო პარტიული სია, რომელიც მთლიანად "ნაციონალური მოძრაობის" მიერ იყო დაკომპლექტებული. ეს სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მაშინ შევიდოდა, თუკი ჟვანია და ბურჯანაძე საერთო ენას ვერ გამონახავდნენ.

თუმცა, ეს "საერთო ენა" მაინც გამოიძებნა. სხვა საქმეა, რამდენად კმაყოფილი დარჩა ამით პარლამენტის თავმჯდომარე. მისი გუშინდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, იგი საკმაოდ გაღიზიანებულია, რადგან კვოტები მის სასარგებლოდ არ გადანაწილებულა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მიხეილ სააკაშვილი:
# "აფხაზეთის დაბრუნება ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია"

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის მთავარი თემა აფხაზეთის კონფლიქტი და მისი მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხი იყო. საქართველოს პრეზიდენტის პოზიციით საერთაშორისო თანამეგობრობა განსაკუთრებით დაინტერესდა. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი აფასებს პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომას და ხაზგასმით მიუთითა რუსეთის განსაკუთრებულ როლზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მისი თქმით, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან ხანგრძლივი შეხვედრისა და მსჯელობის შემდეგ, ფაქტობრივად, გაურკვეველი აღარაფერი დარჩა.

საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება, რომელიც თავს არიდებს ქართულ მხარესთან კონსტრუქციულ დიალოგს. როგორც მან თქვა, მსოფლიომ უნდა გააცნობიეროს, თუ რამდენად აუცილებელია დევნილი ქართველების დასაბრუნებლად სწორი გადაწყვეტილებების მიღება და თანამშრომლობის კიდევ უფრო გააქტიურება, რათა აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს. მათ კი, ვინც ქართველებსა და აფხაზებს ამაში ხელს შეუშლის, პასუხი უნდა აგონ საქართველოს კანონმდებლობით. მიხეილ სააკაშვილმა, გაეროს უშიშროების საბჭოზე გამოსვლისას, კატეგორიული ტონით განაცხადა: "არ მოვითმენთ, ქართველებს საკუთარ სახლებში არ უშვებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები არიან. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას არ დავუშვებთ."

მან კიდევ ერთხელ მოუწოდა მსოფლიოს, დაეხმაროს საქართველოს.

პრეზიდენტი სააკაშვილი ადასტურებს, რომ გულწრფელად სურს რუსეთთან მეგობრობა, მაგრამ, ამავე დროს, ოფიციალური მოსკოვისა და პრეზიდენტი პუტინისაგან აფხაზეთთან მიმართებაში მთელი რიგი მიდგომების შეცვლას მოითხოვს. მიხეილ სააკაშვილს გაეროს იმედი აქვს, მაგრამ მიაჩნია, რომ მთავარი საკითხები თავად საქართველოს გადასაწყვეტია.

გაგრძელება A8 გვერდზე

## პოლიტიკა
### საარჩევნო სუბიექტთა მიერ ცესკო-ში წარდგენილი სიები
A3-A6

## ეკონომიკა
### ერთი ნაბიჯი ფულის გათეთრების წინააღმდეგ

ყველამ ყოველთვის იცოდა, რომ ქართველი ჩინოვნიკებისა თუ საქმოსნების ქონების მნიშვნელოვანი, სოლიდური ნაწილი წლების განმავლობაში უსაფრთხოდ ინახება და მრავლდება უცხოეთის ბანკებში. ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ქართული პოლიტიკური და ბიზნესელიტა თავის უკანონო შემოსავლებს საქართველოდან შორს, მის საზღვრებს გარეთ მალავდა.
A4

## უცხოეთი
### მაკედონიის პრეზიდენტი ავიაკატასტროფაში დაიღუპა

გუშინ, თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად, მაკედონიის პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი დაიღუპა. ოფიციალური წყაროების განცხადებით, ავიაკატასტროფა ბოსნიის სამხრეთში, სტოლაჩის მთიან რაიონში მოხდა.
A5

## საზოგადოება
### მსოფლიო, მსოფლიო ზნეობა და ჩვენ

ისრაელისა და პალესტინის კრიზისი, 1992-1999 წლების ბალკანეთის ომი, უსამა ბინ ლადენი, ეკლესიების სურვილი, ჩაერთონ და უფრო მეტიც, წარმართონ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, აშკარად ცხადყოფს, რომ რელიგიებს თანამედროვე ცხოვრების წესის განსაზღვრაში ჯერ კიდევ დიდი როლი აქვთ.
A6

## სამართალი
### "პოლიციური კვირეული" გაიხსნა

გენერალური პროკურორის მიერ გამოცხადებული მორიგი "სადამსჯელო რაუნდი" – პოლიციური კვირა, რომელმაც ძალიან ბევრ სამხრეებიანს სიმშვიდე დაუფრთხო, ერთთვიანი დაგვიანების შემდეგ, გუშინ დაიწყო.
A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 16 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 15 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 14 |
| ზუგდიდი | 17 |
| გორი | 12 |
| ახმეტა | 14 |
| ჭიათურა | 13 |
| გაგრა | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0350 |
| ევრო | 2.5310 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7949 |
| რუბლი | 0.0714 |

## მათიას იორში: "თქვენ ახლა ძალიან რთული პერიოდის წინაშე დგახართ"

ხელისუფლებას საზოგადოების იმხელა ნდობა აქვს, რომ შეეძლო, არ წასულიყო ასეთ რისკზე

თამარ ხორბალაძე

*ევროსაბჭოს წინასაარჩევნო დამკვირვებელთა მისია მათიას იორშის ხელმძღვანელობით საქართველოში სამშაბათს, საღამოს ჩამოვიდა. მათიას იორშმა პირველივე კომენტარით იმის თაობაზე, რომ "შოკშია რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო", შოკში ჩააგდო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და გარკვეული კოზირები მისცა ოპოზიციას. უკვე გუშინ მათიას იორში ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ არ ახსოვს, იხმარა თუ არა საუბარში სიტყვა "შოკი", თუმცა სიტუაციით შეშფოთებულია. "24 საათის" ინტერვიუ ბატონ იორშთან პრესასა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ შედგა - ხელისუფლებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრამდე.*

გაგრძელება B1 გვერდზე


*მათიას იორში ერთ-ერთი შეხვედრისას.*

## როტრაუტ სკაჩე-დეპიში: "ფერო შევარდნაძეების ინტერესებისგან სუფთაა"

*როგორც გუშინ DCM DECOmetal-ის მმართველმა დირექტორმა, კომპანიის დამფუძნებლის ქალიშვილმა როტრაუტ სკაჩე-დეპიშმა სასტუმრო "მარიოტში" საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ავსტრიული კომპანია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მხოლოდ აქციათა 51 პროცენტს აკონტროლებს და სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ DCM DECOmetal-ის მეწილეებს შორის "ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის გვარი არ ფიგურირებს". აღნიშნული პრესკონფერენცია ერთ-ერთი მსხვილი ევროპული კომპანიის მფლობელმა ქალბატონმა ზესტაფონში ვიზიტისა და თავისი კომპანიის მიერ კონტროლირებადი ქარხნის დათვალიერების შემდეგ გამართა.*

მაია ურუშაძე

როტრაუტ სკაჩე-დეპიშის საქართველოში ვიზიტი იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დავით მუმლაძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს მოჰყვა. მუმლაძე ღიად საუბრობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში არსებულ შევარდნაძის ოჯახის ბიზნეს-ინტერესებზე. როგორც ავსტრიული საერთაშორისო საოჯახო-სატრასტო კომპანია DCM DECOmetal International Trading Gmbh-ის მეპატრონემ დააზუსტა, მისი ვიზიტის მიზანი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიმდინარე პროცესების შესწავლა, იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დავით მუმლაძის მიერ ქარხნის აქციონერთათვის წაყენებული ბრალდებების განხილვა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ბრიტანული სპეცსამსახურები კოფი ანანის სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ?

ბრიტანეთის მთავრობის ყოფილმა წევრმა გუშინ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურები, ერაყში ომის დაწყებამდე, გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ.

კლერ შორტი, რომელსაც მთავრობაში საერთაშორისო განვითარების მინისტრის თანამდებობა ეკავა, შარშან მაისში პოსტიდან გადადგა. მიზეზად ტონი ბლერთან ერაყის ომის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა დასახელდა.

ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებმა შორტის განცხადების კომენტირებას თავი აარიდეს და აღნიშნეს, რომ ქვეყნის სპეცსამსახურები ყოველთვის კანონის ფარგლებში მოქმედებენ. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა უარი განაცხადა, ჟურნალისტებისათვის შორტის განცხადების თაობაზე ეპასუხა. თუმცა, მან ყოფილი თანამშრომლის ასეთ საქციელს "უპასუხისმგებლო" უწოდა. "მე არ ვაპირებ შევაფასო სპეცსამსახურების მუშაობა.

გაგრძელება A5 გვერდზე


*კოფი ანანი*

## სოხუმი ქართველ მესაზღვრეებს საპასუხო ცეცხლით ემუქრება

აფხაზეთის საზღვაო აკვატორია იარაღისა და ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფნად გამოიყენება

*ჭუბურხინჯის გუშინდელ შეხვედრაზე, როგორც წინა შეხვედრებისას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არსებული ოპერატიული ვითარება აფხაზურმა მხარემ დამაკმაყოფილებლად შეაფასა, რასაც ქართული მხარის პროტესტი მოჰყვა. ქართული მხარე აფხაზთა შეფასებას არ ეთანხმება და რამდენიმე დღის წინ აფხაზური მილიციისა და აფხაზი კრიმინალის ვალმერ ბუთბას რაზმის მიერ გალის ქართულ სოფლებში ერთობლივად ჩატარებულ წმენდა-ეგზეკუციაზე პასუხს ითხოვს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართული მხარის მონაცემებით, აფხაზები ბოლო დღეებში განსაკუთრებული სისასტიკით მოექცნენ სოფელ ოტობაიას მაცხოვრებლებს, საიდანაც რამდენიმე ქართველი მძევლად აიყვანეს. შეგახსენებთ, მსუბუქი და "უაზის" ტიპის ავტომანქანით გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში შეჭრილმა ცნობილი აფხაზი კრიმინალის - ბუთბას შეიარაღებულმა რაზმმა და აფხაზურმა მილიციამ ენგურის სასაზღვრო ზოლში მდებარე თითქმის ყველა სახლი გაჩხრიკა. წასვლისას კი მძევლად აიყვანეს მამა-შვილი - გიგლა და მანუჩარ შენგელიები და ხუფენიების ოჯახის რამდენიმე წევრი.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ვიზიტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სპეცსამსახურები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## რუსული ბაზა დაიცავს აბაშიძეს

კრემლი რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გაჩენილი ნანატრი პოზიტივის დიდი ხნით შენარჩუნებას აპირებს, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ აჭარაში მიმდინარე მოვლენები მოსკოვის გაღიზიანებას აღარ იწვევს. აჭარისა და მის პრორუსულ ლიდერს აღარც რუსული ოფიციოზი ექომაგება და არც კრემლის კაპრიზების შემსრულებელი მედია. დადუმდნენ აბაშიძის მოსკოველი ლობისტებიც: ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ისტერიკით გამორჩეული ბათუმელი ზატულინიც ჩუმადაა და არც მოსკოვის მერს და მის მოადგილეებს სცალიათ აჭარული "ინვესტიციებისათვის".

როგორც ჩანს, სააკაშვილის მოსკოვში ზედმეტად თამამმა განცხადებებმა ამ ბაზის კრიტიკის სურვილიც კი დაუკარგა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ის ჩინოვნიკებიც კი, რომლებიც ყოველმხრივ მფარველობენ აჭარაში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზას, მკვეთრი კრიტიკისაგან თავს იკავებენ.

თუმცა, მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომ ამ ამოსუნთქვას დროებითი ხასიათი აქვს და არჩევნების შემდეგ რუსი ძალოვნები კვლავ მიუბრუნდებიან ტრადიციულ რიტორიკას საქართველოსთან დაკავშირებით. ასეთ სცენარს არ გამორიცხავს ცნობილი რუსი სამხედრო ექსპერტი, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის თანამშრომელი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი.

**- თუკი აჭარაში უმართავი პროცესები დაიწყება, როგორ პოზიციას დაიკავებს რუსეთის სამხედრო ბაზა აჭარაში? ეცდება თუ არა მოსკოვი აბაშიძის რეჟიმის გადარჩენას?**

- ახალქალაქისა და აჭარის ბაზებზე დღეს ფეთქებადსაშიში ვითარებაა, რადგანაც იქ ადგილობრივი მოსახლეობაა დაკავებული და ბაზებს მოსკოვი ნაკლებად აკონტროლებს. დღეს აჭარის სამხედრო ბაზა ავტონომიური მოქმედი პოლიტიკური ერთეულია. თუ მოვლენები დაიძაბება, აჭარელი სამხედროები საკუთარ თავსაც დაიცავენ და იმ ტერიტორიასაც, სადაც ჩვენი ტექნიკაა დისლოცირებული. ჩვენი ბაზა აუცილებლად დაიცავს ასლან აბაშიძესაც. ამიტომ, ჩვენი აზრით, დღეს ვითარება საქართველოში მეტად კრიტიკულია. რუსეთის პოზიცია საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობაა, მაგრამ ხსენებული ბაზების პერსონალის აჭარელი თუ სომეხი ოფიცრების, პროპორციების განწყობას ვერვინ გააკონტროლებს. ამიტომ, თუკი აჭარის სამხედრო ბაზა აბაშიძის რეჟიმს დაიცავს, წამოვა ბრალდებები, რომ მოსკოვი მხარს უჭერს სეპარატისტულ რეჟიმს. შეიძლება მეტად საშიში სიტუაცია, რადგანაც ლოგიკურად წამოვა ბრალდებები აშშ-ს მხრიდანაც, რაც შედეგად მოიტანს იმას, რომ მოსკოვი აშშ-საქართველოს შორის მჭიდრო კონფლიქტში აღმოჩნდება. ამიტომ მოსკოვის გადაწყვეტილება ამოცანაც მიმართია, დაუყოვნებლივ დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების უმტკივნეულოდ გაყვანაზე. ეს პირველ რიგში რუსეთის ინტერესებში შედის.

*რუსუდან ნიკურაძე, საკ. კორ. მოსკოვში*

## ქართველი და ოსი ძალოვანების შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა

გუშინ ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების მთავარ შტაბში ქართველი და ოსი სამართალდამცველების შეხვედრა მოეწყო.

შეხვედრას ესწრებოდნენ შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი სვიატოსლავ ნაბძოროვი, სამშვიდობო ძალების ქართული და ოსური ბატალიონების მეთაურები და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და, სვიატოსლავ ნაბძოროვის გადაწყვეტილებით, მედიის წარმომადგენლებს მასზე დასწრების საშუალება არ მისცეს.

საკითხები, რაზეც ქართველმა და ოსმა ძალოვანებმა იმსჯელეს, გუშინ მთელი დღის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, საგანგებო შეხვედრა ბოლო პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებას უკავშირდებოდა. შეხვედრაზე, სავარაუდოდ, რამდენიმე დღის წინ დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის თანამშრომლების მკვლელობის შესახებაც ისაუბრეს.

ქართული მხარის კატეგორული მოთხოვნის მიუხედავად, ცხინვალელ ძალოვნებს მკვლელობაში ეჭვმიტანილები ჯერ არ დაუკავებიათ. თამარაშენში მომხდარი მკვლელობის გამო მოსახლეობამ რამდენჯერმე გამართა საპროტესტო აქცია და მკვლელების დაკავება-დასჯა მოითხოვა. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული. ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით გამკაცრებულია ძალოვნების კონტროლი.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ქართველ და ოს სამართალდამცველთა საგანგებო შეხვედრა, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, უშედეგოდ დასრულდა.

თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის როლანდ ჩიტაევის განცხადებით, ოსური მხარისთვის დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობა, ჯერჯერობით, ზუსტად ცნობილი არ არის და ამ დროისთვის დაკავებული არავინაა. მისივე თქმით, შესაძლოა, ქართველმა და ოსმა ძალოვანებმა რაიმე შეთანხმებას მორიგ მოლაპარაკებაზე მიაღწიონ. თუმცა, როგორც შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა განაცხადა, ქართველი და ოსი ძალოვანებისთვის თამარაშენში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილთა კონკრეტული გვარები კარგადაა ცნობილი. "დამნაშავეებს თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ამ დრომდე არ დაუტოვებიათ და ისინი ცხინვალს აფარებენ თავს, თუმცა ოსი სამართალდამცველები მათ დასაკავებლად არაფერს აკეთებენ", - აცხადებს ალეკო სუხიტაშვილი.

*24 საათი*

## ნათელაშვილის "ნათელი" პარტიული სახეები



ნათელაშვილი საკუთარი პარტიის სიას სათავეში ჩაუდგება.

*2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ლეიბორისტული პარტიის ავტორიტეტი საგრძნობლად შელახა; ამიტომ მის ლიდერს, წესით, 28 მარტს რაიმე სერიოზული წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ "მტრის ჯინაზე" ნათელაშვილი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოში 40-45-კაციანი გუნდით შევა.*

**"ჩვენი პარტია ხალხის ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა, სარგებლობს და მომავალშიც ისარგებლებს,"** - ვერ გეტყვით, ასეთი ფრაზეოლოგია ლენინის ნაშრომების გულდასმით კითხვის შედეგია, თუ ლენინურად აზროვნების ნიმუში, მაგრამ ის კი ცხადია, რომ შალვა ნათელაშვილს თავი ისევ "რევოლუციამდელ" ეპოქაში ჰგონია. სხვაგვარად წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება 40-45-კაციან დეპუტაციაზე ისაუბრო: 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები რომ დაკანონებულიყო, ლეიბორისტები საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ 20 პარლამენტარით იქნებოდნენ წარმოდგენილნი, ახლა კი, როდესაც მათი "დიდების" აჩრდილიღა დარჩა, ნათელაშვილს, რატომღაც, "მადა" გაუორმაგდა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ის თანამებრძოლები დაასახელა, ვინც მომავალ პარლამენტში ეიმედება. საარჩევნო პარტიულ სიას სათავეში, ცხადია, თავად ნათელაშვილი უდგას. მეორე ნომერია პარტიის საორგანიზაციო მდივანი, პარლამენტარი ფრიდონ ინჯია.

ნათელაშვილის თქმით, საარჩევნო სია სამართალდამცავებს გადაეგზავნებათ და მათ მიერ დეპუტატობის რომელიმე კანდიდატზე კომპრომატების დადასტურების შემთხვევაში, ეს პიროვნება სიიდან იქნება იმოღებული. თუ გავიხსენებთ, რომ ფრიდონ ინჯია, ხშირად საკუთარი ინიციატივითაც კი დაბრძანდება გენერალურ პროკურატურაში, სულაც არ არის გამორიცხული, ლეიბორისტების სიაში უკან მყოფებმა თითო ადგილით წინ წაიწიონ. "ჯერჯერობით" კი, სიაში მესამე "საპრიზო" ადგილზეა სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესთა მექანიკოსი, პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი გელა დანელია.

შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ დღევანდელ პირობებში აქცენტის გადატანა პარტიულ აქტივზეა საჭირო და ამ მიზეზით სიიდან საერთოდ გაქრნენ ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები (გოდერძი ჩოხელი, რევაზ ჩხიკვიშვილი, ეთერ კაკულია), რომლებიც 2 ნოემბრის არჩევნებში წინა პლანზე იყვნენ წამოწეულნი.

სიაში ვერც თბილისის საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქციის წევრები მოხვდნენ, რადგან, ნათელაშვილის მტკიცებით, პარლამენტის წევრობას მათ საკრებულოში დარჩენა ამჯობინეს.

საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიდან სიაში მეექვსე ნომრად არის შეყვანილი ჯონდი ბაღათურია, რომელიც, თურმე, რელიგიის საკითხებში ლეიბორისტული პარტიის კვლევისა და ანალიზის ჯგუფის ხელმძღვანელიც ყოფილა. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ, პარტიის რეგიონულ ელიტასთან ერთად, სიაში მრავლად არიან შალვა ნათელაშვილის... მრჩევლები: მეშვიდე ნომერია პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხებში ელისო ნარსია, მეთხუთმეტეა მრჩეველი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში (!) გულნაზი გულდავა, მეთექვსმეტე - მრჩეველი თავდაცვისა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ომარ ლეკვეიშვილი...

ალბათ, ძნელად წარმოიდგენდით, თუ შალვა ნათელაშვილის მრჩევლების "შტატში" ამჟამინდელი პარლამენტარიც იქნებოდა. არადა, ნამდვილად ასეა: ლეიბორისტების პარტიულ სიაში მეთოთხმეტე ნომერია ნათელაშვილის მრჩეველი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში თეიმურაზ ღოღობერიძე. ეს უკანასკნელი ბოლო დღეებამდე ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრი იყო და ძნელი სათქმელია, მემარჯვენე მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკოსმა როდის და რატომ იწამა მემარცხენე-ლეიბორისტული იდეალები.

რაც შეეხება ლეიბორისტ "ოლიგარქებს": ფრიდონ ინჯიას გარდა, სიის პირველ ათეულში არიან "ანალიზხელსაწყოს" დირექტორი თამაზ ძაგანია (მეხუთე ნომერი) და შპს "თ.ჯ თრეიდის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე (მეათე ნომერი).

შალვა ნათელაშვილის თქმით, მის პარტიას ფინანსური პრობლემები ადრეც ჰქონდა და ახლაც აქვს. ამიტომაც ის საშველად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს უხმობს და მოუწოდებს, ქართველ ლეიბორისტებს "სოროსულ არჩევნებში" წარმატების მიღწევაში დაეხმარონ.

*გიორგი ასანიშვილი*

## ასლან აბაშიძეს ძველი ცოდვები გაუხსენეს

**"ასლან აბაშიძემ თავისი პირველი მოადგილე ნოდარ იმნაძე საკუთარი ტაბელური იარაღით მოკლა,"** - გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს ასლან აბაშიძეს ოპოზიციური გაერთიანება "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლებმა ძველი ცოდვები გაუხსენეს. ნოდარ იმნაძის ქალიშვილმა ნატო იმნაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი მამის მკვლელობის თვითმხილველია.

**"ასლან აბაშიძე ხელისუფლებაში სისხლით მოვიდა და არ მივცემთ საშუალებას, სისხლით წავიდეს,"** - რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი იმასაც ამტკიცებს, რომ აბაშიძე გაღატაკებული ქვეყნის ყველაზე მდიდარი მოქალაქეა. **"ლონდონის აუდიტორული კომპანიის შეფასებით, აბაშიძის მიერ გაყიდული საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი ქონება 350 მილიონ დოლარს შეადგენს,"** - ბერძენიშვილის ინფორმაციით, აბაშიძეს, რომელსაც საეჭვო რეპუტაციის მქონე ბიზნესმენ გარი ლუჩინსკისთან აქვს კავშირები, მოსკოვის გარდა, უზარმაზარ ქონებას ფლობს თურქეთსა და იტალიაში. რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ აბაშიძის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ქვეყნის ძარცვით დაგროვილი მისი ქონება აჭარის მოსახლეობას დაუბრუნდება.

დავით ბერძენიშვილის აზრით, ცენტრსა და რეგიონს შორის ვითარების გამწვავებას აბაშიძე უწყობს ხელს და ამ დაძაბულობის ესკალაციას თავის სასარგებლოდ იყენებს: **"აბაშიძე ცდილობს, ცენტრალურ ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნებში "აღორძინებისთვის" შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის ქვითარი გამოაწერინოს."** "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ "აღორძინება" პარლამენტს გარეთ დარჩება. ამასთანავე, **"თუ აბაშიძე არჩევნებს ტოტალურად გააყალბებს, ასეთ შედეგებს არავინ ცნობს,"** - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე დავით ბერძენიშვილმა.

*24 საათი*

## საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში თანამშრომელთა შერჩევის მიზნით კონკურსი გამოცხადდა

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში, თანამშრომელთა შერჩევის მიზნით, კონკურსი გამოცხადდა. როგორც ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს, კონკურსი მარტში ჩატარდება, ამჯერად კი ტესტირებას "აღმოსავლეთის" რეგიონალური საბაჟოს "წითელი ხიდის", "მტკვრისა" და "ლაგოდეხის" გამშვებ პუნქტებში მუშაობის მსურველები გაივლიან.

კონკურსი ორ ეტაპად - ტესტირებისა და გასაუბრების სახით ჩატარდება. ტესტი, თითოეულ შეკითხვაზე ოთხი სავარაუდო პასუხით, 50 კითხვისაგან შედგება. იგი კონკურსანტმა სამ საათში უნდა შეავსოს. თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში, კანდიდატი 1 ქულას მიიღებს. 35 ქულის დაგროვების შემთხვევაში, ტესტი დადებითად შეფასდება და კანდიდატს უფლება მიეცემა, გასაუბრებაში მიიღოს მონაწილეობა.

გასაუბრებისას კომისია კანდიდატის ან მოხელის პროფესიულ დონეს, მის კომუნიკაბელურობას, ანალიზისა და მართვის უნარს, მონაცემებს შეაფასებს. ამასთან, ის გაითვალისწინებს კანდიდატის განათლებას და სამეცნიერო ხარისხს.

"კომისიის სამდივნო კანდიდატთა განცხადებებისა და დოკუმენტაციის მიღებას, შემოწმებას და შენახვას უზრუნველყოფს. კონკურსში მონაწილე კანდიდატებს დაურიგდებათ ბროშურები, რომლებშიც გამოქვეყნებული იქნება დოკუმენტები და მაგალითისთვის რამდენიმე ტესტი სწორი პასუხებით. სამდივნო განლაგებული იქნება საბაჟო აკადემიის შენობაში, იქვე გაიმართება ტესტირების პროცესი," - განაცხადეს სამინისტროში.

დეტალური ინფორმაცია საკონკურსო ტესტებისა და პირობების შესახებ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

*ინტერ-პრესი*

## დაკავებულ ბათუმელ სტუდენტებს ბრალდება წარუდგინეს

გუშინწინ თბილისში დაკავებული ბათუმელი სტუდენტების - მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძის ადვოკატებისა და ახლობლების ვარაუდი, რომ გამოძიება დაკავებულებს ბრალდებას ვერ წაუყენებდა, არ გამართლდა. დაკავებულებს სამართალდამცველებმა გუშინ იარაღის უკანონოდ ტარებისა და შენახვის ბრალდება წაუყენეს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახურის უფროსის ზაზა მესხის განცხადებით, მიქელაძისა და ჩახვაძისათვის ბათუმში მოძრაობა "კმარას" აქციის დარბევის გამო ბრალის წაყენების საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა, ვინაიდან გამოძიებას ამასთან დაკავშირებით რაიმე მტკიცებულებითი მასალა არ აქვს.

შეგახსენებთ, მიქელაძე და ჩახვაძე 24 თებერვალს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციელებმა დააკავეს. როგორც პოლიციელები ირწმუნებიან, დაკავებულებისაგან "მაკაროვისა" და უცხოური წარმოების პისტოლეტია ამოღებული. მიქელაძისა და ჩახვაძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო დღეს განიხილავს.

*24 საათი*

## კვლავ ვახტანგ ალანიას გადადგომას ითხოვენ

გუშინ დილიდან ფოთის ცენტრში ფართომასშტაბიანი აქცია მიმდინარეობდა, რომელშიც "ბურჯანაძე-დემოკრატების", "ნაციონალური მოძრაობის", "ეროვნულ ძალთა გაერთიანების", "ქრისტიან-კონსერვატორების" წარმომადგენლებთან ერთად სპორტის, კულტურის, განათლების სფეროების მუშაკები და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

მომიტინგეების მთავარი მოთხოვნა იყო ფოთის მერის ვახტანგ ალანიას გადადგომა, რომელიც, მათი განცხადებით, ქალაქში სოციალური პრობლემების მოგვარების ნაცვლად, თბილისში, გენერალურ პროკურატურაში რიგი პოლიტიკური სუბიექტების წინააღმდეგ მაკომპრომიტირებელი მასალების შეტანით არის დაკავებული.

გარდა ამისა, პროფესორ-მასწავლებლების მოთხოვნაა 2004 წლის ბიუჯეტში ჩაიდოს ფოთში არსებული ორი ინსტიტუტის დაფინანსების საკითხი. მათი თქმით, 2004 წლის ბიუჯეტის პროექტიდან ინსტიტუტების დაფინანსება ამოღებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორმა უმაღლესმა სასწავლებელმა ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოს.

*ინტერ-პრესი*

## სტუმრები მაკარონის ქვეყნიდან

*სამგორის რაიონის მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ "სასოებასა" და მთაწმინდის რაიონის უფასო სასადილო "ვიქტორიას" გუშინ იტალიის ელჩი ფაბრიციო რომანო და გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენელი საქართველოში, პიპა რედფორდი ესტუმრნენ. მათ ამ დაწესებულებებს იტალიური ფქვილი და შაქარი გადასცეს.*



იტალიელთა დელეგაცია სამგორის ბავშვთა სახლში.

სამგორის რაიონის მიუსაფარ ბავშვთა სახლში გუშინ იტალიური ფქვილისაგან დამზადებული "ალადინების" სურნელი ტრიალებდა. 59 მოზარდი უცხოელ სტუმრებს საგანგებო ზეიმით შეხვდა. იტალიის ელჩის კითხვას, – იცოდნენ თუ არა რაიმე იტალიის შესახებ, - ბავშვებმა უპასუხეს, რომ იტალიას ისინი ტელესერიალებით და საუკეთესო მაკარონით იცნობენ. რამდენიმე მათგანმა ცნობილი ფეხბურთელების: ტოლდოს, ტოტის და მალდინის გვარებიც გაიხსენა.

სარემონტო შენობა და შეშის ღუმელისგან გამურული კედლები უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის შვილებისთვის ერთადერთი თავშესაფარია. აქ ისეთი ბავშვებიც ცხოვრობენ, რომლებსაც მშობლები საერთოდ არ ჰყავთ. მთავრობა თითო ბავშვის დასაპურებლად დღეში ორ ლარს გამოყოფს. რომ არა გაერო-ს სასურსათო პროგრამის დახმარება, რომელიც ამ დაწესებულებას ფქვილს, შაქარს, ზეთს და ლობიოს უსასყიდლოდ გადასცემს, ბავშვების ნორმალური კვება შეუძლებელი იქნებოდა. ბუნებრივი აირის შენობაში შეყვანას დიდი ძალისხმევა აღარ სჭირდება, რადგანაც მილები შენობამდეა მიყვანილი; თუმცა, ეს პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება.

იტალიელი სტუმრები პატარებს იმ საუკეთესო მაკარონს დაჰპირდნენ, რომელიც მათ ინატრეს და ხშირი სტუმრობაც აღუთქვეს, რის შემდეგაც მათ მთაწმინდის უფასო სასადილო "ვიქტორიას" მიაშურეს.

**"მე, გენაცვალე, მთავარი მხატვარი ვარ. ეს სასახელო პედაგოგია. გაჭირვებულმა ცხოვრებამ მოიტანა, რომ დღეს ამ სასადილოში დავდივართ და ისე ვირჩენთ თავს, თუ არა, ერთ დროს, კარგად ვცხოვრობდით, ბატონო!"** – ამ სიტყვებით შეეგებნენ უცხოელ სტუმრებს სასადილოს წინ მოგროვილი პენსიონრები, რომლებიც, თითქოს, თავის გამართლებას ცდილობდნენ.

უფასო სასადილო "ვიქტორია" დილის 12 საათიდან 15 საათამდე მუშაობს და 300 ადამიანს ემსახურება. პენსიონრები სასადილოს ხშირი სტუმრები არიან. იტალიური ფქვილის ტომრები, რომელებიც ამ დაწესებულებას რამდენიმე დღის წინათ გადასცეს, შენობის ერთ კუთხეში იყო მიწყობილი. მისი გემო პენსიონრებს ჯერ არ გაუსინჯავთ.

გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP) მსოფლიოს უდიდესი ჰუმანიტარული სააგენტოა. იგი საქართველოში სამწლიან ოპერაციას ახორციელებს, რომელიც 2003 წლის 1 ივლისს დაიწყო და 2006 წლის ივლისამდე 50,500 ტონა სურსათის 200,000-ზე მეტი ბენეფიციარისათვის განაწილებას ითვალისწინებს. იტალიის მთავრობის მიერ WFP-სთვის გადაცემული ერთი მილიონი ევრო ხორბლის ფქვილისა და შაქრის შესაძენად გამოიყენეს. **"ეს მხარდაჭერა იტალიის მთავრობის პასუხია საქართველოს მთავრობის მიერ ეუთო-ს მაასტრიჰტის სამიტზე გაკეთებულ განცხადებაზე. ამით გამოვხატეთ ჩვენი სურვილი, მხარში ამოვდგომოდით საქართველოს ახალი კურსის განხორციელებაში, "** – აღნიშნა იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ.

*თამარ დვალი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" საპარლამენტო წარმომადგენლობამ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს. დეპუტატები სამართალდამცველთა უკანონო ქმედებას უწოდებენ ბათუმელი სტუდენტების დაკავებას. "აღორძინების" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება სამართალდამცველთა უკანონო ქმედებებში უნდა ჩაერიოს და დაკავებული სტუდენტები დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტს საკმაოდ წარმატებულს უწოდებს და აცხადებს, რომ "მემარჯვენეებისთვის" საქართველო-ამერიკის ურთიერთობები ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი პოლიტიკურ საქმიანობას პასიურ ფაზაში გააგრძელებს. იგი რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანებასა და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს, რადგან მისთვის "ასეთ პარლამენტში ყოფნა სამარცხვინოა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციით, 25 თებერვალს ცენტრალური ბიუჯეტიდან 7.563 მილიონი ლარის ხარჯი დაფინანსდა. აქედან 4 მილიონი ლარი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დაფინანსებისთვის მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მუშაკთა პროფკავშირის რამდენიმე წევრი, რომლებიც მარნეულის, თეთრიწყაროს და გარდაბნის რაიონებში მუშაობდნენ, ადმინისტრაციამ სამსახურიდან დაითხოვა, მათ ერთ კვირაში უკან დაბრუნებას დაჰპირდა, გათავისუფლების მოტივად კი ტექნიკის უკმარისობა დაასახელა. მუშები ამ ფაქტს პროფკავშირებში თავის აქტიურობას უკავშირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბითუმო ბაზრის აღმასრულებელმა საბჭომ, სექტორში აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, თანხების განაწილების მოდელში თვიურად 25 ათასი ლარი გაითვალისწინა. თანხა ენერგოობიექტების საკვანძო წერტილებში საბითუმო მრიცხველის დამონტაჟებას მოხმარდება. მრიცხველები უკვე დამონტაჟებულია "ვარციხეჰესსა" და ფოთის პორტში, მონტაჟდება "აზოტში", "გუმათჰესსა" და "რიონჰესში", 28 თებერვალს კი ენგურჰესზე დამონტაჟდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ საქართველოს ჰუმანიტარული პროგრამებისთვის და დემოკრატიის მშენებლობისთვის 116 მილიონ დოლარს გამოუყოფს. ასეთი ოდენობის დახმარება აშშ-ს პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთი ქვეყნისთვის არ გაუწევია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის ბრძანებულებით, რეგიონული საბაჟო "ენერგეტიკა" გაუქმდა. ფინანსთა სამინისტრომ საბაჟო დეპარტამენტის დებულებასა და სხვა სამართლებრივ აქტებში შესატანი ცვლილებები ორ კვირაში უნდა მოამზადოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის სალიკვიდაციოდ ახალი კომისია შექმნა. ფონდის ლიკვიდაცია უკვე რვა წელია, მიმდინარეობს. კომისია მომავალ კვირას შეიკრიბება. **ინტერ-პრესი**

**საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება**
**სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე**
**გაყიდვის თაობაზე**

2004 წლის 4 მარტს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 25.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 9 სექტემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 4 მარტის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პარტიული სია სამთა ერთობას საფრთხეს უქმნის

პირველი გვერდიდან

ამ ფაქტმა ბურჯანაძე იძულებული გახადა, განეცხადებინა, რომ იგი აღშფოთებულია, რადგან საკუთარი გუნდის წევრები კულუარული ინტრიგების გამო დაუპირისპირდნენ. მართალია, პარლამენტის თავმჯდომარემ "ინტრიგების ავტორის" დასახელებისგან "თავი შეიკავა", მაგრამ, ამის მიუხედავად, პირდაპირი მინიშნება მაინც გააკეთა და თითი პრემიერ-მინისტრისკენ გაიშვირა.

თავის მხრივ, არანაკლებ მკვეთრ განცხადებებს აკეთებდნენ "გაერთიანებული დემოკრატები". მიხეილ მაჭავარიანის თქმით, კომპრომისებზე უარის თქმით, ბურჯანაძე "დემოკრატებს" აშანტაჟებდა. პრემიერ-მინისტრი კი აცხადებდა, რომ საარჩევნო სიების შედგენასთან დაკავშირებით, **"ძალიან დაძაბული სიტუაციაა და კრიზისული ვითარებაა შექმნილი."** ბურჯანაძისთვის მისაღები ადამიანების სიიდან ამოგდებას კი მან ასეთი ახსნა მოუძებნა: **"დემოკრატებისთვისაც" და "ნაციონალებისთვისაც" ძალიან მნიშვნელოვანია, ერთიანობა შეინარჩუნონ. საქმე ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც სიაში შეიძლება ვერ მოხვდნენ და ვის მხრებზეც გადაიარა რევოლუციამ. გამიჭირდება თვალებში შევხედო იმ ადამიანებს, ვინც სრულიად უცნობი ხალხის გამო სიებში ვერ მოხვდებიან და გარეთ დარჩებიან."**

საბოლოოდ კი ე.წ. გამსვლელ სიაში "გაერთიანებული დემოკრატებისა" და ნინო ბურჯანაძის კვოტები ასე გადანაწილდა - პარლამენტის თავმჯდომარეს - 16 ადგილი, ხოლო "დემოკრატებს" - 26 ადგილი.

საღამოს ექვს საათამდე ზუსტად სამი წუთით ადრე "დემოკრატ" ვასილ მაღლაფერიძეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჟვანიას გუნდის მიერ "დამუშავებული" სია მიაქვს. ჩვენი ინფორმაციით, "დემოკრატებმა" მხოლოდ საქმის კურსში ჩააყენეს ნინო ბურჯანაძე და მასთან არანაირი დამატებითი კონსულტაციები აღარ გამართეს. ანუ, პარტიული სია საკუთარი შეხედულებისამებრ დააკომპლექტეს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ცესკო-ში მაღლაფერიძის მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე "ნაციონალი" დიმიტრი ქიტოშვილი გამოჩნდა. კულუარული ინფორმაციით, იგი უკვე აპირებდა ცესკო-ში პარტიული სიის ე.წ. სათადარიგო ვარიანტი შეეტანა, რადგან "დემოკრატები" აშკარად აგვიანებდნენ.

ასეა თუ ისე, სია შედგა, ხოლო სამთა ერთობას, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ბზარი გაუჩნდა. იმის მიუხედავად, რომ საღამოს ჟვანიას გუნდის წარმომადგენლები ნინო ბურჯანაძეს დაუტკბნენ, თავად ბურჯანაძეს "დემოკრატებისაკენ" გული აღარ მობრუნებია. მეტიც – მისი თქმით, არ არის გამორიცხული, მან მომავალ პარლამენტში თავმჯდომარის სავარძელზე უარი განაცხადოს.

ამ ფონზე კი სხვა, მეტ-ნაკლებად ცნობილი პარტიების მოქმედებები საკმაოდ მშვიდი იყო. მათ სრულიად უპრობლემოდ შეიტანეს ცესკო-ში საკუთარი პარტიული სიები. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ორ საარჩევნო ბლოკს – "ახლებს და მრეწველებს" და "ედეპე-ტრადიციონალისტებს" ცესკო სიებს დასამუშავებლად უკან დაუბრუნებს.

გუშინვე საბოლოოდ გაირკვა, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში 19 სუბიექტი მიიღებს მონაწილეობას – 14 პარტია და ხუთი საარჩევნო ბლოკი.

# საარჩევნო სუბიექტთა მიერ ცესკო-ში წარდგენილი სიები

## ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სია

| N | გვარი და სახელი | პარტიულობა |
|---|---|---|
| 1. | ნადირაძე მაია | უპარტიო |
| 2. | შენგელაია ელდარ | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 3. | არველაძე გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 4. | გაბაშვილი კონსტანტინე | უპარტიო |
| 5. | თევდორაძე ელენა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 6. | გოცირიძე რომანი | საქართვე ლოს რესპუბლიკური პარტია |
| 7. | პაპავა ვლადიმერი | უპარტიო |
| 8. | ბერძენიშვილი დავით | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 9. | მაღლაფერიძე ვასილი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 10. | გეგელაშვილი გიორგი | უპარტიო |
| 11. | ჭიპაშვილი ვლადიმერი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12. | სურმანიძე ედვარდი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 13. | ბეჟაშვილი ლევანი | უპარტიო |
| 14. | ხაბაზი კობა | უპარტიო |
| 15. | ტყეშელაშვილი დავითი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 16. | ბერიძე კონსტანტინე | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 17. | გოგორიშვილი ხათუნა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 18. | ხუხუნაიშვილი ვანო | უპარტიო |
| 19. | კუსიანი რომანი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 20. | დავითაშვილი ზურაბ | უპარტიო |
| 21. | ვერულაშვილი მარიკა | უპარტიო |
| 22. | ნაცვლიშვილი გია | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 23. | ხევიაშვილი გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 24. | კილაძე ვარლამი | უპარტიო |
| 25. | ბაქრაძე დავით | უპარტიო |
| 26. | კაკალაშვილი გურამი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 27. | ბოკერია გიორგი | უპარტიო |
| 28. | ბერძენიშვილი ლევან | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 29. | ბეგიაშვილი მალხაზ | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 30. | ხაინდრავა ივლიანე | საქართვე ლოს რესპუბლიკური პარტია |
| 31. | მალაშხია შოთა | უპარტიო |
| 32. | კირკიტაძე დავით | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 33. | კალანდაძე ბეჟან | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 34. | ქობალია გრიგოლი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 35. | რაისიანი მელიქ | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 36. | უმბათოვი ალახვერდი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 37. | სამყურაშვილი რატი | უპარტიო |
| 38. | კარდანახიშვილი იოსებ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 39. | გუცაევი ვლადიმერი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 40. | სამადაშვილი სალომე | უპარტიო |
| 41. | შერაზადიშვილი ზაქარია | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 42. | მაღრაძე გუგული | უპარტიო |
| 43. | ჯგუბურია ზურაბი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 44. | ცქიტიშვილი ზურაბი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 45. | მოლოდინი მარინა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 46. | გოგოხია რამინი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 47. | ბუკია გიგა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 48. | ფაფიაშვილი ლალი | უპარტიო |
| 49. | ბეზარაშვილი გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 50. | ბალავაძე ვახტანგი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 51. | გუნავა ბეჟანი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 52. | მხეიძე ლევანი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 53. | კუკავა კახა | პ/გ ეროვნულ ძალთა გაერთ. კონსერვატორები |
| 54. | მინდელი ლაშა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 55. | ხაჩიძე გიორგი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 56. | ნამგალაური დავითი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 57. | კენჭაძე გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 58. | ჯორბენაძე თამაზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 59. | ზურაბიშვილი დავით | უპარტიო |
| 60. | რურუა ნიკოლოზ | უპარტიო |
| 61. | გვენეტაძე შოთა | უპარტიო |
| 62. | მეტრეველი ლევან | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 63. | კუბლაშვილი იაგო | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 64. | გეწაძე კახა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 65. | მენაბდე ლევან | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 66. | მახარაშვილი ქეთევან | უპარტიო |
| 67. | სანებლიძე მამუკა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 68. | მურადხანოვი კამალ | უპარტიო |
| 69. | მაღლაკელიძე ჯაბა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 70. | სააკაშვილი ნიკოლოზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 71. | კალანდაძე ნინო | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 72. | ნანეტაშვილი ბადრი | უპარტიო |
| 73. | კემულარია როლანდი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 74. | თოდრაძე დავითი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 75. | სუხიშვილი კახაბერი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 76. | თორთლაძე გია | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 77. | გოცირიძე მეგი | უპარტიო |
| 78. | დარასელია ლაშა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 79. | კენჭოშვილი ირაკლი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 80. | მეტრეველი პეტრე | უპარტიო |
| 81. | გეგელაშვილი ვლადიმერ | უპარტიო |
| 82. | მენთეშაშვილი მიხეილი | უპარტიო |
| 83. | ნაკაშიძე ნინო | უპარტიო |
| 84. | ტლაშაძე თეო | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 85. | თაბაგარი სანდრო | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 86. | მალანია მიხეილი (ზაზა) | უპარტიო |
| 87. | თოიძე ოთარი | უპარტიო |
| 88. | თევდორაძე გოჩა | უპარტიო |
| 89. | ჩუბინიშვილი ნიკოლოზ | უპარტიო |
| 90. | კობახიძე რომან | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 91. | კუპრავა გოჩა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 92. | დიასამიძე თამაზ | უპარტიო |
| 93. | ჯანაშია რონ | უპარტიო |
| 94. | ჯებაშვილი მანანა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 95. | შენგელია კახა | პ/გ ეროვნულ ძალთა გაერთ. კონსერვატორები |
| 96. | შალამბერიძე ალექსანდრე | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 97. | ბაზღაძე დავით | უპარტიო |
| 98. | ბექაური კობა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 99. | კოვზანაძე ირაკლი | უპარტიო |
| 100. | გვარამია ნიკა | პ/გ ეროვნულ ძალთა გაერთ. კონსერვატორები |
| 101. | მატარაძე გრიგოლი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 102. | ნერგაძე თეიმურაზ | საქართველ ოს რესპუბლიკური პარტია |
| 103. | ქურიძე მურმან | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 104. | ქურდაძე გოჩა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 105. | ხურციძე მერაბ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 106. | ლეჟავა პაატა | უპარტიო |
| 107. | გველუკაშვილი თამაზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 108. | დვალიშვილი კობა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 109. | საბანიძე ნოდარ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 110. | ბაიბურთი ვან | უპარტიო |
| 111. | ქავთარაძე ირაკლი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 112. | შხვაცაბაია ზურაბ | უპარტიო |
| 113. | ფხაკაძე კობა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 114. | დოლიძე ზვიად | უპარტიო |
| 115. | არონია ნაზი | უპარტიო |
| 116. | კვერნაძე ელდარ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 117. | გაჩეჩილაძე მამუკა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 118. | მგალობლიშვილი კონსტანტინე | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 119. | აბულაშვილი ნუგზარი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 120. | ჟვანია არნოლდ | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 121. | ჯოჯუა გრიგოლ | უპარტიო |
| 122. | წულაია გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 123. | გვარამაძე ირაკლი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 124. | ჟორჟოლიანი თეიმურაზი | უპარტიო |
| 125. | ქავთარაძე თამაზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 126. | დუჩიძე ლევანი | უპარტიო |
| 127. | გონგაძე თენგიზ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 128. | გიორგობიანი ვალერი | უპარტიო |
| 129. | ნაცვლიშვილი ნიკოლოზ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 130. | ქურდაძე ირინე | უპარტიო |
| 131. | ცინცაძე ალექსანდრე | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 132. | პატარიძე იგორ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 133. | ბოცვაძე მერაბ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 134. | მგელაძე ნუგზარ | უპარტიო |
| 135. | მიქაძე რევაზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 136. | ნუცუბიძე გია | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 137. | უკლება გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 138. | მხეიძე მამუკა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 139. | ალხაზაშვილი ნიკოლოზ | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 140. | ფირაშვილი რეზო | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 141. | აბულაძე გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 142. | ახვლედიანი გიორგი | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 143. | ჭონიშვილი მამუკა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 144. | დამენია ლაშა | პ/გ „გაერთიანებული დემოკრატები" |
| 145. | ბერიშვილი ერემია | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 146. | მენაბდე ალექსანდრე | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 147. | ნაჭყებია ნიკოლოზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 148. | ზარნაძე ალექსანდრე | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 149. | დათუკიშვილი მარინა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 150. | იმნაძე გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 151. | ზურაბიანი ალბეგ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 152. | ჭუმბურიძე იასონ (ნუკრი) | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 153. | ლარცულიანი სოფიო | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 154. | ახვლედიანი მაია | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 155. | გიგიბერია გულნარა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 156. | აბულაძე ზურაბი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 157. | რევიშვილი ზაზა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 158. | დავლაძე გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 159. | მოსიაშვილი დიმიტრი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 160. | თედორაძე ომარ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 161. | გოგიტიძე ზვიადი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 162. | ვარდანაშვილი გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 163. | ჭოხონელიძე მამუკა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 164. | ჯაბუა გიორგი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 165. | გაზდელიანი ბესიკი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 166. | მახარაშვილი ჯონდო | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 167. | ბიბილაშვილი ზურაბ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 168. | ფურცელაძე ლალი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 169. | ჭანტურია ვახტანგ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 170. | ენუქიძე ირკალი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 171. | ჩხაიძე გოჩა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 172. | ქორიძე ლაშა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 173. | მირზაშვილი ალექსანდრე | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 174. | კოჩობაშვილი ფირუზ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 175. | გოგელია იური | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 176. | სუთიძე კახა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 177. | ენუქიძე გოჩა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 178. | ლებანიძე ნიკოლოზი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 179. | სორდია ირაკლი | უპარტიო |
| 180. | ზირაქაშვილი ქეთევანი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 181. | მდივანი ოთარი | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 182. | ქალდანი ნიკოლოზ | უპარტიო |
| 183. | არეშიძე მაია | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 184. | მანგოშვილი ალექსანდრე | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 185. | არჩუაძე ხათუნა | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 186. | რობაქიძე მიხეილ | პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |

## ახლების საარჩევნო სია

| N | გვარი და სახელი | პარტიულობა |
|---|---|---|
| 1 | გიორგი თოფაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 2 | დავით გამყრელიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 3 | ზურაბ ტყემალაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 4 | ფიქრია ჩიხრაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 5 | კახა გიუაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 6 | ირაკლი იაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 7 | ზურაბ კოსტავა | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 8 | მამუკა კაციტაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 9 | მზია თოთლაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 10 | კონსტანტინე (კოკა) გუნცაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 11 | ვახტანგ ქარსელაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 12 | დავით უჯმაჯურიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 13 | თენგიზ გოგიჩაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 14 | მანანა ნაჭყებია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 15 | გიორგი ცაგარეიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 16 | გიორგი ასათიანი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 17 | თამაზ ყაჭეიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 18 | დავით კერესელიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 19 | ალექსანდრე კურცხელია | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 20 | გიორგი მოსიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 21 | თამაზ ბეჟანიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 22 | სევერიან შენგელია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 23 | რომან რურუა | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 24 | ნუგზარ ბერიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 25 | გივი ბადაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 26 | გიორგი ლაზარაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 27 | ნინელი ფუტკარაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 28 | ნოდარ მუსერიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 29 | სულიკო კერესელიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 30 | დიმიტრი ავალიანი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 31 | ზურაბ ვაშალომიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 32 | ზაზა ჯოხაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 33 | ირაკლი დოლაბერიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 34 | ანზორ თამარაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 35 | აკაკი ძიძიგური | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 36 | იური ელიაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 37 | ირაკლი ჯაში | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 38 | გიორგი კოპაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 39 | გურამ ფირცხალაიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 40 | მამუკა გუჯაბიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 41 | ლამარა ნუცუბიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 42 | ვახტანგ ქიზიყურაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 43 | თემურ რიგიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 44 | ალექსი შავგულიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 45 | თამაზ სადუნიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 46 | დავით წულაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 47 | ფეოხარ პარასკევოვი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 48 | ნუგზარ თინიკაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 49 | მარინა ნანიტაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 50 | კახა ვასაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 51 | მადონა თურმანიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 52 | თამაზ ნაცვლიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 53 | გურამ კუპატაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 54 | იოსებ ბეჟანიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 55 | ცისანა ცოცხალაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 56 | ირაკლი გოგიტიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 57 | ლევან მეიფარიანი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 58 | ამბაკო ჯაფარიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 59 | ციცინო ზაკურაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 59 | გიორგი ლორთქიფანიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 60 | ლევან არჩაია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 61 | პაატა მონიავა | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 62 | მერაბ ჭიქაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 63 | დილარ დგებუაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 64 | თამაზ კაპანაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 65 | გიორგი ქერქაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 66 | შოთა მამსიკაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 67 | ვახტანგ წიკლაური | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 68 | ზურაბ ტაბიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 70 | ლალი ვაჩიბერიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 71 | შოთა ნადირაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 72 | რეზო მღებრიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 73 | როენა ჭელიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 74 | მაია გეგია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 75 | ვახტანგ კიკილაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 76 | თამარ დოლიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 77 | გიორგი ჯანყარაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 78 | ნინო ყიფიანი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 79 | დავით ქორქია | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 80 | ბადრი იოსებაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 81 | კონსტანტინე ჯაფარიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 82 | მარიამ შელეგია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 83 | თამაზ ოთინაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 84 | ირინა ფრუიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 85 | ლალი გვანცელაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 86 | ზურაბ კანდელაკი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 87 | ჯემალ ახმეტელი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 88 | ბიკენტი (ბუბა) დვალი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 89 | იუზა კელენჯერიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 90 | ირაკლი კაკულია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 91 | ზაზა ცხოიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 92 | მარინა ლაფაჩიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 93 | ელგუჯა გაგნიძე | უპარტიო |
| 94 | მალხაზ მჭედლიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 95 | ალექსანდრე კანდელაკი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 96 | კობა მოდებაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 97 | გიორგი ომანაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 98 | იოსებ ივანაური | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 99 | გიორგი ბურდილაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 100 | ვანო ხომერიკი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 101 | გიორგი ოდიკაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 102 | პავლე კიკალიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 103 | გელა ქუშაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 104 | ტარიელ კაცაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები (ახლები)" |
| 105 | დავით კვიტაიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 106 | მანანა კვარაცხელია | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 107 | გელა გელაშვილი | "უმუშევართა ერთობა" |
| 108 | ილია ყუფარაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 109 | მარინა წულუკიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 110 | დავით სიხარულიძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 111 | ფირუზ ციხელაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 112 | ნიკოლოზ მაჭავარიანი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 113 | გურამ მაზანაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 114 | ტრისტან ახვლედიანი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 115 | ამირან ბიძინაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 116 | ალფეზ ჯიბლაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 117 | ამირან დვალიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 118 | ამირან სოფრომაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 119 | როლანდ უგრეხელიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 120 | ლევან ხმიადაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 121 | ვლადიმერ გაწერელია | უპარტიო |
| 122 | ბესარიონ მღვდელაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 123 | ნესტორ ნოზაძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 124 | თემურ გორგაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 125 | სოსო აბაშიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 126 | ინგა პაქსაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 127 | როლანდ ნაჭყებია | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 128 | თინათინ მჟავანაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 129 | ნუგზარ კობახიძე | უპარტიო |
| 130 | კობა წენგუაშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 131 | რუსლან ინაიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 132 | ინგა ფეიქრიშვილი | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 133 | რუსუდან სურმავა | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 134 | მამუკა ჯაში | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 135 | ზურაბ მემარნიშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 136 | ელგუჯა გოგმაჩაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 137 | როლანდ მანდარია | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 138 | თეა კენჭაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 139 | ასმათ თხინვალელი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 140 | გენრიეტა მუმლაძე | პ/გ "ახალი მემარჯვენეები" |
| 141 | მერაბ ჭუნიაშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 142 | ქეთევან რობაქიძე | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |
| 143 | ნუგზარ ხოროშვილი | "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" |

## ტრადიციონალისტების საარჩევნო სია

| N | გვარი და სახელი | პარტიულობა |
|---|---|---|
| 1. | ასათიანი აკაკი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 2. | ქადაგიშვილი ირაკლი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 3. | სანიკიძე გუბაზი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 4. | ბაგრატიონი ლია | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 5. | ქარდავა ბაჩუკი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 6. | მელაშვილი ირაკლი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 7. | ლიპარტია უტა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 8. | ჭიჭინაძე დავითი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 9. | ქაიხოსროშვილი გივი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 10. | ლოლაძე ანდრო | უპარტიო |
| 11. | გოგნიაშვილი გიორგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 12. | ხმელიძე გიორგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 13. | ხოკერაშვილი გიორგი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 14. | შუკაკიძე დავითი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 15. | ჯეჯელავა ლელა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 16. | ჯიქია კახა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 17. | ქანთარია მიხეილი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 18. | შელია გურამი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 19. | დანელია მერაბი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 20. | ფურცელაძე აბესალომი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 21. | სულეიმანოვი ნარიმანი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 22. | ადეიშვილი ზაზა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 23. | ნაჭყებია რევაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 24. | მენაბდე გიორგი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 25. | მაყაშვილი თამაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 26. | პაპუაშვილი გრიგოლი (გია) | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 27. | წინწკალაძე სოსო | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 28. | შარაბიძე გიორგი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 29. | ფიჩხაია თეიმურაზი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 30. | საყვარელიძე გიორგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 31. | ცინცაძე დავითი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 32. | ოსმანოვი ვალი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 33. | ქორიძე თეიმურაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 34. | ბურჭულაძე დავითი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 35. | ნინიძე გაბრიელი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 36. | სანადირაძე გურამი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 37. | დვალი ნატალია | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 38. | ჭანტურია ხვიჩა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 39. | უგრეხელიძე შალვა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 40. | ჩადუნელი თეა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 41. | ბეგაძე ეკატერინე | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 42. | გაბრიჩიძე ლევანი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 43. | მაქაცარია მამუკა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 44. | ჟორჟოლიანი მიხეილი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 45. | იმერლიშვილი რომან | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 46. | შარაბიძე ჯუმბერი | პარტიო |
| 47. | კოდუა კახაბერი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 48. | შინდაგორიძე ეკატერინე | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 49. | გოცაძე ბადრი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 50. | ურუშაძე გიორგი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 51. | ყარყარაშვილი ნინო | უპარტიო |
| 52. | ყაფლანიშვილი კახაბერი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 53. | ლომინაძე ეკატერინე | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 54. | განერელია ირაკლი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 55. | როგავა გრიგოლი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 56. | კელაპტრიშვილი კახი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 57. | გურგენიძე ციცინო | უპარტიო |
| 58. | საღარაძე დალი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 59. | ჭელიძე ვალერი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 60. | ჯვარშეიშვილი ნანა | ეროვნულ-დემოკრატილი პარტია |
| 61. | მამალაძე ოლეგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 62. | ლებანიძე ნათია | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 63. | სუხიაშვილი გიორგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 64. | ლომიძე ვასილი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 65. | თურქაძე გიორგი | უპარტიო |
| 66. | გოგოლაშვილი ინგა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 67. | ბანეთიშვილი ეთერი | უპარტიო |
| 68. | მილორავა რამინი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 69. | ინდუაშვილი ჯონდო | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 70. | თამაზაშვილი დავითი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 71. | დასნი თეიმურაზი | ქართველ ტრადიციონალისთა კავშირი |
| 72. | სარიშვილი გიორგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 73. | ჯამასპიშვილი გიორგი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 74. | სამხარაძე ნუგზარი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 75. | ციხისთავი დიანა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 76. | რუსიშვილი თეიმურაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 77. | ლობჟანიძე ალექსი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 78. | მაღრაძე ლალი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 79. | მაისურაძე მანანა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 80. | ლეჟავა აკაკი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 81. | კაციტაძე მალხაზი | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 82. | მათიაშვილი რუსუდანი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 83. | აირევა ოფელია | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 84. | თანდაშვილი ქეთინო | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 85. | ღონღაძე კახა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 86. | ტალახაძე დავითი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 87. | მაყაშვილი ზაბალე | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 88. | მიქაუტაძე ჯიმშერი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 89. | რამიშვილი თინა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 90. | კვიატკოვსკი თეა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 91. | მესხი ნინო | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 92. | ცხვარიაშვილი გია | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 93. | ჯანელიძე თამარი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 94. | ქუთათელაძე ირმა | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 95. | ჩხეიძე ლევანი | ქრისტიან-დემოკრატიული პარტია |
| 96. | ობოლაძე ანა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 97. | კიბაბიძე დავითი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 98. | კიკაბიძე სოსო | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 99. | ბერიძე ლიანა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 100. | მაჭავარიანი თამარი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 101. | კანანაძე პაატა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 102. | ნოზაძე შორენა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 103. | კვესელავა თამაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 104. | სამხარაძე ნანა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 105. | ვაჭარაძე გიორგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 106. | კვაჩიძე ოლეგი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 107. | დეკანოიძე ილია | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 108. | ანდრიაძე ნინო | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 109. | აფციაური გია | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 110. | ბერიშვილი ტარიელი | უპარტიო |
| 111. | ციმაკურიძე ივანე | უპარტიო |
| 112. | კოხრეიძე მალხაზი | უპარტიო |
| 113. | კუპრავა თეიმურაზი | უპარტიო |
| 114. | პაპიაშვილი ზურაბი | უპარტიო |
| 115. | ზუკაკიშვილი ლეილა | პარტიო |
| 116. | აროშიძე ზაზა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 117. | გოგიძე ზურაბი | უპარტიო |
| 118. | ოქროპირიძე შოთა | უპარტიო |
| 119. | აროშიძე თენგიზი | უპარტიო |
| 120. | მოდებაძე მამუკა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 121. | ჭულუხაძე გოჩა | ქართველ-ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 122. | გოგორელიანი შალვა | უპარტიო |
| 123. | იობაძე ნაირა | უპარტიო |
| 124. | ალავერდოვი ვლადიმერ | ქართველ-ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 125. | აბაშიძე პაატა | ქართველ-ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 126. | პაპიაშვილი თინათინ | უპარტიო |
| 127. | გოგავა ზაალი | უპარტიო |
| 128. | ტერუნაშვილი გიორგი | უპარტიო |
| 129. | ნავროზაშვილი თამაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 130. | მენოგნიშვილი თეიმურაზი | უპარტიო |
| 131. | პატარიძე მარინე | უპარტიო |
| 132. | გელბახიანი მზია | უპარტიო |
| 133. | იმერლიშვილი დალი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 134. | კიკვაძე გიორგი | უპარტიო |
| 135. | ჯიოშვილი მაია | უპარტიო |
| 136. | ბოჯოლიანი კარაპეტ | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 137. | გოგიჩაიშვილი ლავრენტი | უპარტიო |
| 138. | იოსელიანი თეა | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 139. | შეყლაშვილი გივი | უპარტიო |
| 140. | ლალიაშვილი ლიანა | უპარტიო |
| 141. | კვიტაიშვილი ზურაბი | უპარტიო |
| 142. | ჭინჭარაძე თამარი | უპარტიო |
| 143. | ფურცხვანიძე მანანა | უპარტიო |
| 144. | მაზმანოვა ჯულიეტა | უპარტიო |
| 145. | დობორჯგინიძე მზია | უპარტიო |
| 146. | ქევხიშვილი გიორგი | უპარტიო |
| 147. | გაგნიძე ლევანი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 148. | კლაჯეიშვილი მალხაზი | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია |
| 149. | ჩხეიძე ამირანი | ქართველ-ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 150. | ქურდაძე ეკა | ქართველ-ტრადიციონალისტთა კავშირი |
| 151. | მონასელიძე მედეია | ქართველ-ტრადიციონალისტთა კავშირი |

გაგრძელება A6 გვერდზე

ქირავდება ქალაქის ცენტრში პრესტიჟულ ადგილას 400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.
საუკეთესოა რესტორნის, ღამის კლუბის ან სხვა გასართობი საქმიანობისათვის.
ქალაქის ცენტრში
400 კვ.მ
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035

29 თებერვლიდან მეცხრე არხზე
სოსო ცისკარიშვილის საავტორო გადაცემა
„საზოგადოება და ხელისუფლება"



კვირა საღამოს ვიმსჯელოთ ერთად
20:30 საათზე, მეცხრე არხზე

# ერთი ნაბიჯი ფულის გათეთრების წინააღმდეგ

*ყველამ ყოველთვის იცოდა, რომ ქართველი ჩინოვნიკებისა თუ საქმოსნების ქონების მნიშვნელოვანი, სოლიდური ნაწილი წლების განმავლობაში უსაფრთხოდ ინახება და მრავლდება უცხოეთის ბანკებში. ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ქართული პოლიტიკური და ბიზნესელიტა თავის უკანონო შემოსავლებს საქართველოდან შორს, მის საზღვრებს გარეთ მალავდა.*

ნინო ნარჩემაშვილი
ანა ბახარია

პარლამენტის 1999 წლის მოწვევის ბოლო სხდომის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა კანონში "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ". უფრო კონკრეტულად კი, მოხდა ევროპულ კანონებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა. დასრულდა, დაახლოებით, წელიწადნახევრიანი მსჯელობა იმის შესახებ, სჭირდებოდა თუ არა საქართველოს შავი ფულის კანონიერი გათეთრება. პირველი დარტყმა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე, რომელზეც საქართველოს ყოფილი ხელისუფლება იძულებული გახდა, რეაგირება გაეკეთებინა, ევროსაბჭოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ქართული მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებით წარმოიშვა, როცა აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და მიღება მოსთხოვეს. კანონპროექტის ძირითადი იდეა და მიზანი ქვეყანაში შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა გახლავთ და მისი დაკანონების გარეშე ქვეყნისათვის ტრანშებისა თუ სხვა ფინანსური დახმარებების გამოყოფა სათუო გახდა.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში განსახილველად ჯერ კიდევ 2002 წლის ნოემბერში იქნა შეტანილი. მაშინ კანონის მიღების გაჭიანურების გამო საქართველომ ევროსაბჭოსგან ბოლო გაფრთხილებაც მიიღო და ე.წ. შავ სიაში მოხვედრის საშიშროება დაემუქრა. კანონის მიღების შემდგომ საქარველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებული ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომლის მიერ მოპოვებული მასალა შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცემა.

მოთხოვნების საფუძველზე საჭირო იყო პროექტის დამუშავება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რის შესახებ ცვლილებებიც სწორედ პარლამენტის აღნიშნულ სხდომაზე იქნა მიღებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ უკრაინა, რომელიც შავ სიაში მოხვდა, ცივილური სამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, ტრანშებისა თუ სხვა ფინანსური დახმარებების გარეშე დარჩა.

უკანასკნელი ინფორმაციით, პარიზში გამართულ ორგანიზაცია FATF-ის (შავი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ფინანსური ქმედების ჯგუფი, რომლის წევრიც ოცდაექვსი ქვეყანა გახლავთ) სესიაზე, რომელსაც უკრაინის ვიცე-პრემიერიც ესწრებოდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკრაინის შავი სიიდან ამოვარდნის შესახებ (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით FATF-ის ექსპერტთა მისია უკრაინას იანვარში ეწვია).

ერთი სიტყვით, მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველო შავ სიაში მოხვედრას გადაურჩა.

# როტრაუტ სკაჩე-დეპიში: "ფერო შევარდნაძეების ინტერესებისგან სუფთაა"

პირველი გვერდიდან

როგორც "ფეროშენადნობთა ქარხნის" გენერალურმა დირექტორმა ნიკა ჩიქოვანმა განაცხადა, DCM DECOmetal ავსტრიის რკინისა და მანგანუმის მომპოვებელი კომპანიის მეწილეა. სკაჩე-დეპიშის დაზუსტებით, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მათი ინტერესების სფეროში მას შემდეგ მოექცა, რაც გაირკვა, რომ თუ კომპანიის მიერ წარმოებული მანგანუმის მადანი შეერევა საქართველოში წარმოებული მანგანუმის მადანს, ეს ძალიან მაღალხარისხოვან პროდუქციას მოგვცემს. **"ეს წარმატებულ იდეად მოგვეჩვენა და ახლა ვახორციელებთ. შევაკეთეთ ორი ღუმელი. კიდევ ორს შევაკეთებთ,"** – განაცხადა სკაჩე-დეპიშმა. ახლა ქარხანამ, რომელიც წლების მანძილზე, მთავრობის მიერ დანიშნული დირექტორატის ხელში წაგებაზე მუშაობდა, სოლიდური შემოსავლების მოტანა დაიწყო - თვეში 300 ათასი ლარი შეაქვს ბიუჯეტში, "ჭიათურმანგანუმს" პროდუქციას უსაღებს და დენის ფულსაც, როგორც კომპანიის მენეჯერები აცხადებენ, პირნათლად იხდის. **"ქარხნის საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, ყოველ თვეში საქართველოში ხდება 3 მილიონი აშშ დოლარის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარისთვის,"** – აცხადებენ კომპანიის ხელმძღვანელები.



სკაჩე-დეპიში და ჩიქოვანი სამომავლო გეგმებზე საუბრობენ.

როგორც ჩიქოვანმა განაცხადა, 1 დეკემბერს ლონდონში ქარხანამ პროდუქციის ხარისხის სერტიფიკატი და უმაღლესი ჯილდო – "ოქროს გვირგვინი" მიიღო, მორიგ ჯილდოს კი 5 აპრილსაც ელის.

ეს, თურმე, იმის ბრალია, რომ DCM DECOmetal International Trading Gmbh ჯერ კიდევ 1846 წელს შექმნილი ფოლადის საერთაშორისო მრეწველია და მსოფლიო ფოლადის წარმოებას ფართო სპექტრის ნედლეულით ამარაგებს. კომპანია პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, კერძოდ რუსეთსა და უკრაინაში, მუშაობს. უკრაინაში ის პოლტავის ცნობილ სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს ფლობს, რომლის აქციების გაყიდვასაც უკრაინის მასმედიაში სერიოზული რეზონანსი ჰქონდა.

საკმაოდ რეზონანსული იყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გაყიდვის საქმეც. თუმცა, როგორც DCM-ის მფლობელები ოფიციალურად აცხადებენ, ამ კომპანიასთან საქართველოს ექსპრეზიდენტის ოჯახს არავითარი კავშირი არა აქვს.

შესაძლოა, ეს კავშირები "ფეროს" სხვა მეწილეების – ინგლისური "ვეიდრიჯის" (20 პროცენტი), შვეიცარული "ფრონტოლისა" (25 პროცენტი) და საკმაოდ ცნობილი ინგლისური კორპორაცია "რონლი-ჰოლდინგს"-ის (1 პროცენტი) აქციონერთა შორის უნდა მოიძებნოს.

# მარტში დენი თბილისსაც გაუჭირდება

მაია ურუშაძე

"თელასის" გენერალურ დირექტორს დანგირას მიკოლაიუნასს ბოლომდე განათებული თბილისის ხილვა სურს. ამიტომ, ის კვლავ უკმაყოფილოა, რომ ქვეყანაში სასტიკი ენერგოკრიზისია და, ამის გამო, საბითუმო ბაზარს თბილისის შეზღუდვაც უწევს.

**"ის, რომ თბილისმა დენი შეუზღუდავად მიიღოს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროშიც სურთ, მაგრამ კარგს ვერაფერს გვპირდებიან,"** – განუცხადა მიკოლაიუნასმა ჟურნალისტებს გუშინ, საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე და თბილისელებს მოსალოდნელი ენერგეტიკული პრობლემების გამო მოუბოდიშა. "თელასის" გენერალური დირექტორი წუხს, რომ მაშინ, როცა ენგურჰესი სარემონტოდ უნდა გაჩერდეს, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) რუსეთიდან იმპორტს ამცირებს. როგორც გსეკ-ი ადრეც აცხადებდა, მას დენის საიმპორტოდ გადადებული გერმანული კრედიტის თანხები უკვე მარტის შუა რიცხვებისთვის ამოეწურება და, შესაბამისად, იმპორტიც შეწყდება.

"თელასში" მიიჩნევენ, რომ გსეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმპორტის შეზღუდვის თაობაზე თბილისზეც აისახება, რადგან "სახელმწიფო ელექტროსისტემა", ტრადიციულად, დეფიციტური სისტემის ელექტრომომარაგებას თბილისის ხარჯზეც შეზღუდავს. **"ეს უსამართლობაა, ჩვენ გრაფიკზე არ ვთანხმდებით,"** – აცხადებს მიკოლაიუნასი და, სათბობ-ენერგეტიკის სექტორის კურატორების თხოვნის მიუხედავად, ისევ განაგრძობს "სახელმწიფო ელექტროსისტემის" "კბენას", რომელიც, მისი თქმით, გსეკ-ის შეზღუდვას ვერ ახერხებს და ამ "გაუგებრობაში" "თელასიც" ამიტომ ყვება.



მიკოლაიუნასი თბილისის გამრიცხველიანებას გააგრძელებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ასეა თუ ისე, "თელასი" თბილისელებს მარტის თვეში ელექტრომომარაგების გაუმჯობესებას ნამდვილად ვერ დაჰპირდება, რადგან კომპანიას, ფაქტობრივად, მარტში იმავე ოდენობის საკუთარი სიმძლავრე ექნება, რამდენიც გასულ თვეში ჰქონდა: 1 მარტიდან თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის გამომუშავება 50 მეგავატით გაიზრდება (260 მეგავატამდე) და გაგრძელდება 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან, 150 მეგავატის იმპორტი კი – სომხეთიდან. სამაგიეროდ, მწვავე ენერგოდეფიციტის გამო, "გარღვევაა" მოსალოდნელი იმ სიმძლავრეში, რომელიც თბილისმა "სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" უნდა მიიღოს. ამდენად, თუ თბილისში საგრძნობლად არ დათბა და დენის მოხმარებამ შესამჩნევად არ იკლო, ქალაქს ენერგოშეზღუდვები კვლავ ემუქრება.

გუშინვე, მიკოლაიუნასმა განაცხადა, რომ "თელასში" თანამშრომელთა შემცირება იგეგმება. მისი თქმით, კომპანიის თანამშრომელთა 10-15 პროცენტი შემცირდება და 2100 თანამშრომლის ნაცვლად 1600-1800 დარჩება. **"საკადრო ოპტიმიზაცია მხოლოდ კომპანიის მმართველ "ბიუროკრატიულ" აპარატს შეეხება,"** – განაცხადა მიკოლაიუნასმა, რომელსაც არ დაუზუსტებია, თუ რა თანხებს დაზოგავს რესტრუქტურიზაციის შედეგად თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია.

დაბოლოს: როგორც იქნა, "თელასი" გამრიცხველიანების საკითხს დაუბრუნდება. მომავალ კვირაში მიკოლაიუნასი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან იმ 4,6 მილიონი ევროს ხარჯვის საკითხებს შეათანხმებს, რომელსაც კომპანია საქართველოს ენერგოსექტორისათვის განკუთვნილი 32-მილიონიანი კრედიტიდან მიიღებს. როგორც "თელასის" გენერალური დირექტორი აცხადებს, კომპანიის მიერ მომზადებული ბიზნეს-გეგმით ეს თანხა თელასის ქსელების რეაბილიტაციასა და ქალაქში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას მოხმარდება.

# გერმანიას ევრო ჭაობში ითრევს

თორნიკე შარაშენიძე

ევროს კურსის აწევამ უკვე სერიოზულად შეაფიქრიანა არა მხოლოდ ეკონომისტები, არამედ ევროპულ სახელმწიფოთა მეთაურებიც. "ფაინენშალ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ევრობანკს მოუწოდა, "ჩაერიოს და ევროს კურსი ნორმალურ მაჩვენებელს დაუბრუნოს."

შრიოდერის ეს პოზიცია სრულიად ბუნებრივია ბოლო დროს სავალუტო ბაზარზე შექმნილი ვითარების გათვალისწინებით. ევროს კურსი სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს, დოლარი კი ეცემა. ამას დიდი ზიანი მოაქვს ევროპული ქვეყნებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ექსპორტზე. ეს განსაკუთრებით გერმანიაზე ითქმის, რომლის წამყვანი კომპანიებიც - "დაიმლერ კრაისლერი," "სიმენსი," "ბასფი" - სერიოზულად არიან ექსპორტზე ორიენტირებულნი.

დოლარის დასუსტება აშშ-ს მხრიდან განზრახ წარმოებულ პოლიტიკას შეიძლება მივაწეროთ. ამ ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი ბოლო დროს არნახულად გაიბერა. სავაჭრო დეფიციტის შემცირება, ცხადია, ექსპორტის გაზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს, რასაც დოლარის დაცემა ხელს უწყობს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ გაცილებით ნაკლებადაა დამოკიდებული ექსპორტზე, ვიდრე – გერმანია; ამიტომ ვალუტის ბაზარზე ასეთი თამაშები გერმანიას გაცილებით უფრო აზარალებს.

რამდენიმე დღეში შრიოდერი პრეზიდენტ ბუშს შეხვდება და მათი საუბარი, წესით, ამ თემასაც უნდა შეეხოს. შრიოდერზე, სამწუხაროდ, არ არის დამოკიდებული ევროს კურსი - ამას გაერთიანებული ევროპის ბანკი განაგებს. აი, ბუშს კი თავისუფლად შეუძლია დოლარით მანიპულირება. შრიოდერი, ალბათ, ბუშთან მოლაპარაკებებისას მეტ წარმატებას მიაღწევს, ვიდრე ევრობანკის მიმართ მოწოდებების გაკეთებით.

**"მესმის, რომ ევრობანკი დამოუკიდებელი ორგანოა, მაგრამ აშკარაა, რომ ევროსა და დოლარის ახლანდელ თანაფარდობას ძველი კონტინენტისათვის კარგი არაფერი მოაქვს და ამას ევრობანკშიც უნდა ხედავდნენ"**, - განაცხადა შრიოდერმა.

ევროს გამყარებას, ძირითადად, ევრობანკის ყოფილ პრეზიდენტს - ვიმ დაუზენბერგს უკავშირებენ. ეს უკანასკნელი უპირატესობას ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას ანიჭებდა, ამიტომაც საპროცენტო განაკვეთები ევროპაში მუდამ მაღალი იყო. ამავე დროს აშშ-მ ეკონომიკური რეცესიის თავიდან აცილებისათვის განაკვეთები დასწია. შედეგად დოლარმა ევროს მიმართ დაცემა იწყო.

აშშ-მ რეცესია თავიდან აიცილა, მაგრამ განაკვეთები კვლავ დაბალია. ევრობანკიდან დაუზენბერგი წავიდა და ყველა ვარაუდობდა, რომ მისი შემცვლელი ჟან-კლოდ ტრიშე ყველაფერს შეცვლიდა - დასწევდა განაკვეთებს და ამრიგად სერიოზულ სტიმულს მისცემდა ევროპულ ეკონომიკას, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს არ ხდება.

უკვე აშკარაა, რომ ევრომ სერიოზულად დააზარალა ევროპის დიდი ქვეყნები - გერმანია და საფრანგეთი; თუმცა პატარა და შედარებით ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ერთიანი სავალუტო კავშირისგან ძალიანაც იხეირეს. ისინი ხომ ძლიერ ქვეყნებთან ერთად არიან.

აშშ-ის ეკონიმიკა სწრაფი ტემპით ვითარდება, ბოლოდროინდელი მონაცემებით, კრიზისი დაძლია იაპონიამ, რომელმაც წელს ეკონომიკის 3-პროცენტიანი ზრდა უნდა აჩვენოს. მსოფლიოს სიდიდით მესამე ეკონომიკური გიგანტი გერმანია ასეთი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის.


## სს "თელასს" ესაჭიროება შემდეგი სახის მასალები:

| | | |
|---|---|---|
| 1. | მრიცხველი СЭ6823 0.5 57 7В 5А. 3ф. 4пр. 1Н ИРПС | 200 ცალი |
| 2. | დენური რელე РТ-40/0.2 | 130 ცალი |
| 3. | დროის რელე ЭВ-133 (0.5-9) | 130 ცალი |
| 4. | ბლინკერი РУ-21(0.16А) | 130 ცალი |
| 5. | კონტაქტორი 250А 3ф=220в | 2 ცალი |
| 6. | რელე РЭВ 220в | 10 ცალი |
| 7. | კოჭა К26 (დიდი) 220ვ | 20 ცალი |
| 8. | კოჭა 26 (დიდი) 48ვ | 5ცალი |
| 9. | კოჭა К3-02-У1 (ბულგარული) 220ვ | 15 ცალი |
| 10. | კოჭა К47 220ვ | 10 ცალი |
| 11. | ტესტერი | 3 ცალი |
| 12. | კოჭების დასახვევი სპილენძის მავთული | 20 კგ |
| 13. | მ/ძ კაბელი АСБ 3x150 | 800 მეტრი |

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა 2004 წლის 9 მარტამდე მოგვმართონ: სს "თელასი", III სართული. კონტაქტებისა და შესყიდვების განყოფილება; ტელ: 77 98 55 / 77 98 53 / 77 99 29; ფაქსი: 77 98 19 ან შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში.



## საველე ინჟინერი

**BP-ს პროექტებისათვის, BP-ს სრული ზედამხედველობით, IRA Ltd. ეძებს სათანადო კვალიფიკაციის პირს საველე ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად.**

**სამუშაოს აღწერა:**

ობიექტებთან და პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური და საინჟინრო საკითხების მენეჯმენტი, საველე და ადგილზე მომუშავე საინჟინრო ჯგუფების კოორდინირება და მხარდაჭერა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ობიექტების პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით.

საველე ინჟინრის სამუშაო ადგილი იქნება ველზე, იგი იცხოვრებს საველე კემპში.

**როლები და პასუხისმგებლობები**

- ველზე კონტრაქტორის სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური მონიტორინგი, კონტრაქტის მოთხოვნების გათვალისწინებით
- ველზე საერთო ხარისხის უზრუნველყოფისთვის ობიექტების საველე ინჟინრის დახმარება
- ხარისხის მენეჯერის დახმარება კონტრაქტორის მიერ ტექნიკური მოთხოვნების დაცვის შემოწმებისას
- კონტრაქტორის მეთოდებთან დაკავშირებული დოკუმენტების გადასინჯვა
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემოწმებების ჩატარება
- კონტრაქტორის მიერ აღჭურვილობის მოვლა-მომსახურების მონიტორინგი
- დახმარება ექსპლუატაციაში გამშვები ჯგუფისათვის სისტემების გადაცემისას
- მშენებლობის დროს ძირითადი პუნქტების დამოწმება

**მოთხოვნები:**

- შესაბამისი ინჟინრის ხარისხი
- პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Project, MS Outlook და ინტერნეტის კარგად ცოდნა
- სასურველია გამოცდილება ობიექტების მშენებლობის სფეროში
- შესაბამისი საინჟინრო დისციპლინის საფუძვლიანად ცოდნა, სხვა დისციპლინების კარგ ტექნიკურ ცოდნასთან ერთად
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების კარგად ცოდნა
- ადამიანებთან ურთიერთობის და გუნდური მუშაობის კარგი უნარი, მოტივირებულობა და ტაქტის გრძნობა
- შესაძლებლობა იმოგზაუროს, ბევრი დრო გაატაროს ველზე და იცხოვროს ბანაკში
- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის კარგი უნარი
- სურვილი და შესაძლებლობა, მჭიდროდ ითანამშრომლოს კონტრაქტორის შტატთან და ველზე კონტრაქტორის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის უნარი
- იყოს ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტი პიროვნება
- ჰქონდეს სურვილი, უზრუნველყოს BP-ს ძირითადი ფასეულობების და ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი უფლებების (GHSER) განხორციელება

**განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ თვლით, რომ გაგაჩნიათ ამ როლის შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და შეავსოთ განაცხადის ფორმა, რომლის მიღებაც შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წ 1 მარტი, 18:00 საათი.

აუცილებელია იყოთ საქართველოს მოქალაქე.

**განხილული იქნება ყველა მიღებული განცხადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველას მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია BP**
**საბურთალოს ქ. N 38, თბილისი, საქართველო**


## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თბილგაზმა" პედაგოგებისთვის გასულ წელს ორ ეტაპად დარიგებული ბუნებრივი აირის ვაუჩერების მიღება განაახლა, თუმცა კომპანია ერთი პედაგოგისგან მხოლოდ ორ ვაუჩერს იღებს და ისიც, იმ შემთხვევაში, თუ ვაუჩერს მფლობელის პირადობის მოწმობა და სკოლიდან გაცემული ცნობა ახლავს თან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ფრინველის ხორცის იმპორტი აშშ-ს ტეხასის შტატიდანაც აიკრძალა. ვეტდეპარტამენტში აცხადებენ, რომ შეწყვეტილია იმპორტი ყველა იმ ქვეყნიდან, სადაც ფრინველის გრიპის ეპიდემია გავრცელდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სამხედრო პროკურატურა აგრძელებს მუშაობას საიდუმლო დოკუმენტებზე, რომლებიც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში სამობილიზაციო რეზერვების უნებართვო გამოყენების ფაქტებს ასახავს. საქმე ეხება რამდენიმე სახის ფეროშენადნობს, რომლის გახარჯვაც საგანგებო სიტუაციების დროს, მხოლოდ პრეზიდენტის ნებართვით შეიძლება. შესამოწმებელი პერიოდი 1992-2003 წლებს მოიცავს. ამ საქმეზე კონკრეტული კომენტარი ერთ კვირაში გაკეთდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯავის რაიონზე გამავალი 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, რომლითაც ცხინვალის რეგიონს დენი რუსეთიდან მიეწოდება, კვლავ დაზიანებულია. სარემონტო სამუშაოებს ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩასული სპეციალისტები ახორციელებენ, თუმცა ხაზის 900-მეტრიანი მონაკვეთის აღდგენას უამინდობა უშლის ხელს. ხაზი ორი კვირის წინ, ზვავის ჩამოწოლისას დაზიანდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ბოლო დროს რუსთავში 160-მდე მრიცხველია მოპარული. ელექტროენერგიის მოხმარების წესების თანახმად კი, ენერგოკომპანია უმრიცხველოდ დარჩენილ რაიონებსა და კორპუსებს დენს უთიშავს. **მედია-ნიუსი**

# დუმის სპიკერი შეიძლება პრემიერი გახდეს

რუსული გაზეთი "კომერსანტი" იუწყება, რომ ქვეყნის მთავრობის მეთაურის პოსტი შეიძლება დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა დაიკავოს. პუტინი უკვე შეხვდა გრიზლოვს და ამ შეხვედრაზე სწორედ ახალი მთავრობის ფორმირება განიხილეს. გაზეთის ცნობით, დუმაში უმრავლესობის მქონე გაერთიანება "ერთიანი რუსეთის" წრეებში გრიზლოვის შესაძლო პრემიერობას არ გამორიცხავენ. ამასთან, პუტინ-გრიზლოვის შეხვედრაზე დარწმუნებით რაიმეს თქმა არ შეიძლება. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და მისი დამთავრების შემდეგ პოლიტიკოსებს კომენტარები არ გაუკეთებიათ. შესაძლებელია, შეხვედრაზე მხოლოდ მთავრობის ფორმირების დეტალები განიხილეს და პრეზიდენტს გრიზლოვისთვის პოსტი სულაც არ შეუთავაზებია. პრეზიდენტთან აუდიენციას "ერთიანი რუსეთის" ფრაქციის მთელი ხელმძღვანელობა ესწრებოდა.

თუმცა, "კომერსანტი" ყურადღებას ამახვილებს უკვე დათხოვნილი მთავრობის წევრებთან შეხვედრისას პუტინის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე. პრეზიდენტმა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მთავრობის გადაყენების მიზეზად საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციის გაზიარების აუცილებლობა დაასახელა. ამდენად, სავსებით სავარაუდოა, რომ მომავალი პრემიერი დუმის უმრავლესობასთან – "ერთიან რუსეთთან" იქნება დაკავშირებული. რთული სათქმელია, აპირებს თუ არა პუტინი დასავლურ დემოკრატიებში დამკვიდრებული წესის გადმოღებას და მთავრობაში საპარლამენტო უმრავლესობის გუნდური პრინციპის დანერგვას. ასეც რომ იყოს, პრეზიდენტი ამგვარ ნაბიჯს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ თანხმდება, რომ დუმაში უმრავლესობას მისი მხარდამჭერები ქმნიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, პუტინს დუმისთვის აზრი ეკითხა, იქ რომ, მაგალითად, კომუნისტებს ჰქონდეთ უმრავლესობა.


ბორის გრიზლოვი

გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, შემდეგი სახის გადაადგილებებია დაგეგმილი: ბორის გრიზლოვი პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს. დუმის სპიკერის ადგილზე ახლანდელი პირველი ვიცე-სპიკერის, ალექსანდრ ჟუკოვის კანდიდატურა განიხილება, ხოლო "ერთიანი რუსეთის" ფრაქციას იური ვოლკოვი უხელმძღვანელებს. ფრაქციის ლიდერის პოსტს დღემდე თავად გრიზლოვი ითავსებს.

გრიზლოვი ჯერ კომენტარს არ აკეთებს. პუტინთან შეხვედრის შემდეგ მან მხოლოდ ის დაადასტურა, რომ მთავრობის დაკომპლექტების თემაზე ისაუბრეს. იგი კონსულტაციის შედეგებით კმაყოფილია. გრიზლოვის თქმით, კონსულტაციები კვირას გაგრძელდება. მანამდე პუტინი ხაბაროვსკსა და კრასნოიარსკის მხარეს ეწვევა. "კომერსანტის" ცნობით, თუ გრიზლოვის გაპრემიერების შესახებ ხმები სიმართლეს შეეფერება, მისი წარდგენა რუსეთის დუმაში ორშაბათს უნდა მოხდეს.

ბორის გრიზლოვი 1950 წლის 15 დეკემბერს ვლადივოსტოკში დაიბადა, თუმცა მისი ოჯახი მალე პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) გადასახლდა. იქვე ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა და ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შუა ხანებამდე იგი პროფესიით მუშაობდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, დიდი წარმატებებით არასდროს გამოირჩეოდა. 1998 წელს სანკტ-პეტერბურგის თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა დამარცხდა. 1999 წელს კი სახელმწიფო სათათბიროს წევრი გახდა გაერთიანება "ერთობის" სიით. გრიზლოვი "ერთობის" პეტერბურგის ბიუროს ხელმძღვანელობდა. ერთი საინტერესო დეტალი: მისი 24 წლის ვაჟი დმიტრი გრიზლოვი პიტერული "ერთობის" ახალგაზრდული ფრთის ლიდერია და ამ პოსტზე მოხვედრაში, როგორც ამბობენ, მამის ხელი ურევია. 2000 წელს გრიზლოვი დუმაში "ერთობის" ფრაქციის თავმჯდომარე გახდა. 2001 წლის მარტში კი პეტერბურგელმა პუტინმა პეტერბურგელი გრიზლოვი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა. ამბობენ, რომ ბორისი და ვლადიმირი ერთმანეთს ახალგაზრდობიდანვე იცნობენ, როცა ორივე სპორტით იყო გატაცებული. გრიზლოვი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში პირველი სამოქალაქო მინისტრი იყო, თუმცა ამას სისტემაში დიდი რეფორმები არ მოჰყოლია. გასულ წელს, დუმაში პუტინის მომხრე "ერთიანი რუსეთის" გამარჯვების შემდეგ, გრიზლოვი დუმის სპიკერად აირჩიეს. მის წარმატებულ კარიერას კრემლში პუტინის "პეტერბურგული დაჯგუფების" გაძლიერებას უკავშირებენ.

# ყატარმა რუს აგენტებს ბრალი წაუყენა

ყატარის ხელისუფლებამ უკვე ოფიციალურად წაუყენა ბრალი რუსეთის სპეცსამსახურების ორ თანამშრომელს, რომლებიც ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის ლიკვიდაციაში არიან ეჭვმიტანილები. ყატარის შინაგან საქმეთა სამინისტრო მათ გვარებს არ ასახელებს.

რუსი აგენტები ყატარში რამდენიმე დღის წინ დააკავეს. მოსკოვმა დოჰას მათი დაუყოვნებლივ გადაცემა მოსთხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. გუშინ, ყატარის ელჩი მოსკოვში – საად ალ-ქუბეისი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმეორედ გამოიძახეს. მას პირადად ესაუბრა დიპლომატიური კორპუსის შეფი იგორ ივანოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ყატარის ხელისუფლების მოქმედება რუსეთის მოქალაქეების მიმართ სამართლიანობის ჩარჩოებში არ ჯდება. მინისტრის კაბინეტიდან გამოსულმა ყატარელმა დიპლომატმა კომენტარზე უარი განაცხადა.

იგორ ივანოვი კი აქტიურად განაგრძობს ყატარის ხელისუფლების დარწმუნებას, რათა რუსი აგენტები სამშობლოში დაბრუნდნენ. მისი თქმით, რუსეთის სპეცსამსახურების სამი თანამშრომელი ყატარში **"საინფორმაციო-ანალიტიკური ხასიათის დავალებით იმყოფებოდა, რაც საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა."** ყატარის ხელისუფლება კი ცდილობს, რომ ამ აგენტებს ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობა დააბრალოს.

**"რუსეთს ამ ინციდენტთან არანაირი კავშირი არ გააჩნია,"** - აცხადებს იგორ ივანოვი. მან ყატარის ხელისუფლების მოქმედება პროვოკაციად შეაფასა.

ოფიციალურმა დოჰამ სამი დაკავებულიდან მხოლოდ ერთი გაათავისუფლა და ის უკვე მშობლიურ სამსახურს დაუბრუნდა. დარჩენილ ორს კი სერიოზული ბრალდება აქვთ წაყენებული. თუმცა, ისინი სპეცსამსახურის ოფიცრის მუნდირის შელახვას არ აპირებენ და წაყენებულ ბრალდებას მტკიცედ უარყოფენ.

ჯერჯერობით, არ არის ცნობილი, თუ რუსეთის რომელი სპეცსამსახურის დავალებას ასრულებდნენ ისინი ყატარში, მაგრამ ტერაქტის მასშტაბით და მეთოდიკით თუ ვიმსჯელებთ, არ არის გამორიცხული, რომ ეს გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს, იგივე "გრუ"-ს ხელწერა იყოს.

# ბრიტანული სპეცსამსახურები კოფი ანანის სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ?

პირველი გვერდიდან

ვიტყვი მხოლოდ, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებენ," – თქვა ბლერმა.

კლერ შორტმა "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში თქვა, რომ მან გაერო-ს გენერალური მდივნის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები საკუთარი თვალით ნახა. შორტის სენსაციური განცხადება ბრიტანეთის სასამართლოს არანაკლებ ხმაურიანი პროცესის ერთგვარი გაგრძელება იყო. მთავრობის ყოფილ თარჯიმანს, ქეთრინ განს სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ კანონის დარღვევა ედებოდა ბრალად. საქმე ეხებოდა ელექტრონული შეტყობინების შინაარსის გახმაურებას, სადაც ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომლები თავის ბრიტანელ კოლეგებს გაერო-ში სატელეფონო საუბრების მოსმენის ორგანიზაციაში დახმარებას სთხოვდნენ. მოგვიანებით განს ბრალდება მოუხსნეს. თუმცა, გავრცელდა ხმები, რომ ეს პოლიტიკური მოსაზრებებით გაკეთდა, რათა უფრო მეტი საიდუმლოს გაჟონვა არ მომხდარიყო.

კლერ შორტმა ბრიტანეთის მთავრობა ერაყის ომის მოწინააღმდეგე ქვეყნებზე ზეწოლაშიც დაადანაშაულა. შორტის განცხადებას უმალ გამოეხმაურნენ გაერო-ს სამდივნოდან. გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა ფრედ ეკჰარტმა აღნიშნა, რომ გაერო-ში, ჯერჯერობით, არ იციან, შეესაბამება თუ არა შორტის განცხადება სინამდვილეს. მისი თქმით, გენერალურ მდივანს დასამალი არასდროს ჰქონია რამე და მისი საუბრების მოსმენა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ბრიტანეთის მთავრობის ოპოზიცია დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ შორტმა აღნიშნულის შესახებ მხოლოდ ახლა განაცხადა. "რატომ ლაპარაკობს ამაზე შორტი მხოლოდ ახლა? მე არ ვიცი, ვირწმუნო თუ არა მისი," - ამბობს ბრიტანეთის კონსერვატორთა ჩრდილოვანი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი მაიკლ ანკრამი.

ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, თუ ამ ფაქტის ჭეშმარიტება, მართლაც, დადასტურდა, ბრიტანეთს ისედაც შელახული რეპუტაციის გამოსწორება გაერო-ში კიდევ უფრო გაუძნელდება.

# ვაშინგტონი რუსეთის დემოკრატიის დაცვისაკენ მოუწოდებს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა, რომელიც მსოფლიოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას შეეხება. ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის საკითხში ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, პაკისტანის, ბირმის და კუბის გვერდით "საპატიო" ადგილს იკავებს რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ვაშინგტონი მკაცრად აკრიტიკებს. დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს უთხრის ძირს. სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ ამ კუთხით, ის თავის მოკავშირეებს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კრიტიკას არ დააკლებს. ასეთ მოკავშირეთა შორის კი რუსეთიცაა. ვაშინგტონის განცხადებით, ჩეჩნეთის საპრეზიდენტო და სახელმწიფო დუმის არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. რუსეთმა ოკეანსაგალმიდან კრიტიკა დამოუკიდებელი ტელეარხების დახურვისათვის და იმ ბიზნესმენების დევნისთვისაც დაიმსახურა, რომლებიც ოპოზიციურ ძალებს უჭერენ მხარს.

**"ყოველივე ეს ძირს უთხრის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესს რუსეთში და წარმოშობს კითხვას: არსებობს კი რუსეთში კანონის უზენაესობა?"** - ნათქვამია მოხსენებაში. დოკუმენტში ასევე ნახსენებია და გაკრიტიკებულია რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება პატიმართა და ეჭვმიტანილთა მიმართ. კერძოდ, ვაშინგტონი უყურადღებოდ არ ტოვებს რუსეთის ციხეებში წამებისა და ძალადობის ფაქტებს, რომლებსაც პატიმრები განიცდიან.

**"ეს კრიტიკა ადმინისტრაციის იმ გამკაცრებულ ტონს შეესაბამება, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ხელისუფლების მისამართით გაისმის,"** - ასე აფასებს ვაშინგტონის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებას გავლენიანი გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი." როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის გამო, აშშ-ს მკვეთრი კრიტიკის ობიექტი, რუსეთთან ერთად, მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყანა გახდა.

მოხსენებაში ისრაელის ხელისუფლებაც არ არის უყურადღებოდ დატოვებული. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ ისრაელის უშიშროების ძალები დაკითხვების დროს პალესტინელ პატიმრებს აწამებენ და ისე სძალავენ ინფორმაციას, ხოლო სპეცოპერაციების განხორციელების დროს ხშირად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა სამოქალაქო რაიონების დაბომბვები და ა.შ.

მოხსენების შესახებ თავად სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ისაუბრა. მისი თქმით, მსოფლიოში კიდევ მრავლად არსებობენ ისეთი რეჟიმები, რომლებიც ადამიანის უფლებებს და საერთაშორისო დემოკრატიულ პრინციპებს უხეშად არღვევენ. **"მაგრამ ეს რეჟიმები თავისუფლების სამუდამოდ ჩახშობას ვერ შეძლებენ. ერთხელაც, საპატიმროებსა და ბანაკებში ახალი დემოკრატიების ლიდერები დაიბადებიან,"** - განაცხადა კოლინ პაუელმა.

# მაკედონიის პრეზიდენტი ავიაკატასტროფაში დაიღუპა

გუშინ, თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად, მაკედონიის პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი დაიღუპა. ოფიციალური წყაროების განცხადებით, ავიაკატასტროფა ბოსნიის სამხრეთში, სტოლაჩის მთიან რაიონში მოხდა. ტრაიკოვსკი ბოსნიის ქალაქ მოსტარში ეკონომიკურ ფორუმზე დასასწრებად მიემგზავრებოდა.

იმავე წყაროების ცნობით, პრეზიდენტის თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზი, სავარაუდოდ, ცუდი მეტეოროლოგიური პირობები იყო. თვითმფრინავში პრეზიდენტთან ერთად მისი რამდენიმე თანაშემწეც იმყოფებოდა. თვითმფრინავის ყველა მგზავრი დაიღუპა. წელიწადის ამ დროს ბალკანეთის მთიანი სახელმწიფო საჰაერო მიმოსვლისათვის საკმაოდ საშიშია. 1996 წელს სწორედ ამ რაიონში, ბოსნია-მაკედონიის საზღვართან ახლოს, ავიაკატასტროფაში დაიღუპა აშშ-ს მთავრობის წევრი, ვაჭრობის მდივანი რონ ბრაუნი.

მაკედონიის პრემიერ-მინისტრი ბრანკო ჩრვენკოვსკი დუბლინში იმყოფებოდა, როდესაც პრეზიდენტის დაღუპვის შესახებ შეიტყო. მას ირლანდიის პრემიერისათვის, რომელიც ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარეა, ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მაკედონიის ოფიციალური განცხადება უნდა გადაეცა. ტრაგიკული შემთხვევის გამო, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი შეწყდა. აღსანიშნავია, რომ მაკედონიაში პრეზიდენტის პოსტი ნომინალურია და ქვეყანას, ფაქტობრივად, პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. მაკედონიის პრეზიდენტი მხოლოდ ქვეყნის საგარეო ასპარეზზე წარმოჩენითაა დაკავებული.

განათლებით იურისტი, 47 წლის ტრაიკოვსკი 1998-99 წლებში ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მაკედონიის პრეზიდენტის მოვალეობას იგი 1999 წლის დეკემბრიდან ასრულებდა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე მძიმე მომენტი ალბანურ უმცირესობასთან დაკავშირებული კრიზისი იყო. მაშინ ქვეყანა სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ტრაიკოვსკი ხელმძღვანელობდა 2001 წელს ნატო-ს ინიციატივით გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებებს, რომელმაც ალბანელებსა და მაკედონელებს შორის მრავალთვიან დაპირისპირებას დაუსვა წერტილი. ტრაიკოვსკის დიდი საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსის ავტორიტეტი ჰქონდა.


ბორის ტრაიკოვსკი.

ტრაიკოვსკის სიკვდილის გამო ღრმა მწუხარება გამოთქვეს ევროპის ქვეყნების მეთაურებმა. ბრიტანეთის პრემიერმა ამ ფაქტს "ტრაგედია" უწოდა. ევროპარლამენტის სხდომაზე მაკედონიის პრეზიდენტის დაღუპვის ცნობას წუთიერი დუმილით შეხვდნენ. პარლამენტის თავმჯდომარემ პეტ კოქსმა კი აღნიშნა: "ეს იყო კაცი, რომელმაც გააერთიანა ქვეყანა მაშინ, როდესაც სამოქალაქო ომის რეალური საფრთხე იდგა. მან მთელ რეგიონს თანხმობა მოუტანა. ტრაიკოვსკი საკუთარ ქვეყანაში მშვიდობის მთავარი შემოქმედი იყო." კოქსის მწუხარებას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის პირველი პირი, ხავიერ სოლანაც შეუერთდა: "ეს ძალიან ტრაგიკული დღეა მაკედონიისათვის და მთლიანად ევროპისათვის. ტრაიკოვსკი დიდი ადამიანი იყო. მან ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა და მაკედონია ევროპასთან დააახლოვა." მომხდართან დაკავშირებით, არც ევროკომისიის თავმჯდომარე რომანი პროდი დარჩენილა გულგრილი. "დღევანდელი დღე სიხარულის დღე უნდა ყოფილიყო მაკედონიისა და თავად ბორის ტრაიკოვსკისათვის, რადგან დღეს მაკედონია ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს ოფიციალურად აკეთებდა. ძალიან ცოტაა მაკედონიაში ისეთი ადამიანი, ვისაც ამ მიზნის მისაღწევად ტრაიკოვსკიზე მეტი ექნება გაკეთებული."

იუგოსლავიის ყოფილმა რესპუბლიკამ, მაკედონიამ დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოაცხადა. იგი ერთადერთი რესპუბლიკა იყო, რომელმაც იუგოსლავიურ ომებს თავი აარიდა და დამოუკიდებლობის პირველი ეტაპი შედარებით მშვიდობიანად განვლო. თუმცა, მოგვიანებით, კოსოვოს პროცესების პარალელურად, გართულდა ურთიერთობები მაკედონელებსა და ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ალბანელებს შორის. ალბანელები ქვეყნის 2-მილიონიანი მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენენ და ქვეყნის მართვაში უფრო აქტიურ ჩართვას ითხოვდნენ. ნატო-სა და ევროკავშირის ჩარევით კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილება მოხერხდა. მაკედონიამ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი ოფიციალურად გამოთქვა. თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანას მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება მოუწევს.

**ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციონერი ავსტრიული ჯგუფი DCM DECOmetal International Trading Gmbh ახალი ინიციატივით გამოდის და ევროპის ბიზნეს-წრეებში საქართველოს ერთგვარი ლობისტობა აქვს განზრახული. ამ მიზნით ისინი მოუწოდებენ საქართველოში მოღვაწე უცხოელ ინვესტორებს, კავშირის ტიპის ორგანიზაცია შექმნან, რომლის მთავარი მიზანი იქნება ერთგვარი შუამავლობა საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად და საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაცია ევროგაერთიანების ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში.**

**DCM DECOmetal International Trading Gmbh** ფოლადის საერთაშორისო მრეწველობის ლიდერია, ეს სამრეწველო ჯგუფი ჯერ კიდევ 1846 წელს შეიქმნა და დღემდე მსოფლიო ფოლადის წარმოებას ფართო სპექტრის ნედლეულით ამარაგებს.

ის ფოლადის წარმოებაში მთლიან ჯაჭვს ახორციელებს - პროდუქციის მიწოდებას, მოპოვებას, მარკეტინგს, ფინანსირებას და პროდუქციის შენახვას. მისი უმთავრესი საქმიანობაა ისეთ ნედლეულზე მუშაობა , როგორიცაა რკინის მადანი, მანგანუმის მადანი და მასიური რკინაშენადნობები.

**DCM** ჯგუფს მსოფლიოს 41 ქვეყანაში აქვს წარმოებისა და რეალიზაციის ქსელი. **DCM** ჯგუფი ფოლადის მწარმოებლებში საიმედო და მაღალკვალიფიციური პარტნიორის რეპუტაციით სარგებლობს.

**DCM** ჯგუფი 2003 წლის სექტემბერში გახდა ს.ს "ფეროს" საკონტროლო პაკეტის მფლობელი. პრივატიზაციიდან 6 თვის განმავლობაში მიღწეული შედეგების ჩამონათვალი:

წარმოებული პროდუქციის მოცულობა ყოველთვიურად 3000 ტონიდან 8 ათას ტონამდე გაიზარდა, ანუ 280%-ით.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები გაიზარდა 42 %-ით, ხორციელდება სოციალური უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამები, მაგალითად მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა..

ბიუჯეტში სოცანარიცხებიდან შენატანები გაიზარდა 42%-ით.

მრავალმილიონიანი ინვესტიციების განხორციელებამ შესაძლებელი გახადა ახალი ტექნიკური საშუალებების შეძენა და 2 ღუმელის აღდგენა. სულ მალე დასრულდება კიდევ 2 ღუმელის მშენებლობა.ასევე განახლდა ავტოპარკი და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო ხაზებს.

სრულდება წარმოების პროცესის აღრიცხვიანობის კომპიუტერიზაცია.

ყოველთვიურად "ჭიათურმანგანუმიდან" ხდება 8-10 ათასი ტონა ნედლეულის შეძენა სტაბილური გადახდის პრინციპით.

ბოლო 6 თვის განმავლობაში ს.ს "ფერო" ყოველთვიურად შეუფერხებლად იხდის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს თვეში, დაახლოებით, 2 მილიონი ლარის ოდენობით.

ქარხნის საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ყოველ თვეში საქართველოში ხდება 3 მილიონი აშშ დოლარის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარის შესანარჩუნებლად.

**DCM** ჯგუფი "ფეროს" საინვესტიციო პროექტს ამ ეტაპზე წარმატებულად აფასებს და განვითარების ამბიციურ გეგმებს სახავს.

# საარჩევნო სუბიექტთა მიერ ცესკო-ში წარდგენილი სიები

მესამე გვერდიდან

## აღორძინების საარჩევნო სია

| N | გვარი და სახელი | პარტიულობა |
|---|---|---|
| 1 | აბაშიძე ასლანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 2 | ჯაველიძე ელიზბარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 3 | თაქარიშვილი ლია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 4 | ტუნაძე ზურაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 5 | კომახიძე გივი | უპარტიო |
| 6 | აბრალავა ანზორი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 7 | მეგრელიშვილი თეიმურაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 8 | ჩხეიძე ნატო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 9 | ოსაძე მიხეილი | უპარტიო |
| 10 | ჭიპაშვილი ჰამლეტი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 11 | პაიჭაძე გრიგოლი (გოჩა) | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 12 | ბაკურია ცოტნე | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 13 | ბალაძე ემზარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 14 | ნიშველაძე რევაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 15 | აბაშიძე ირაკლი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 16 | ოქუაშვილი ზაზა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 17 | ბასილაძე გულნარა | უპარტიო |
| 18 | დიდებელი იოსები | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 19 | ფუტკარაძე ზურაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 20 | ფანგანი ვლადიმერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 21 | ოთანაძე კობა | უპარტიო |
| 22 | ჟავლეიშვილი ჯამბული | უპარტიო |
| 23 | მაისურაძე ბეჟანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 24 | ბერიძე შოთა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 25 | დალაქიშვილი ილია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 26 | ზურაბიანი ოლეგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 27 | გვარამია როსტევანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 28 | ასანიძე მერაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 29 | თავაძე მზია | უპარტიო |
| 30 | ხანთაძე მარინე | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 31 | ტანტიბა ისმეთი | უპარტიო |
| 32 | თავდგირიძე გელა | უპარტიო |
| 33 | ანისიმოვა ალექსანდრა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 34 | სურმანიძე იზოლდა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 35 | კაროიანი სერგო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 36 | გორგილაძე ემზარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 37 | ნიჟარაძე აბელი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 38 | გორგოშაძე მურმანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 39 | ჯაფარიძე თამაზი | უპარტიო |
| 40 | ჟორჟოლიანი ოთარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 41 | ბოლქვაძე ზურაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 42 | აბზიანიძე მერაბი | უპარტიო |
| 43 | თერვაშიძე ბეჟანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 44 | ჩხეიძე დიმიტრი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 45 | ვერულიძე ტარიელი | უპარტიო |
| 46 | მგელაძე ბულბული | უპარტიო |
| 47 | ხელაძე გიორგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 48 | ვარშანიძე ნადიმი | უპარტიო |
| 49 | შერვაშიძე შოთა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 50 | სვანიძე თეიმურაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 51 | დიასამიძე დავითი | უპარტიო |
| 52 | მიქელაძე ბეჟანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 53 | ბასილაშვილი რევაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 54 | კონცელიძე თენგიზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 55 | თავაძე გივი | უპარტიო |
| 56 | ნამუჭაძე თამაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 57 | კახიძე აბდული | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 58 | ბერიძე თემური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 59 | ბუცხრიკიძე გრიგოლი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 60 | კავლელაშვილი მაყვალა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 61 | გაბაიძე თემური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 62 | ღვინჯილია თეიმურაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 63 | ხალვაში ამირანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 64 | ქათამაძე რევაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 65 | ჭოხონელიძე რობიზონი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 66 | აბაშიძე ალექსანდრე | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 67 | აბულაძე თამაზი | უპარტიო |
| 68 | ნაკაშიძე როსტომი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 69 | ცანავა იური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 70 | ბოლქვაძე ოთარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 71 | ნონიაშვილი ლალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 72 | ინაიშვილი ლეილა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 73 | ზოიძე არჩილი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 74 | ბეჟანიძე ამირანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 75 | ბოლქვაძე ვაჟა | უპარტიო |
| 76 | ბარამიძე ნოდარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 77 | მაჩაბელი ზაზა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 78 | კონცელიძე რევაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 79 | ირემაძე მაყვალა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 80 | გარდაფხაძე ამირანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 81 | ქათამაძე მამუკა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 82 | თურმანიძე თემური | უპარტიო |
| 83 | ჩახვაძე ვახტანგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 84 | ფალავა ნარი | უპარტიო |
| 85 | ანანიძე ომარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 86 | კვინიკაძე იაკობი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 87 | ქატარაია ფრიდონი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 88 | თავაძე რამინი | უპარტიო |
| 89 | მახარაძე ივანე | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 90 | თავართქილაძე ანზორი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 91 | ბერიძე ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 92 | კენჭაძე ილია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 93 | კაკალაძე ბესიკი | უპარტიო |
| 94 | ტალაძე ნური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 95 | ალფაიძე ნინო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 96 | კასრაძე დავითი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 97 | სიჟვაძე როინი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 98 | მეგრელიშვილი დემური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 99 | ჯინჭარაძე რეზო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 100 | აბუსერიძე ანზორი | უპარტიო |
| 101 | ფანგანი შერმადინი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 102 | კარალიძე ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 103 | ავალიანი თამაზი | უპარტიო |
| 104 | ხეცურიანი გიორგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 105 | კურცხალიძე ზურაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 106 | ცივაძე თენგიზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 107 | კელენჯერიძე გრიგოლი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 108 | დიასამიძე ანზორი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 109 | ქათამაძე ვაჟა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 110 | სართანია დალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 111 | ცინცაძე ამირანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 112 | გუგუნავა დავითი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 113 | ამირიძე ალექსი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 114 | სალინაძე ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 115 | ცხადაძე მადონა | უპარტიო |
| 116 | საჯაია თამაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 117 | ზოიძე რევაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 118 | მესხი თამაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 119 | ქათამაძე ავთანდილი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 120 | სოლომონიძე ბადრი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 121 | აბაშიძე შაქრო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 122 | მოსიაშვილი მამუკა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 123 | მახარაძე ავთანდილი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 124 | დიასამიძე მერაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 125 | დარბაიძე კობა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 126 | კომახიძე მალხაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 127 | ნაკაშიძე ელგუჯა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 128 | ღონღაძე თამაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 129 | მაკარაძე ემზარი | უპარტიო |
| 130 | მამულაძე არჩილი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 131 | ისაშვილი ჯუმბერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 132 | თურმანიძე რუსლანი | უპარტიო |
| 133 | დავითაძე რევაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 134 | ქუჩულორია ვახტანგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 135 | მამულაძე ლევანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 136 | მაკარაძე ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 137 | ბაძგარაძე ნუკრი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 138 | კუნჭულია ლია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 139 | ნარაკიძე ირაკლი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 140 | ბარბაქაძე იზორი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 141 | ლეკვეიშვილი დავითი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 142 | ხოზრევანიძე გივი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 143 | გოგოლაშვილი გივი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 144 | თურმანიძე მამუკა | უპარტიო |
| 145 | გაბისონია თენგიზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 146 | უნდილაშვილი დავითი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 147 | კოხრეიძე შალვა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 148 | დიასამიძე თეიმურაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 149 | ბერიანიძე კამო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 150 | ჩარკვიანი ნიკოლოზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 151 | გოგიტიძე ცისკარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 152 | მჭედლიშვილი ილია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 153 | ჩავლეიშვილი ჯუმბერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 154 | წუწუნავა ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 155 | მაისურაძე მურმანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 156 | ხალვაში რაული | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 157 | დიასამიძე ავთანდილი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 158 | კვანტალიანი ვახტანგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 159 | ლაშხი დოდო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 160 | ცანავა ოთარი | უპარტიო |
| 161 | გორგილაძე გულნარა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 162 | ანთიძე თამაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 163 | გოგიტიძე ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 164 | გირგვლიანი ლერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 165 | მამუჭაძე ზაალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 166 | ჭელიძე ნიგარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 167 | თოთლაძე ნოდარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 168 | ჟორდანია იაშა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 169 | ჯვარიძე სერგო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 170 | აფციაური ლელა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 171 | ბერიძე ნარგიზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 172 | კობალაძე ტარიელი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 173 | გოგიაშვილი ჭაბუკი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 174 | ბუკია მალხაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 175 | კვახაძე რუსუდანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 176 | ღოღობერიძე თამარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 177 | ლეშკაშელი ნინო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 178 | დიასამიძე ირაკლი | უპარტიო |
| 179 | კახიძე ზაზა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 180 | იმნაძე გივი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 181 | დიდმანიძე იბრაიმი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 182 | სამხარაძე დევი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 183 | აბაშიძე ინდიკო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 184 | ჭანტურია ნოდარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 185 | თავაძე ნოდარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 186 | ბერიძე სულიკო | უპარტიო |
| 187 | დავითაძე ბესიკი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 188 | დიასამიძე მერაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 189 | დუმბაძე ნათელა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 190 | ღომიძე ხესპი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 191 | თევდორაშვილი ნაზიბროლა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 192 | ფეიქრიშვილი მაია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 193 | დევაძე ასლანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 194 | ცინცაძე ასიე | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 195 | ტყებუჩავა გიორგი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 196 | კალანდარიშვილი ბადრი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 197 | ტუღუში ჯაბა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 198 | სარჯველაძე მარინა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 199 | ხალვაში მერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 200 | ბოლქვაძე ლევანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 201 | ჩიკვაიძე შაქრო | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 202 | ცინცაძე გურამი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 203 | წოწორია პეტრე | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 204 | ბოლქვაძე ლევანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 205 | ახალაძე ირაკლი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 206 | ლეშკაშელი ზურაბი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 207 | ცინცქილაძე ბადრი | უპარტიო |
| 208 | ქიქავა ლია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 209 | გარუჩავა კახა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 210 | ბერიძე ნარგიზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 211 | ჯორბენაძე თემური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 212 | საბიაშვილი ფრიდონი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 213 | ართმელაძე თემური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 214 | დიასამიძე ჯამბული | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 215 | ბერიძე თემური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 216 | ლორთქიფანიძე ენვერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 217 | ბოლქვაძე რუსუდანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 218 | ძნელაძე ნანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 219 | დიასამიძე მანანა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 220 | ხინიკაძე კობა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 221 | აბულაძე გია | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 222 | კობალაძე ანზორი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 223 | მგელაძე მამული | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 224 | დუმბაძე რუსუდანი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 225 | ანთაძე ნონა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 226 | ჯანელიძე ბადრი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 227 | ტაბიძე ციური | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 228 | ადამია გოჩა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 229 | კევლიშვილი თამაზი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 230 | საათაშვილი ჯემალი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 231 | ქემხაძე კახაბერი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 232 | ჯიჯავაძე მედეა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 233 | დიდმანიძე ინესა | უპარტიო |
| 234 | დიასამიძე მარინა | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |
| 235 | კონცელიძე ნოდარი | დემოკრატიული აღორძინების კავშირი |

# მსოფლიო, მსოფლიო ზნეობა და ჩვენ

*მსოფლიო შვიდი რელიგიიის ერთი ოქროს კანონი: "შენი მთავარი მოვალეობაა არაფერი გაუკეთო სხვას ისეთი, რაც თავად ტკივილს მოგანიჭებდა" (ინდუიზმი - მაჰაბჰარატა XIII.114.8); ადამიანი ყველა სხვა არსებას ისე უნდა მოექცეს, როგორც მას თავად სურს რომ ექცეოდნენ (იაინიზმი - სუტრაკრიტანგა I.11.33); არ გაუკეთო სხვას ის, რაც არ გინდა რომ სხვამ შენ გაგიკეთოს (ჩინური რელიგია - კონფუცი 15.23); მდგომარეობა, რომელიც არ არის ჩემთვის სასიამოვნო და აღმაფრთოვანებელი, ასეთივე იქნება სხვისთვისაც (ბუდიზმი - სამუატა ნიკაია V,353.35-354.2); ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც თავად არ გენდომებოდა რომ გაგიკეთონ (იუდაიზმი - Sabbat 31 a); მოექეცი ყველაფერში ისე სხვას, როგორც თავად გინდა რომ გექცეოდნენ (ქრისტიანობა - მათე 7.12; ლუკა 6.31); ვერც ერთი თქვენგანი ვერ გახდება მორწმუნე, სანამ საკუთარ ძმას იგივეს არ უსურვებს, რასაც საკუთარ თავს (ისლამი - 40 ჰადითი, მუჰამედი 13).*

*ცხადია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტს ისლამთან არავითარი კავშირი არ გააჩნია; ცხადია, რომ კამიკაძეობას არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო რომელიმე რელიგიასთან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დღევანდელ მსოფლიოში, ანუ ტერაქტების ხანაში, ურთიერთდაპირისპირებები და ომები რელიგიის სახელს ამოფარებული ვითარდება. ისრაელისა და პალესტინის კრიზისი, 1992-1999 წლების ბალკანეთის ომი, უსამა ბინ ლადენი, ეკლესიების სურვილი, ჩაერთონ და უფრო მეტიც, წარმართონ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, აშკარად ცხადყოფს, რომ რელიგიებს თანამედროვე ცხოვრების წესის განსაზღვრაში ჯერ კიდევ დიდი როლი აქვთ.*

ნინო ცინცაძე

### ღმობიერების გზაზე, ანუ გოეთეს ინსტიტუტის პროექტი საქართველოში

**"ერებს შორის მშვიდობა არ იარსებებს, თუ არ იარსებებს მშვიდობა რელიგიებს შორის; რელიგიებს შორის მშვიდობა არ იარსებებს, თუ არ იარსებებს დიალოგი; დიალოგი არ იარსებებს, თუ არ იარსებებს ზნეობის მსოფლიო საზომი; ზნეობის გარეშე მსოფლიო ვერ გადარჩება,"** - ეს სიტყვები გერმანელ თეოლოგს, კათოლიკე მოძღვარს ჰანს კიუნგს ეკუთვნის. სხვისი აზრის მოსმენის კულტურა, გახსნილობა და ურთიერთშემწყნარებლობა - ითვლება, რომ ამ ღირებულებათა დეფიციტი დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებით მწვავეა. ჩემი აზრით, პირიქით, თანამედროვე მსოფლიომ ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯები გადადგა. დეფიციტის შეგრძნება კი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ ღირებულებათა მოთხოვნა ყოველდღე უფრო იზრდება. ძალიან ბევრ ქვეყანაში ამ ღირებულებათა პროპაგანდა ინსტიტუციონალურ დონეზე ხდება. სამოქალაქო განათლება სკოლათა კურიკულუმების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამ იდეების გავრცელებაში, როგორც წესი, აქტიურადაა ჩართული ე.წ. სამოქალო სექტორიც; ამ იდეათა დანერგვას ემსახურება მსოფლიო ეკლესიათა ის ნაწილიც, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ სახელმწიფოზე გავლენის მოპოვებითა და ურთიერთშუღლით არ არის შემოფარგლული.

რელიგიათაშორის დიალოგის აუცილებლობა მსოფლიომ განსაკუთრებით ნათლად 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაინახა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე დიდი ხანია, ხორციელდება პროექტი, რომელსაც ისლამთან დიალოგი ეწოდება. მსგავსი ტიპის ერთწლიანი პროექტი საქართველოში გოეთეს ინსტიტუტმაც წამოიწყო, ოღონდ არა მხოლოდ ისლამთან, არამედ საერთოდ რელიგიებთან დიალოგის ეგიდით. **"ჩვენი პროექტის სახელია "ღმობიერების გზაზე". დღევანდელ დღეს რელიგიებს შორის დიალოგს და ამ საკითხებზე საუბარს ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, თანაც, ვთვლით, რომ აუცილებელია არა მხოლოდ ისლამთან და სხვა რელიგიებთან დიალოგი, არამედ დიალოგი ქრისტიანულ ეკლესიებს შორისაც. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს პროექტი საქართველოშიც გაგვეხორციელებინა და იგი გერმანელ თეოლოგს ჰანს კიუნგს დავუკავშირეთ. სხვათაშორის, ქართულ ენაზე არსებობს მისი წიგნი "მსოფლიო ზნეობა", რომელიც ქართულად ზურაბ აბაშიძემ თარგმნა. მოვაწყობთ სემინარებს, პლაკატების გამოფენებს მსოფლიო რელიგიების შესახებ; პროექტის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია შვიდი ფილმი შვიდ ძირითად რელიგიაზე, რომელიც ქართულად ითარგმნება და ნაჩვენები იქნება არა მხოლოდ ჩვენს ინსტიტუტში, არამედ კინოთეატრებშიც. გარდა ამისა, თუ სკოლების სურვილი იქნება, მსგავსი გამოფენები და ჩვენებები სკოლებშიც მოეწყობა. ნოემბერში დაგეგმილი გვაქვს დიდი კონფერენცია, მოწვეული იქნება ის ადამიანი, რომელიც გერმანიაში ისლამურ პროექტს კურირებს, გვინდა, მოვიწვიოთ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები და საერთოდ ყველა, ვისაც ამ პროექტში მონაწილეობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი გაუჩნდება,"** - გვითხრა გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელმა ნათია მიქელაძემ.

18 თებერვალს პროექტის გახსნა მე-20 საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწეს, 1995 წელს წმინდანად შერაცხულ გრიგოლ ფერაძეს მიეძღვნა.

### დევნილი წმინდანი

გრიგოლ ფერაძე ძველი ქართული კულტურის მკვლევარი და სასულიერო მოღვაწე, ბონის უნივერსიტეტის ქართული და სომხური ფილოლოგიის პრივატდოცენტი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი და თეოლოგიის კათედრის გამგე გახლდათ. 1927 წელს ლოზანაში გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე იგი საქართველოს ეკლესიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო. მისი თაოსნობით გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია პარიზში და დაარსდა ჟურნალი "ჯვარი ვაზისა". გრიგოლ ფერაძე 1942 წელს დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, თავისი ცხოვრების გზისა და სიკვდილის წინ, მოყვასისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითის გამო, 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ იგი წმინდანად შეირაცხა. **"ქრისტიანობის არსი მტრობაში, შურსა და ავაზაკობაში როდია. მე ღრმად მწამს, მოვა დრო, როდესაც არა მხოლოდ რომაული და ბერძნული ეკლესია გაერთიანდება, არამედ ევანგელურიც, რომელიც, ასევე, ღმერთის სახლია. ერთიანობა რაღაც წმინდა და საოცარია, - ის ჩვენი უფლის ბოლო ლოცვაა მამისადმი და ბოლო წინასწარმეტყველებაც, რაც მაშინ აღსრულდება, როცა უფალიც ინებებს და საამისოდ შესაბამისი დრო დადგება. სიყვარულით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მას არ ეშინია წინააღმდეგობების - ის ყველაფერს იტანს და ყველაფერს ადნობს და აქრობს, რაც დასადნობი და გასაქრობია."** ეს სიტყვები გრიგოლ ფერაძემ ლოზანის კონფერენციაზე წარმოთქვა. იზოლაციონიზმი ქართული ეკლესიისათვის არასდროს ყოფილა დამახასიათებელი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია წერდა: **"გრიგოლ ფერაძე პირველია იმ ქართველთაგან, რომელთაც განზრახული აქვთ, თავისი ცოდნა და ენერგია ქართულ ეკლესიას მოახმარონ. მე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ამ ღვთის მოსაწონ საქმეში მას კურთხევას ვაძლევ. ფერაძე პირველი თეოლოგია, რომელიც გერმანიაში მიდის, შემდეგ კი სხვებიც გაჰყვებიან მის კვალს."** სამწუხაროდ, სხვები მის კვალს საკმაოდ დიდხანს ვერ მიჰყვნენ.

როგორც ვთქვით, გრიგოლ ფერაძე წმინდანად 1995 წლის სექტემბერში შერაცხეს. თუმცა, ეს გადაწყვეტილება ეკლესიას მთლად ერთსულოვნად არ მიუღია. დაარსდა კომისია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის ხელმძღვანელობით. ეს კომისია გრიგოლ ფერაძის წმინდანად შერაცხვას შემდეგი მიზეზით ეწინააღმდეგებოდა: სასულიერო პირობის პირველ პერიოდში გრიგოლ ფერაძე წვერს არ ატარებდაო. წინააღმდეგობის რეალური მიზეზები კი ბოლო წლებში უფრო აქტიურად გაისმა: როგორ შეიძლება გრიგოლ ფერაძის წმინდანობაზე ლაპარაკი, როდესაც იგი ეკუმენური მოძრაობის წარმომადგენელი იყოო. გრიგოლ ფერაძის ხატი დღეს მხოლოდ უნივერსიტეტის ეკლესიაშია დასვენებული. იგი უნივერსიტეტის ერთადერთი სტუდენტია, რომელიც წმინდანად შერაცხეს. ბოლო წლებში მის დღესასწაულს არც ერთ ქართულ ეკლესიაში არ აღნიშნავენ.

### ეკუმენური მოძრაობა - საშიში ტაბუ?

ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ქართულ ეკლესიებში ეკუმენურ მოძრაობას მხოლოდ ჩურჩულით და სამჯერ გადაფურთხებით თუ მოიხსენებენ; და ისიც რაღაც "ჟიდო-მასონური," საოცრად საშიში მოვლენის ნაწილად; მოკლედ, დაახლოებით ისე, ერთ დროს გვირაბი რომ გაჰყავდათ ბომბეიდან ლონდონამდე. თუმცა, ამ საკითხში ცოტათი მაინც თუ ეცდები გარკვევას, აღმოჩნდება, რომ საშიში აქ ნამდვილად არაფერია. ეკუმენური მოძრაობა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, ეს იდეა პარალელურად გაჩნდა როგორც პროტესტანტულ, ასევე მართლმადიდებლურ სამყაროში. მზადყოფნა დიალოგისთვის თავდაპირველად მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გამოთქვა. 1910 წელს მსოფლიო პატრიარქმა წერილობით მიმართა ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, რომლებიც ყოვლადწმინდა სამებისა და ქრისტეს ღმერთ-კაცობის დოგმას აღიარებენ, რათა ურთიერთდაახლოებისათვის მოძრაობა დაეწყოთ. ამ მოძრაობამ ნელ-ნელა ორგანიზებული სახე მიიღო, მისი მთავარი მიზანია ეკლესიებს შორის რელიგიური კავშირის აღდგენა, რადგან ქრისტიანულ მოძღვრებასა და სახარებისეულ სწავლებას ეწინააღმდეგება ის, რომ ქრისტიანები დაყოფილები არიან. ეკლესიათა გაერთიანებაში არ იგულისხმება ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთობა, ანდა რაიმე ახალი სუბორდინაციის შემოღება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ მოძრაობის გარშემო ორი საერთაშორისო კომისია ჩამოყალიბდა - ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და ევროპის ეკლესიათა კონფერენცია. ეს ორგანიზაციები, როგორც წესი, დიდ საქველმოქმედო პროექტებს უდგანან სათავეში და დაკავებულები არიან ისეთი საკითხებით, როგორიცაა ლტოლვილთა მიგრაცია, ომები, უმუშევრობა, შიმშილი, ტრეფიკინგი, ქალებისა და ბავშვების უფლებები და ა.შ. გარდა ამისა, ისინი სოლიდურ საერთაშორისო ტრიბუნებს წარმოადგენენ, სადაც პოლიტიკური საკითხების დაყენებაც შეიძლება. 1962 წლიდან ორივე ამ ორგანიზაციაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ოფიციალურად მონაწილეობდა, თანაც საკმაოდ აქტიურად; ისე რომ, 1980-იანი წლების პირველ ნახევარში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ილია II გახლდათ. ჩვენი საზოგადოებისათვის შედარებით უცნობი ფაქტია, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ჩვენმა კათალიკოს-პატრიარქმა ეს მაღალი ტრიბუნა ავღანეთში ჯარების შეყვანის წინააღმდეგ აზრის გამოსახატად გამოიყენა.

თუმცა, 80-იანი წლების მიწურულიდან საქართველოს ეკლესიაში ამ მოძრაობას სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა დაუწყეს. 1997 წლის 20 მაისს საქართველოს ეკლესიამ ორივე ეს ორგანიზაცია ერთდროულად დატოვა. დეკანოზი ბასილ კობახიძის აზრით, ეს მოვლენები, ქართული ეკლესიის იზოლაციაში დასატოვებლად, რუსეთის მხრიდან იყო ინსპირირებული, რათა რუსეთს გათიშე და იბატონეს პრინციპით კარგად ესარგებლა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თავად რუსები ამ მოძრაობაში ადრეც მონაწილეობდნენ და დღესაც მონაწილეობენ, ყველა სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად. **"საბჭოს წევრობაზე უარი მხოლოდ საქართველოსა და ბულგარეთს აქვს ნათქვამი. ამ ორ ეკლესიაზე რუსეთის გავლენის ძალა კი ყველასთვის ცნობილია. პირადი სტატუსით ორივე ამ ორგანიზაციაში მაინც ვმონაწილეობ ხოლმე, რათა ქართული ეკლესია რაღაცნაირად მაინც იყოს წარმოდგენილი. ივლისში ნორვეგიაში ვიყავი ევროპის ეკლესიათა ასამბლეაზე. იქ ვცადე, საბოლოო დოკუმენტში ჩასაწერად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხიც დამეყენებინა, რადგან დოკუმენტში კოსოვოსა და კვიპროსის შესახებ ჩაიდო პუნქტები, მაგრამ, როგორც კი საუბარი დავიწყე, მაშინვე რუსეთის დელეგაცია წამოხტა და ხმა ჩამაწყვეტინეს, ოფიციალური წარმომადგენელი აქ არ არის, მათ ჩვენთან ყოფნა არ უნდათ და არც ჩვენ უნდა გვქონდეს მათთან რაიმე საქმეო; რუსებმა ჩააგდეს ჩეჩნეთის საკითხიც,"** - ამბობს დეკანოზი ბასილ კობახიძე.

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განცხადება

### საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში სესბ-ის როლი და მისი ფუნქციები

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (სესბი) წარმოადგენს არაკომერციულ ასოციაციას, მას არ აქვს საწესდებო კაპიტალი და დამოუკიდებელია ბაზრის ყველა იმ წევრისგან, რომელსაც ის ემსახურება. სესბი ჩამოყალიბდა არამომგებიან ორგანიზაციად, რათა უზრუნველყოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიუკერძოებელი საქმიანობა.

სესბ-ს საბითუმო ბაზრის მომწოდებლებსა და საბითუმო მომხმარებლებს შორის ფინანსური ნაკადების მართვის მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. სესბი, როგორც ბაზრის ოპერატორი,

- არ ყიდულობს და არ ყიდის ელექტროენერგიას, ის ახდენს ელექტროენერგიის ნაკადისა და ფინანსური რესურსების მართვას, რაც მოიცავს მომწოდებლისა და მომხმარებლის ურთიერთდაკავშირებას, საბაზრო ფასების, პროგნოზირებული ანგარიშსწორების, დარიცხვისა და გადახდის მაჩვენებლებლების აღნუსხვას.
- დისტრიბუციიდან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემოსული თანხების ბაზრის წევრებს შორის ობიექტურად განაწილების გზით ხელს უწყობს ლიცენზიანტებს შორის სანდო, სამართლიანი და სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- უზრუნველყოფს ბაზრის გამართულად მუშაობას და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად, სესბ-ს თავის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბაზრის ზედამხედველობით ფუნქციას, ამ თვალსაზრისით, სესბი ვალდებულია ბაზარზე და მის წევრებზე მონიტორინგი განახორციელოს, აღმოაჩინოს დარღვევები და შეუსაბამობანი.
- სესბ-ი ცდილობს გახდეს ჭეშმარიტად წევრებზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც ბაზრის წევრებთან, მთავრობასთან, სემეკსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობებს გააღრმავებს.

სესბ-ის სურვილია, რომ მასში არა ელექტროენერგიის მომხმარებელი ან მიმწოდებელი, არამედ ის საანგარიშსწორებო ორგანიზაცია დაინახონ, რომელიც ბაზარს ჯანსაღი ეთიკური ნორმებით მართავს.

Mercy Corps

## ბიზნეს სექტორის ჩართულობა საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში

btc SCP South Caucasus Pipeline

მერსი ქორი, ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია უკვე რამდენიმე წელია თავის პროგრამებს ახორციელებს საქართველოში. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას მოსახლეობის/სამოქალაქო ორგანიზაციების, მთავრობისა და ბიზნეს სექტორის ურთიერთთანამშრომლობის გზით.

ბიზნეს სტრუქტურებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა, რომელსაც მერსი ქორი თავის პარტნიორ ქართულ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს ქვემო ქართლის რეგიონში. პროგრამა ინიცირებული და დაფინანსებულია საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორის, BP-სა და მისი პარტნიორების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტებში. პროგრამა შეიქმნა, რათა სარგებელი მოუტანოს მილსადენის გასწვრივ მდებარე მოსახლეობას.

თვით საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებშიც არაერთი მაგალითი ყოფილა ადგილობრივი ბიზნესისა და მოსახლეობის თანამშრომლობის კუთხით, როცა ბიზნესმენების დახმარებით სოფელმა შეძლო მათთვის პრიორიტეტული საკითხების გადაწყვეტა:

- ადგილობრივი ბიზნეს სტრუქტურები აქტიურად ერთვებიან სარეაბილიტაციო პროექტებში. მაგალითად, შეუძლებელი იქნებოდა სოფელ კარათაგლაში ახალი ორსართულიანი სკოლის მშენებლობა, რომ არა ამ ხალხის დახმარება. პროექტის განხორციელებისათვის სოფელმა შეძლო ძალიან დიდი წვლილის შეტანა. ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები, ელან აბდულაევი, მახადბად ჰასანოვი, რაგიმ ჰუსეინოვი, ისვახან ალიევ, ზაბიდ სადიკოვი და სხვები, რომლებიც ამჟამად მოსკოვსა თუ ბაქოში მოღვაწეობენ, რეგულარულად ეხმარებიან სოფელს რათა შეძლონ ფინანსური კონტრიბუციის გაღება. გარდა ამისა, სოფელმა ბაქოში მაცხოვრებელი თანასოფლებებისაგან საჩუქრად მიიღო მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა სკოლის შენობისათვის. ასევე კარგი მაგალითია სოფელი კესალო, რომელიც ამჟამად ბუნებრივი გაზის სისტემის მოწყობაზე მუშაობს. ამ პროექტის წარმატება, ასევე, შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთ მცხოვრები მათი თანასოფლელების დიდი ფინანსური დახმარების წყალობით, რომელთაც ანონიმურად დარჩენა მოისურვეს.
- ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის ასევე საინტერესო მაგალითია ერთ-ერთი ადგილობრივი მეწარმის ჩართვა საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის სოციალური მომსახურეობის კომპონენტში. სოფლების, ივანოვკასა და ჯიგრაშენის მოსახლეობამ ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც შეძენილი ძროხებისაგან მიღებული მოგებიდან მეწარმე დააფინანსებს სოფლის მოსახლეობასთან ექიმის რეგულარულ ვიზიტსა და მედიკამენტებს. მერსი ქორისა და საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის თანამშრომლები, დაახლოებით, 2 წლის განმავლობაში ზედამხედველობას გაუწევენ ამ პროცესს და იმედი აქვთ, რომ ეს სისტემა პროგრამის დასრულების შემდეგაც იმუშავებს.

# სოხუმი ქართველ მესაზღვრეებს საპასუხო ცეცხლით ემუქრება

პირველი გვერდიდან

აფხაზური მხარის განმარტებით, ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარება აფხაზური მილიციისა და ვალმერ ბუთბას დაჯგუფების მონაწილეობით აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც კრიმინოგენული მდგომარეობა გალის რაიონის სოფელ ოტობაიასა და, ზოგადად, ქვედა ზონის სოფლებში ძალიან დაიძაბა. საქმე ეხება 7 თებერვალს ოტობაიაში მომხდარ მკვლელობას, როდესაც სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ხვინგიამ შელაპარაკების შედეგად დანით მოკლა თავისივე თანასოფლელი ხუფენია. ამის შემდეგ დაპირისპირება გაგრძელდა და ხუფენიებმა ხვინგიების სახლ-კარი გადაწვეს. "მსგავსი მოვლენების აღკვეთის მიზნით ჩავატარეთ სპეცოპერაცია, რომელსაც ქართული მხარე "სადამსჯელო ოპერაციას"უწოდებს. ქართველთა შეფასება არ არის სწორი", აცხადებენ აფხაზი სეპარატისტები. ქართველები კი უკან არ იხევენ და მომხდარს ქართველთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის კვალიფიკაციას აძლევენ.

**"ეს იყო ეთნიკური წმენდა და არა ანტიკრიმინალური ოპერაცია". გიგლა და მანუჩარ შენგელიებისა და ხუფენიების ოჯახიდან აყვანილი მძევლების ბედი გაურკვეველია. მე გაერო-ს და რუსეთის სამშვიდობო ძალების აქტიურ ჩართვას მოვითხოვ მათი ბედის დადგენის საკითხში,"**- განაცხადა ჩვენთან საუბრისას გალის ქართული პოლიციის უფროსის მოადგილემ თენგიზ ძაძუამ.

რაც შეეხება, დაახლოებით, თვენახევრის წინ ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიადან აფხაზების მიერ გატაცებული დათო ბაძაღუას საკითხს, გალის აფხაზური ადმინისტრაციის მერის ვალერი ლომიას განცხადებით, მას შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ ბაძაღუას აფხაზეთის ტერიტორიაზე ფეხი არ დაუდგამს.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებას თბილისთან შეუთანხმებლად აფხაზეთში შემავალი გემებისათვის ცეცხლის გახსნის შესახებ აფხაზური მხარე ბოლო დღეების გნმავლობაში აქტიურად პასუხობს. **"ბრძანების შესაბამისად, თუ ქართველი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში ცეცხლს გახსნიან, აფხაზი მესაზღვრეები ქართველ კოლეგებს ყვავილებით არ შეხვდებიან და საპასუხო ცეცხლს გაუხსნიან,** – აცხადებს სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი ვიაჩესლავ ეშბა, **- მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი სააკაშვილი სრულ ინფორმაციას მიიღებს იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში მხოლოდ სურსათ-სანოვაგითა და პროდუქტებით დატვირთული გემები შედის, იგი მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს თავის გადაწყვეტილებაში."** მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებამდეც და მის შემდეგაც აფხაზი მესაზღვრეები აგრძელებენ აფხაზეთის ტერიტორიული წყლების დაცვას. იგივე პოზიცია




*აფხაზეთის საზღვაო აკვატორია იარაღისა და ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფნად გამოიყენება.*

აქვს სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელს სერგეი შამბას და საქართველოს ახალი პრეზიდენტის პრეტენზიას, რომ აფხაზეთის ტერიტორია არ შეიძლება იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტად იქცეს, არასერიოზულს უწოდებს. შამბას თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო დამკვირვებლებს აფხაზეთის ხელისუფლებასთან პრეტენზიები არასდროს გამოუთქვამთ იარაღისა და ნარკოტიკის ტრანზიტთან და გატაცებებთან დაკავშირებით.

**"მე არაერთხელ მითქვამს – ენგურის ზოლის კრიმინალიზაცია მოხდა-მეთქი. ტერიტორია, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, საერთაშორისო ტერორიზმის ბუდედ იქცა. აფხაზეთი საერთაშორისო ძებნილების თავშესაფარი გახდა, მათ შორის არიან რუსეთის მიერ ძებნილებიც.**

**ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ტერიტორია გამოიყენებოდა იარაღისა და ნარკოტიკების გადატანისა და ბოევიკთა გადასროლის დერეფნად. ამ საქმისთვის ყველაზე წარმატებულად გამოიყენება საზღვაო აკვატორია, რომელიც კონტროლის გარეშეა დარჩენილი. ამ თემაზე საკმაოდ სერიოზული ანალიზის გაკეთება შეიძლება და ეს ჩვენს სამსახურს გაკეთებულიც აქვს. მარშრუტი ასეთია: ნარკოტიკები საზღვაო გზით შემოდის აფხაზეთში და შემდეგ გადმოდის საქართველოში, მთებით გადის ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო ფსოუს საზღვრიდან რუსეთში ვრცელდება. ეს ინფორმაცია დადასტურებულია, ანუ დადგენილია, რომ აფხაზეთი იარაღისა და ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფანად გამოიყენება და ეს გზა დღესაც საკმაოდ აქტიურად მოქმედებს. ჩვენმა მესაზღვრეებმა არაერთხელ დააკავეს საზღვრის უკანონო დამრღვევი გემები. მაგრამ იმ დროს, როცა ისინი გამოდიოდნენ აფხაზეთიდან, სამწუხაროდ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ აფხაზეთში მიმავალი დატვირთული გემი დაგვეკავებინოს.**

**ვინ იყვნენ აკა, ლევან, პაშა არძინბები? აფხაზეთში სამოქმედო ტერიტორიები და სფეროები დაყოფილია, ზოგი სიგარეტზე, ზოგი ხე-ტყეზე, იარაღზე, ნარკოტიკებზე, ქვანახშირზე და ა.შ. მუშაობს. ამ საქმეში ორივე მხარის კრიმინალები არიან ჩართული და შეთანხმებულად მუშაობენ,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ.

სხვათა შორის, აფხაზეთის საზღვაო აკვატორიის იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტად ქცევის და რეგიონიდან საერთაშორისო ტერორიზმის ექსპორტის შესახებაც თავის დროზე უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამაც არაერთხელ გააკეთა ხმაურიანი განცხადებები. სულ ცოტა ხნის წინ ვალერი ხაბურძანიამ არძინბას სპეცსამსახურის მიერ "დამუშავებული" და თბილისში "ტერორისტული" დავალებით ჩამოსული ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის სოფელ შასლივოედანის მკვიდრი ნაზირ ნაიდაბოროვიც დააკავა. ამრიგად, არძინბას ხელისუფლებას, რომელიც ბოლო პერიოდში ქართველი მესაზღვრეების მისამართით ხან აგრბასა და ხანაც ეშბას პირით აკეთებს განცხადებებს, შეშფოთების საფუძველი ნამდვილად აქვს. მით უმეტეს, რომ ქართულმა მხარემ გუშინ უკვე კატეგორიულად დასვა ენგურის მარჯვენა სანაპიროზე აფხაზ სეპარატისტთა მიერ მოწყობილი საგუშაგოების გაუქმებისა და იქიდან შეიარაღებული მესაზღვრეების გაყვანის საკითხი. კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდლის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ენგურის მარჯვენა სანაპირო არის ადმინისტრაციული და არა სახელმწიფო საზღვარი, ამიტომაც იქ არ უნდა იდგეს საგუშაგოები და არ უნდა იყვნენ შეიარაღებული პირები, რომელთაც თავად აფხაზები ხან მესაზღვრეებსა და ხანაც მებაჟეებს უწოდებენ.

# "პოლიციური კვირეული" გაიხსნა

## საგზაო პოლიციამ საქართველოს ბიუჯეტს 20 მილიონი "შეუჭამა"

*გენერალური პროკურორის მიერ გამოცხადებული მორიგი "სადამსჯელო რაუნდი" – პოლიციური კვირა, რომელმაც ძალიან ბევრ სამხრეებიანს სიმშვიდე დაუფრთხო, ერთთვიანი დაგვიანების შემდეგ, გუშინ დაიწყო. გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებული შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამჟამად საქართველოს საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსი დავით თოდუა და საგზაო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კობახიძე პროკურატურის გამომძიებლებს რამდენიმე საათის მანძილზე აძლევდნენ ჩვენებებს.*

ინგა ალავიძე

იმპორტირებული მანქანიების რეგისტრაციისას დაშვებულ კანონდარღვევებზე, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტმა სერიოზული ზარალი ნახა, გენერალურმა პროკურატურამ საქმე, დაახლოებით, თვენახევრის წინ აღძრა. საქმის აღძვრის საფუძველი ანტიკორუფციული საბჭოს მიერ კონკრეტულ კანონდარღვევებზე გაკეთებული სერიოზული დასკვნა გახდა.

საგზაო პოლიციის მიმართ კორუფციული პრეტენზიები დღეს და გუშინ არ გაჩენილა. ამ უწყებაში არსებულ პრობლემებზე ანტიკორუფციული საბჭოს "თორმეტკაცამ" იმუშავა, დოკუმენტალურად გამყარებული დასკვნაც დაწერა და თავის დროზე ხმაურიც ატეხა. თუმცა, უშედეგოდ - შსს-სა და საგზაო პოლიციის მაღალჩინოსნებისთვის ანტიკორუფციულის მიერ წაყენებულ სოლიდურ ბრალდებებს სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია. არადა, ანტიკორუფციულმა საბჭომ მოკვლეული მასალების საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციები შეიმუშავა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა.

ანტიკორუფციულმა საბჭომ საგზაო პოლიციას წვრილად დაუთვალა – საგზაო მოძრაობის წესების ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან, მართვის მოწმობების გაცემისა თუ მანქანების რეგისტრაციიდან შესული კანონიერი და უკანონო შემოსავლები. გამოვიდა, რომ საგზაო პოლიციამ საქართველოს ბიუჯეტს, დაახლოებით, 20 მილიონი ლარი დააკლო. მოპარული თანხის ნახევარზე მეტი უცხოეთიდან შემოყვანილი მანქანების რეგისტრაციიდან მიღებული თანხებია.

ანტიკორუფციული საბჭოსა და საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წელს საქართველოში იმპორტის რეჟიმით შემოვიდა 20 ათას 231 ავტომობილი, რომელთაგან განბაჟდა 10 ათას 772 და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა 7,9 მილიონი ლარი შეადგინა. ხოლო დანარჩენი 12 ათასს 437 (მათ შორის - 2 ათას 978 დროებითი რეჟიმით ან ტრანზიტულად შემოყვანილი) ავტომობილი, საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, საერთოდ არ განბაჟებულა. მიუხედავად ამისა, შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ყველა ეს განუბაჟებელი ავტომობილი რეგისტრირებულია საგზაო პოლიციაში, მათზე გაცემულია ტექპასპორტები და სანომრე ნიშნები, რაც კანონის უხეში დარღვევაა. თუმცა, როგორც ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტების დასკვნაშია ნათქვამი, შესაბამისი სტრუქტურები (მაგალითად, საგანგებო ლეგიონი), უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები უკანონო რეგისტრაციისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენით თავს დიდად არ იწუხებდნენ – 2002-2003 წლებში მათ 49 ასეთი შემთხვევა გამოავლინეს, რაც, ანტიკორუფციულის დაანგარიშებით, დარღვევათა საერთო რაოდენობის 0,18 პროცენტს შეადგენს. არადა, ანტიკორუფციული ბიუროს სამი თანამშრომლის მიერ ათი დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლენილ იქნა 2002 წლის განმავლობაში განუბაჟებელი ავტომობილების საგზაო პოლიციაში უკანონო რეგისტრაციის 235 ფაქტი.

საქართველოს ბიუჯეტმა 2002 წლის განმავლობაში საბაჟო გაფორმების გარეშე საგზაო პოლიციის მიერ რეგისტრაციაში უკანონოდ გატარებული ავტომობილების გამო, სავარაუდოდ, 9 - 10 მილიონი ლარი იზარალა.





*დავით თოდუამ და დავით კობახიძემ გენერალური პროკურატურა ეჭვმიტანილის სტატუსით დატოვეს.*

გარდა ამისა, ანტიკორუფციულმა საბჭომ შსს-ს მაღალჩინოსნები "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევაში, ანუ ეკოდიაგნოსტიკის ჩამტარებელი ფირმის ლობირებაში დადანაშაულა.

შპს "რუბიკონისა" და შპს "ავტოეკოცენტრის" საქმის განხილვის შემდეგ საბჭომ დაასკვნა, რომ **"მიმდინარე დავის განმავლობაში შ.პ.ს "რუბიკონის" დირექტორი დაბარებულ იქნა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო სამსახურში, სადაც, სავარაუდოდ, დაშინებით ჩამოერთვა ახსნა-განმარტება არარსებულ ფაქტთან დაკავშირებით, რითაც კიდევ ერთხელ გამოიხატა შს სამინისტროს შესაბამისი ორგანოების ნება - ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა შეენარჩუნებინა შპს "ავტოეკოცენტრს". უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი დავის თაობაზე განმცხადებლის მიერ რამდენჯერმე წერილობით იქნა ინფორმირებული შს მინისტრის შესაბამისი მოადგილე, საქართველოს გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, თუმცა მათი მხრიდან რაიმე ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა."** არსებული ინფორმაციით, შსს-ს მაღალჩინოსანთა მფარველობით ამ სფეროში მხოლოდ ორი ფირმა მოქმედებდა საქართველოში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - "ეკოლოგია", ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე "ავტოეკოცენტრი". სხვა იურიდიულ პირებს ამ განხრით საქმიანობა, ფაქტობრივად, აკრძალული ჰქონდათ.

ამ და სხვა დარღვევებზე დაწერილ სქელტანიან დასკვნაში ანტიკორუფციულმა "თორმეტკაცამ" პასუხისმგებლობა ორ უწყებაზე გადაანაწილა და შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოსთხოვა, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ უკავშირდებოდა დასკვნაში მოყვანილ ფაქტებს.

**"ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, განიხილოს სამინისტროს იმ თანამდებობის პირთა საკითხი, რომელთა საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება დასკვნაში მოყვანილ მასალებს, მათ შორის - საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის საკითხი. ეთხოვოს აგრეთვე ფინანსთა მინისტრს, განიხილოს საბაჟო დეპარტამენტისა და საგანგებო ლეგიონის იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება მანქანების გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებს; გამოვლენილი დარღვევების შესახებ მასალები გადაეგზავნოს პროკურატურას და ეს დასკვნა ეცნობოს საქართველოს პრეზიდენტს. რადგანაც კონკრეტული პირების გათავისუფლება არ მოაგვარებს პრობლემას, ამიტომ არის კიდევ ერთი პუნქტი - შს და ფინანსთა სამინისტროს მიეცემა ერთთვიანი ვადა, რომ წარმოადგინონ კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ ხედავენ ამ პრობლემის მოგვარებას",** - ასეთი ვერდიქტი გამოიტანა ანტიკორუფციულმა საბჭომ.

მასალები რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა, რეკომენდაცია კი – საქართველოს პრეზიდენტს. პირველი სწორედ ედუარდ შევარდნაძე გამოეხმაურა დასკვნას და რეკომენდაციაზე ასეთი შთამბეჭდავი რეზოლუცია დაადო: **"1. ბატონ კობა ნარჩემაშვილს. ამ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საგზაო პოლიციაში დაკანონებულია კორუფცია და გამომძალველობა. დაუყოვნებლივ შეუდექით ამ პრობლემის შესწავლას და რეაგირებას.**

**2. ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეს. მოიფიქრეთ, რა საშუალებებით შეიძლება ვებრძოლოთ ასეთი სახის დანაშაულს, რომელსაც მასიური ხასიათი აქვს. მომახსენეთ სასწრაფოდ". "განხილვები და შემოწმებები ჩატარდეს საჯაროდ. მოსახლეობამ ყველაფერი უნდა იცოდეს, საქმის კურსში იყოს ანტიკორუფციული ბიურო". ასეთი მინაწერი აქვს პრეზიდენტის რეზოლუციას.**

თუმცა, როგორც ცნობილია, ამ სკანდალურ ნამუშევარს ერთადერთი რეაგირება მოჰყვა და ისიც კარგა ხნის დაგვიანებითა და ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ეხებოდა. გარიგება შემდეგი გეგმით შედგა. დავით კობახიძემ საკუთარი სურვილით თანამდებობა დატოვა და სამართლებრივ დევნასაც გადაურჩა; სამაგიეროდ, მისი მეგობარი, შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, ფაქტობრივად, საიმპიჩმენტო პროცედურისგან იხსნა. შესაბამისად, საქმე გენერალურ პროკურატურაშიც დაკონსერვდა.

გუშინ დავით თოდუამ და დავით კობახიძემ გენერალური პროკურატურა რამდენიმე საათიანი დაკითხვის შემდეგ ეჭვმიტანილის სტატუსით დატოვეს.

დაკითხვიდან გამოსულმა დავით კობახიძემ კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. დავით თოდუას განცხადებით კი, იგი ავტომანქანების რეგისტრაციასთან დაკავშირებით დაიკითხა. მისივე თქმით, ანტიკორუფციული საბჭოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალებზე დაყრდნობით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და იგი, სავარაუდოდ, კიდევ გამოცხადდება დაკითხვაზე. დავით თოდუას ადვოკატი დავით დგებუაძეც ადასტურებს, რომ საქმე აღძრულია მხოლოდ ავტომანქანების განუბაჟებლობასთან დაკავშირებით და თოდუა იმიტომ აძლევდა გამომძიებელს განმარტებებს ამ საქმეზე, რომ იგი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო და ამ დარგს კურირებდა.

უახლოეს დღეებში გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი შს მინისტრს გიორგი ბარამიძეს ოფიციალური წერილით მიმართავს და საპასპორტო-სავიზო რეჟიმის სამსახურის უფროსის დავით თოდუას თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უახლოეს დღეებში თოდუა-კობახიძეს პროკურატურაში კიდევ ერთხელ მიუწევთ მისვლა. ისინი, სავარაუდოდ, ბრალდების წარდგენის დადგენილებას გაეცნობიან.

პროკურატურაში მისვლა მოუწევს საგზაო პოლიციის ახლანდელ ხელმძღვანელსაც. შალვა ოგბაიძეს მოწვევა პროკურატურიდან უკვე მიუვიდა. მას დღეს მოწმის სტატუსით დაკითხავენ. წინასწარი ინფორმაციით, მანქანების უკანონო განბაჟება ოგბაიძის მუშაობის პერიოდშიც ხდებოდა.

# ბათუმში ჩასულ საგამოძიებო ჯგუფს წინააღმდეგობა შეხვდა

ბათუმში სპეციალური მივლინებით გამგზავრებული გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლებით არის დაკომპლექტებული და რომლის მიზანიც "საქართველოს საზღვაო ბანკში" არსებული ფინანსური დარღვევების გამოვლენაა, გუშინ საზღვაო ბანკში არ შეუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს "საქართველოს საზღვაო ბანკში" შესასვლელად და იქიდან დოკუმენტაციის ამოსაღებად ყველა შესაბამისი სანქცია წესრიგში ჰქონდათ, მათი იქ შეღწევა მაინც ვერ მოხერხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბანკში საგამოძიებო ჯგუფის შესვლას ხელი შეუშალა ბანკისვე ხელმძღვანელობამ, რომლის ერთ-ერთ არაოფიციალურ წევრადაც აჭარის უშიშროების საბჭოს მდივანი სახელდება.

მოგვიანებით, გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა შუამდგომლობით მიმართეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯემალ გოგიტიძეს, რათა მომხდარიყო საგამოძიებო ნაწილის შეშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი გამოძიებას იძულებითი წესით მოქმედების საშუალებას აძლევს.

**"გენერალური პროკურატურის სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ბათუმს არავითარ შემთხვევაში არ დატოვებს მანამ, სანამ საგამოძიებო მოქმედებებს არ ჩაატარებს. ჩვენ ყველანაირ პროცესუალურ ნორმებს ვიცავთ. "საქართველოს საზღვაო ბანკში" შესვლა, იქაური დოკუმენტაციის შესწავლა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება აბსოლუტურად კანონიერი მოთხოვნაა, რომელსაც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს ბრძანებაც უმაგრებს ზურგს",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გენერალური პროკურორის მოადგილემ და საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა კახა კობერიძემ. მისივე ინფორმაციით, ჯგუფის წევრებმა დღის მეორე ნახევარში დაპირება მიიღეს, რომ მათ შესვლას "საქართველოს საზღვაო ბანკში" წინააღმდეგობა აღარ მოჰყვება.

**"კანონი იმის უფლებასაც გვაძლევს, რომ თუკი ვინმე კვლავ წინააღმდეგობას გაუწევს საგამოძიებო ჯგუფს გამოძიების ჩატარებაში, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დავსვათ. არა მგონია, სიტუაცია გართულდეს",** - გვითხრა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

გენერალური პროკურატურის გამომძიებლები ბათუმში არსებულ "საქართველოს საზღვაო ბანკში" საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩებიან. ისინი ბანკიდან ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის ამოღებას გეგმავენ და, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალჩინოსნებთან ერთად, სხვა რანგის მოხელეებსაც დაკითხავენ. ჯგუფის ხელთ არსებულ დასაკითხთა სიაში 30 მოხელეა ჩაწერილი. ბანკიდან ამოღებულ დოკუმენტაციას სათანადო ექსპერტიზები და რევიზიები ჩაუტარდება.

შეგახსენებთ, რომ "საზღვაო ბანკთან" დაკავშირებით გენპროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე ერთ-ერთი თურქული ფირმის მეპატრონის საჩივრის საფუძველზე აღიძრა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სხვისი ქონების მითვისების მუხლით. **"გამოძიება გაარკვევს ყველა დეტალს, როგორც კონკრეტულ ფაქტთან, ასევე სხვა დარღვევებთან დაკავშირებით და დაისჯება ყველა პირი მისი თანამდებობის მიუხედავად - იქნებიან ისინი "საზღვაო ბანკის", თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები,"** - აცხადებს კახა კობერიძე.

*24 საათი*

## ამერიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ერთგული მეგობარია


კოლინ პაუელი კვლავ ადასტურებს, რომ ამერიკა საქართველოს მეგობარია.

ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში გამგზავრების წინ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს შეხვდა. საუბარი შეეხო საქართველოსა და ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობას როგორც უსაფრთხოების სფეროში, ასევე დემოკრატიისა და პოლიტიკის საკითხებში. მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს წვლილი შეაქვს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ის ამით ამაყობს. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მალე ერაყში ქართული სამხედრო კონტიგენტის შემადგენლობა გაფართოვდება.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთხელ გამოთქვა მადლიერება საქართველოში პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიაზე მიწვევისა და ქართველ ხალხთან შეხვედრის შესაძლებლობის გამო. კოლინ პაუელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო მოღვაწეობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. მისი თქმით, დემოკრატიულ სახელმწიფოში კორუფციასთან შეგუება მიუღებელი და დაუშვებელია.

სახელმწიფო მდივანმა დადებითად შეაფასა საქართველოს ძალისხმევა, დაამყაროს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა და განავითაროს თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში.

შეხვედრაზე კოლინ პაუელმა ყურადღება გაამახვილა ერაყის სტაბილიზაციასა და ამ პროცესში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ამერიკა საქართველოს ერთგული მეგობარია.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*


საუბარი კონდოლიზა რაისთან.


ტენეტი მოხარულია საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის.

## ქართველებმა ღირსეული ადგილი სამშობლოში უნდა იპოვნონ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს შეხვდა. ამერიკის უდიდეს ქალაქში მასთან შეხვედრას უამრავი ქართველი ელოდებოდა.

**"დადგა დრო ჩვენი ერთიანობისა,"** - მიმართა პრეზიდენტმა დამსწრე საზოგადოებას და 90-იანი წლების დასაწყისი გაიხსენა, ის დრო, როცა არავინ იცოდა, რა იყო საქართველო. **"მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს სხვა ვითარებაა! ის, რომ გაჭირვების ჟამს საქართველო მთელმა მსოფლიომ დაიცვა, უკვე დიდი მონაპოვარია. ეს კი მხოლოდ სააკაშვილის დამსახურება არ არის - ეს ჩვენი ხალხისა და საოცარი ქართული ნიჭის დამსახურებაა. "ვარდების რევოლუცია" კეთილშობილების, გულწრფელობისა და პატიოსნების ზეიმი იყო, გამარჯვება - ყოველგვარ უწმინდურობასა და სიცრუეზე,"** - განუცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს.

მიხეილ სააკაშვილი დაჰპირდა მათ, რომ საქართველოში მალე ცხოვრებისა და მუშაობის სათანადო პირობებს შექმნის და ყველას სამშობლოში დააბრუნებს.

**"ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უცხო ქვეყანაში გაუსაძლისი შრომა, ისეთი ნიჭიერი, შრომისმოყვარე ხალხისთვის, როგორებიც ქართველები არიან, სრულიად მიუღებელია. მოვა დრო, როცა ყველანი დაუბრუნდებით მშობლიურ მხარეს და თითოეული თქვენთაგანი ღირსეულ ადგილს, სწორედ, საქართველოში დაიმკვიდრებს,"** - აღნიშნა მან.



შეხვედრა ქართულ დიასპორასთან.

## მიხეილ სააკაშვილი: "აფხაზეთის დაბრუნება ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია"

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილი მზად არის, განაგრძოს რუსეთთან ურთიერთობა როგორც სოჭისა და ჟენევის, ასევე გაეროს ფორმატით და ყველანაირ სამშვიდობო მოლაპარაკებას მრავალმხრივ კონტექსტში განიხილავს. თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვნად მიაჩნია კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაც. "მტრობა უნდა გადავლახოთ, მაგრამ არა პრინციპულ საკითხების დათმობის ხარჯზე. კონფლიქტი ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ გადაწყვეტილებები თავს არავინ მოგვახვიოს. ამან, შესაძლოა, ახალი ტერიტორიები დაგვაკარგვინოს და დამატებითი პრობლემები შეგვიქმნას. ჩვენ დასაკარგი ტერიტორიები არ გვაქვს. საქართველო უნდა გაძლიერდეს და მჯერა, რომ გაეროს როლი ძალზე კონსტრუქციული იქნება. თუმცა მთავარი სამუშაო, რომელიც ქვეყნის გაძლიერებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარებას შეუწყობს ხელს, ჩვენს ქვეყანაშივე უნდა შევასრულოთ. და არავისთვისაა საიდუმლო, რომ ეს ჩემი პრეზიდენტობის მთავარი მიზანია.

## საქართველო 164 მილიონ დოლარს მომავალი წლიდან მიიღებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპიკერს დენის ჰასტერტს შეხვდა, რის შემდეგაც მათ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის კომენტარები გააკეთეს.

**"საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საკმაოდ მჭიდრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობაა,** - განაცხადა კონგრესმენმა, - **ჩვენ, ურთიერთსასარგებლო ინტერესების გათვალისწინებით, რამდენიმე დარგში ვთანამშრომლობთ. განსაკუთრებით გამოვყოფდი თავდაცვის სფეროს. დღეს ეს ქვეყანა ახალი ხელმძღვანელობით წარმოგვიდგა, რომელიც, დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მოვალეობის შესრულებას. ახალ პრეზიდენტს და მის გუნდს ბევრი აქვთ გასაკეთებელი და იმედს გამოვთქვამთ, რომ ქვეყანაში დღესდღეობით არსებულ სირთულეებს თავს წარმატებით გაართმევენ."** როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, უკვე ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შუამდგომლობით და კონგრესის თანხმობით, საქართველო 164 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

**"ასეთი სოლიდური დახმარება უპრეცედენტო ფაქტია. კონგრესთან მოლაპარაკებას მაინც ვაგრძელებთ, რათა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს თანხა კიდევ უფრო გაიზარდოს. გამოყოფილი დახმარება საქართველოში ცალკეული ინსტიტუტების გაძლიერებას, ენერგეტიკის განვითარებას, პოლიციის რეფორმასა და მძლავრი ქართული ჯარის ჩამოყალიბებას მოხმარდება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა აქვე დასძინა, რომ ამ თანხას მომავალი წლიდან მივიღებთ.

**"რევოლუცია სამი თვით ადრე რომ მომხდარიყო, ფული წელსვე წამოვიდოდა. ჯერჯერობით კი, შარშანდელ დაფინანსებას უნდა დავჯერდეთ,"** - აღნიშნა მან.

ლაპარაკი, ასევე, შეეხო პარლამენტის 28 მარტის არჩევნებში უცხოელი მეთვალყურეების მოწვევის მიზანშეწონილობას, რაზეც პრეზიდენტმა განაცხადა: **"უნდა დავუმტკიცოთ ყველას, მათ შორის მათ, ვისაც საქართველოში დემოკრატიის განვითარების არ სჯერა, რომ ეს არჩევნები უთუოდ სამაგალითოდ გაიმართება".**

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*


დენის ჰასტერტი და მიხეილ სააკაშვილი.

### მოკლედ

#### ხელი მოეწერა "განზრახულობათა მემორანდუმს" აშშ-სა და საქართველოს შორის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დღეს მოეწერა ხელი "განზრახულობათა მემორანდუმს" აშშ-სა და საქართველოს შორის, რომელიც საქართველოსათვის უსაფრთხოების სფეროში დახმარების გაწევას ითვალისწინებს.

საქართველოს მთავრობას აღნიშნულ დახმარებას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი გაუწევს. დახმარება ანტიტერორისტულ პროგრამას ითვალისწინებს, რომელშიც შედის - აეროპორტის უსაფრთხოების მენეჯმენტის მომზადება, ტერორისტული აქტის შემდგომ ადგილზე გამოძიების წარმოება, ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მძევალთა გათავისუფლებისთვის მოლაპარაკებათა წარმართვა და კონკრეტული კრიზისული სიტუაციების მოგვარება.

სწავლებებს გაუძღვებიან აშშ-ს საბაჟო დეპარტამენტის, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს და სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტები. უკვე მომავალ თვეში საქართველოს მთავრობის 24 წარმომადგენელი მონაწილეობას მიიღებს ოთხკვირიან სასწავლო კურსში, რომელიც აშშ-ში, ნიუ-მექსიკოში გაიმართება. ეს არის პირველადი რეაგირების სასწავლო კურსი საქართველოს მთავრობის იმ ოფიციალური პირებისთვის, რომელთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს თბილისში მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შემთხვევაში სათანადო ზომების მიღება.

როგორც ხელმოწერის ცერემონიალზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში პატრიცია მილერმა განაცხადა, აშშ კვლავაც გამოთქვამს მზადყოფნას, საქართველოს მთავრობას სამართალდამცველი სტრუქტურის და უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება-რეორგანიზაციაში დაეხმაროს.

*ინტერ-პრესი*

#### ქართველი სამშვიდობოები ერაყში ორ ჯგუფად გაემგზავრებიან

ქართველი სამშვიდობოები, როტაციის ფარგლებში, ერაყში ორ ჯგუფად გაემგზავრებიან. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ინფორმაციით, დაახლოებით, 160 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით პირველი ჯგუფის გასვლა მარტის პირველი რიცხვებისათვის იგეგმება. მეორე ჯგუფი, რომელსაც ამჟამად ამზადებენ, საორიენტაციოდ, აპრილი-მაისში გაემგზავრება.

ერაყში ქართველ სამშვიდობოთა რაოდენობა და მათ წინაშე მდგარი ამოცანები ამ ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო კოალიციის ძალების სარდლობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დგინდება.

დღეისთვის ერაყში იმყოფება შარშან აგვისტოს თვეში გაგზავნილი 70-კაციანი ქვედანაყოფი, რომელშიც სპეცრაზმის მებრძოლები, სამხედრო ექიმები და ინჟინერ-გამნაღმველები შედიან. როტაცია თებერვლის დასაწყისისათვის იგეგმებოდა, თუმცა მიზეზთა გამო, გადაიდო.

*პრაიმ-ნიუსი*



# მათიას იორში: "თქვენ ახლა ძალიან რთული პერიოდის წინაშე დგახართ"

## ხელისუფლებას საზოგადოების იმხელა ნდობა აქვს, რომ შეეძლო, არ წასულიყო ასეთ რისკზე

პირველი გვერდიდან

**- რითია შოკირებული ბატონი იორში?**

- ჩვენ ახლა გვაქვს ეგრეთ წოდებული წინასაარჩევნო დამკვირვებელთა მისია. გვინდა, დავაკვირდეთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, რადგან გვჯერა, რომ არჩევნები მოიცავს არა მარტო კენჭისყრას, ხმის მიცემას. იმისათვის, რომ ჩაატაროთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, აუცილებელია, გქონდეთ კარგი პოლიტიკური გარემო. წინასაარჩევნო დამკვირვებელთა მისია საშუალებას გვაძლევს, რომ უკეთ გავერკვეთ როგორც წინასაარჩევნო პოლიტიკურ სიტუაციაში, ასევე არჩევნებისთვის მზადების საკითხებში.

**- თქვენი აზრით, არჩევნებისთვის მზადება არასწორად მიმდინარეობს?**

- ჯერჯერობით, ვერ გიპასუხებთ - ჩვენ ჯერ არ შევხვედრილვართ პოლიტიკურ პარტიებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, საარჩევნო კომისიას.

**- მაგრამ თქვენ ჩამობრძანებისთანავე ბრძანეთ, რომ საქართველომ არ შეასრულა რეკომენდაციები, რაც შემაშფოთებელია.**

- თბილისში ჩამოსვლამდე მივიღეთ ინფორმაცია გარკვეულ პროგრესთან დაკავშირებითაც, თუმცა ზოგიერთი ინფორმაცია საკმაოდ საგანგაშო იყო. ჩვენ არა დასაწყისში, არამედ ცოტა უფრო მოგვიანებით გახლდით შოკირებული. ჩვენთვის საგანგაშო სიგნალი სწორედ ის აღმოჩნდა, რომ ძირითადი რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული.

**- ფაქტია, რომ პარლამენტმა მუშაობა ისე დაასრულა, არ შეასრულა ორი რეკომენდაცია და ამას დღეს პრაქტიკულად აღარაფერი შეცვლის. და მაინც, რატომ მიიჩნევდა ევროსაბჭო აუცილებლად ხუთპროცენტიანი ბარიერის შემოღებას და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შეცვლას?**

- არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ თვითონ მთავრობისა და პრეზიდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მრავალპარტიული პარლამენტი ჰყავდეს. საშიში ის გახლავთ, თუ არ იქნება ოპოზიცია. ღრმად მწამს, რომ პარლამენტში ოპოზიციის ყოფნა, პირველ რიგში, მთავრობის და პრეზიდენტის ინტერესში შედის. მათ თუ არ ეყოლებათ პარლამენტში ოპოზიცია, ისინი ვერ გაიგებენ განსხვავებულ აზრს. ოპოზიცია ლაპარაკობს საზოგადოების ნაწილის სახელით და, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებას ეს ხმა ესმოდეს; ამიტომ საჭიროა გარკვეული ცვლილებები კანონმდებლობაში.

შვიდპროცენტიანი ბარიერი, რომელიც თქვენ გაქვთ, ძალიან დიდია ევროპის სტანდარტებთან შედარებით. ეს არ მისცემს საშუალებას უფრო მცირე პარტიებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში, მოხვდნენ პარლამენტში. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ რეკომენდაცია, რომ ბარიერი შემცირებულიყო ევროპულ სტანდარტებამდე - ოთხ-ხუთ პროცენტამდე.

მეორე საკითხი გახლავთ საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში არჩევნების მონიტორინგისთვის, ისინი, ვინც დღეს არიან ხელისუფლებაში, იყვნენ ოპოზიციაში და არ მოსწონდათ ბეიკერის ფორმულა; მაშინ ამბობდნენ, რომ ეს აძლევს გადამწყვეტი ხმის უფლებას შევარდნაძის პარტიას. მე ამ შენიშვნებთან დაკავშირებით მათ დავეთანხმე - დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი მართალი იყვნენ. მწამდა, როცა ისინი მოვიდოდნენ ხელისუფლებაში, აუცილებლად და სასწრაფოდ შეცვლიდნენ კომისიის დაკომპლექტების ამ წესს. და თუ ეს ვერ მოხერხდებოდა საუბნო და საოლქო დონეებზე, ცესკო მაინც უნდა დაკომპლექტებულიყო ისე,




მათიას იორში

რომ იგი ყოფილიყო დაბალანსებული, რათა ყველა მონაწილეს ჰქონოდა ერთნაირ პოზიციაში ყოფნის საშუალება.

უნდა აღვნიშნო და ამაში, ალბათ, ბევრი ოპოზიციური პარტიაც დამეთანხმება: ხელისუფლებას აქვს იმხელა ნდობა მოსახლეობის მხრიდან, რომ მას შეეძლო, არ წასულიყო ასეთ რისკზე, ანუ არ გამხდარიყო კრიტიკის ობიექტი. ჩვენ ჩამოვედით თბილისში ამ საგანგაშო სიგნალების გამო, თუმცა სანამ საბოლოო დასკვნას გავაკეთებდე, შევხვდებით ხელისუფლების წარმომადგენლებსაც და ოპოზიციასაც. საერთოდ, ჩვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანია, ადამიანების, რაც შეიძლება, ფართო სპექტრს შევხვდეთ.

**- ხელისუფლებაში ამბობენ, რომ პარლამენტის განსაკუთრებული სიჭრელე, რისი საფუძველიც ამჟამად შეიძლება გამხდარიყო ბარიერის დაწევა, საქართველოში შექმნიდა საპარლამენტო და სახელისუფლებო კრიზისებს, პარლამენტი აღარ იქნებოდა ქმედითუნარიანი. ამასთან, ხელისუფლებას გასატარებელი აქვს სერიოზული რეფორმები და ამ საქმიანობაში პარლამენტის მხარდაჭერა სჭირდება.**

- ამისთვის მათ უმრავლესობა სჭირდებათ და არა ერთპარტიული პარლამენტი. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, ჩემს ქვეყანაში - უნგრეთში არის ასეთი პრაქტიკა: ჩვენ გვქონდა გარდაქმნები, მათ შორის - საკონსტიტუციო რეფორმები, ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ ყოველთვის არსებობდა მრავალპარტიული პარლამენტი.

მინდა, ერთი რამ გითხრათ - მრავალპარტიული პარლამენტი პოლიტიკური პარტიებისთვის არ უნდა არსებობდეს. იგი უნდა არსებობდეს ადამიანებისთვის - ვერ დავიჯერებ, რომ ყველა ქართველი დღეს ერთნაირად ხედავს საქართველოს მომავალს. რა თქმა უნდა, ყველას ნატვრაა ძლიერი და აყვავებული საქართველო, მაგრამ განსხვავებულია მიზნის მიღწევის სტრატეგია. ეს განსხვავებული აზრები უნდა იყოს წარმოდგენილი პარლამენტში. სწორედ ეს არის ძირითადი აზრი საპარლამენტო დემოკრატიისა.

**- საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ საკმაოდ დემონსტრაციულად თქვა უარი ამ რეკომენდაციების შესრულებაზე. თქვენი აზრით, რამ მისცა მას ამის საფუძველი? იქნებ სწორედ საზოგადოების სერიოზულმა მხარდაჭერამ?**

- კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ამ კითხვას შეხვედრაზე დავუსვამ ხელისუფლების წარმომადგენლებს. თუმცა, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი მოთხოვნები წამოუყენა ევროსაბჭოს. ვფიქრობ, არ არის ბრძნული გადაწყვეტილება, მოითხოვო რაღაც, როცა მხედველობაში არ ღებულობ მათ რეკომენდაციებს. თუ ხელისუფლების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან ჩვენი რეკომენდაციების შინაარსს, ჩვენ შეიძლება ეს დისკუსიის საგნად გავხადოთ. ეს არ არის ბრძანება, ეს მხოლოდ რეკომენდაციაა. მოდით, განვიხილოთ.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ევროსაბჭოს ამ რეკომენდაციების უგულებელყოფის ერთ-ერთი მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ წარსულში - ძველი ხელისუფლების დროს, დღევანდელი ხელისუფლების, ანუ მაშინდელი ოპოზიციის მხრიდან შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისას ევროსაბჭო არ იყო აქტიური და ეფექტური...**

- არა მგონია. ჩვენ აქ ვიყავით რევოლუციის დროს. როცა თქვენი დღევანდელი რევოლუციის ლიდერი იყო მერიაში, ჩვენ საკმაოდ დემონსტრაციულად მივედით მასთან და გამოვუცხადეთ მხარდაჭერა. უნდა გითხრათ, რომ არავინ მათ ისე არ დახმარებია, როგორც ევროსაბჭო.

**- ზემოთ მოხსენიებული ორი რეკომენდაციის გარდა, სხვა რეკომენდაციების შესრულებაში არის თუ არა პრობლემები?**

- ეს იყო ორი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. ჩვენ არ ვსაუბრობთ ისეთი შედარებით წვრილმანი საკითხების შესახებ, რომელიც ცესკო-ს დონეზე შეიძლება გადაწყვეტილიყო.

**- აპირებს თუ არა ევროსაბჭო სანქციების გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ ამ რეკომენდაციების შეუსრულებლობისათვის?**

- ეს არ არის ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ შევიმუშავებთ რეკომენდაციებს, რათა დავეხმაროთ ქვეყანას. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ განვახორციელოთ მონიტორინგი და შემოგთავაზოთ რეკომენდაციები, ხოლო თუ ეს რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, ვიტყვით, რომ გაგვიცრუვდა იმედები. ქართველმა ხალხმა აირჩია თავისი ლიდერი იმისთვის, რომ მან მიიღოს გადაწყვეტილებები და ჩვენ ვერ ჩავერევით ამაში.

**- თქვენ უკვე შეხვდით მედიას და არასამთავრობოებს, გქონდათ გარკვეული ინფორმაცია საქართველოში ჩამოსვლამდეც. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღეს საქართველოში დემოკრატიას საფრთხე ემუქრება?**

- არა! თუმცა, ვფიქრობ, რომ თქვენ ახლა ძალიან რთული პერიოდის წინაშე ხართ. პარლამენტისთვის კარგია, როცა სხვადასხვა იდეები და მოსაზრებებია წარმოდგენილი. თუკი არჩევნების დროს არ იქნა კონკურენტული გარემო, თუ მხოლოდ ერთი პარტია იქნება პარლამენტში, ან იქნებიან სხვებიც, მაგრამ ძალიან პატარა წარმომადგენლობით - თქვენ გაიხსენებთ ამას - ეს იქნება ძალიან ცუდი! ამის გამო შეიძლება საქართველოს მომავალში პრობლემები შეექმნას.

# მათიას იორშს უკმაყოფილება ეტყობა

*"მე რომელიმე პარტიის დეპუტატობის კანდიდატი ან წარმომადგენელი არ ვარ," - ეს ევროსაბჭოს უნგრელმა წარმომდგენელმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და მასმედიის წარმომადგენლებით გარშემორტყმულ, ოდნავ "შევიწროებულ" მათიას იორშს ამგვარი განმარტების სურვილი თავისდაუნებურად გაუჩნდა.*

ლელა მჭედლიძე

გუშინ ჩატარებული შეხვედრებისას მათიას იორში, ძირითადად, იგივეს იმეორებდა, რაც საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღეს განაცხადა: **"საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოს რეკომენდაციათა უმეტესობა არ გაითვალისწინა. პირველ რიგში, ვითარების გამოსწორება საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების მხრივ არის აუცილებელი."**

საარჩევნო სიების ირგვლივ ატეხილი დავიდარაბის გამო, იორშთან შესახვედრად მხოლოდ ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ მოიცალა. შეხვედრის შემდეგ ყოლბაია საკმაოდ ოპტიმისტურად აცხადებდა, რომ **"არ არის გამორიცხული, მიხეილ სააკაშვილის ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, ხელისუფლებამ საარჩევნო ბარიერის დაწევის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება."**

ევროსაბჭოს წარმომადგენლის შენიშვნებს კი გუშინ მასთან შესახვედრად "მარიოტში" მისული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც იზიარებდნენ.

იმის გარკვევას, თუ რამდენად რეალური და ქმედითია ახალი ხელისუფლების მიერ კორუფციასთან ბრძოლის ხერხები, რამდენად თვისუფალი და დამოუკიდებელია მედია, იორში უკვე "მეოთხე ხელისუფლების" წარმომადგენლებთან შეხვედრისას ცდილობდა. ყველაზე მეტი სალაპარაკო, სტრასბურგიდან ჩამოსულ სტუმართან, ამ მხრივ, ტელეკომპანია "იბერიას" წარმომადგენელს ჰქონოდა. მედიის წარმომადგენელთა ამ შეკრებაზე, რატომღაც, არ აღმოჩნდა "რუსთავი 2". იორში მოსმენილით კმაყოფილი ნამდვილად არ ჩანდა და, როგორც შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მოგვიანებით მედიის საკითხებზე იგი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც გეგმავს საუბარს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანთან იორში საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული თემების გარდა, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრობდა. ხეცურიანის განცხადებით, შეხვედრის მთავარი თემა აღმასრულებელი ხელისუფლების ოპტიმიზაციის, ხელისუფლების შტოებს შორის გაწონასწორების მექანიზმის სრულყოფის, ტერიტორიული მოწყობის, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა გახდა. კონსტიტუციაში "თეთრი ლაქების" არსებობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თავად აღიარებს.

გამოსავალი, ხეცურიანის აზრით, ახალი პარლამენტის ამუშავების შემდეგ გამოიძებნება. ამ დროისათვის უნდა შეიქმნას საკონსტიტუციო საკითხთა კომისია, რომელიც კონსტიტუციაში შესატან ყველა ცვლილებაზე ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებს. ხეცურიანი დარწმუნებულია, რომ **"ამ გზით კომისია საქართველოს კონსტიტუციის საფუძვლიანი გადასინჯვის პროექტს შეიმუშავებს."**

დღეს ევროსაბჭოს დელეგაცია ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მიღებულ ინფორმაციას კიდევ უფრო შეავსებს და შედარებით გულახდილ დასკვნას უკვე შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ჩამოაყალიბებს.

# მათიას იორშმა რუსთავში ძველ დარღვევებზე ისაუბრა

მაია მოსიაშვილი

ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაცია რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას საღამოს 8 საათისთვის ესტუმრა. დახურულ კარს მიღმა ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ, დელეგაციის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

**"მაინტერესებდა რუსთავის სპეციფიკური პრობლემები. ძალიან ღია, გასხნილი და პატიოსანი საუბარი გვქონდა. კომისიის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ მაღალი ხარისხის პროფესიონალების შთაბეჭდილება დატოვეს. ჩვენ გვახსოვს გარკვეული დარღვევები, რომლებსაც 4 იანვრის არჩევნებზე ჰქონდა ადგილი. როგორც აქ გვითხრეს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დროის მოკლე მონაკვეთში საარჩევნო კომისიების თანამშრომლების მაღალკვალიფიციური მომზადება ვერ მოხერხდა. დაგვპირდნენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება."**

დარღვევების თაობაზე საუბრის განვრცობა მათიას იორშმა არ ისურვა. რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პაატა ტყეშელაშვილმა განმარტა, რომ ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებს მხედველობაში ჰქონდათ ის დარღვევები, რომლებიც ეუთო-ს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს რუსთავში. როგორც ტყეშელაშვილი აცხადებს, მისიის განცხადებაში რუსთავის უარყოფით კონტექსტში მოხსენიება მისთვის მოულოდნელი იყო, რადგან 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რუსთავის საოლქო კომისიაში მხოლოდ ერთი სარჩელი შევიდა და ისიც უმნიშვნელო დარღვევის შესახებ.

ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის განცხადებაში კი ნათქვამია:

**"განსაკუთრებით გამორჩეულ საარჩევნო დარღვევებს ადგილი ჰქონდა ქვემო ქართლში. რუსთავში, მარნეულსა და ბოლნისში მივლინებულმა დამკვირვებლებმა მოგვახსენეს, რომ ოქმების მხოლოდ მცირე ნაწილში იყო რიცხვები ზუსტად შეტანილი. რუსთავში ოქმები "ნაციონალური მოძრაობის" შტაბში იქნა შევსებული და შესწორებული."**

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს საკმაოდ რთული ბლანკები იყო შესავსები და, შესაძლოა, ზოგიერთმა თავმჯდომარემ, მართლაც, თავი ვერ გაართვა სწორად შევსებას, თუმცა მსგავს ინფორმაციას კომისია დღემდე არ ფლობდა. მისი თქმით, 28 მარტის არჩევნებისთვის გაცილებით გამარტივებული ბლანკები იქნება და, გარდა ამისა, მათ მიერ საუბნო კომისიის წევრების მომზადებასაც უფრო დიდი ყურადღება მიექცევა, ვიდრე ეს 4 იანვრისთვის ხდებოდა.


საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება? შეიძინეთ და აჩუქეთ გალერეა-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ჯონ ოზბორნი
"მოიხედე მრისხანების ჟამს"
რეჟისორი: ნ. შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
რევაზ კლდიაშვილი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

**პატარა თეატრი**
ვიდეოფესტივალი 2004
ენდრიუ ლოიდ ვებერის მიუზიკლები
თეატრალური ვერსიების ვიდეოჩვენება
"იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავი"
დას: 16:00 სთ.
დასწრება თავისუფალია

## კინო

**კინოს სახლი**
ფრანგული დეტექტური ჟანრის ფილმების რეტროსპექტივა
"მხიარული კვირადღე"
(ქართულ ენაზე)
დას: 20:00 სთ.

## ცირკი

მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 15:00 სთ.

## გამოფენა

**N გალერეა**
ფოტოსააგენტო "პატკერფოტო" და მასმედიის კავკასიური ინსტიტუტი გიწვევთ ფოტოგამოფენაზე
გახსნა: 17:00 საათზე

**"ძველი გალერეა"**
კოტე ჯინჭარაძის ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
კახა ზარნაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა
(ცივი იარაღი, აქსესუარები)

**"ორიენტი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა
გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# დიდი ვალსი ჯორჯ ბალანჩინისათვის

*"ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ცეკვა სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი ხელოვნებაა. ერთ-ერთი საუკეთესო ხელოვნება, ხელოვნებათა შორის, რომელიც სრულიად გასაგებია ყოველგვარი შესავლისა და სიტყვის გარეშე" – ჯორჯ ბალანჩინი*

სალომე კიკალეიშვილი

წელს, იანვარში დიდი მაესტროს ჯორჯ ბალანჩინის (გიორგი ბალანჩივაძე) დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. ეს თითქმის მთელმა ევროპამ აღნიშნა, მაესტროსადმი მიძღვნილი საღამოებითა თუ მისი საბალეტო დადგმების გახსენებით. გამონაკლის კი საქართველო წარმოადგენდა, რომელსაც ან არ ახსოვდა ან "ვარდების რევოლუციის" ორომტრიალში გამორჩა მნიშვნელოვანი თარიღი. 29 თებერვალს ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტმეისტერი თამაზ ვაშაკიძე, მხატვარი ანა კალატოზიშვილი და ჯორჯ ბალანჩინის ძმისშვილი, კომპოზიტორი ჯარჯი ბალანჩივაძე (შტრაუსის როლში) ქორეოგრაფიული სასწავლებლის მესამე კურსის მოწაფეებთან ერთად ჯორჯ ბალანჩინის იუბილესადმი მიძღვნილ დიდ ვალსს წარმოადგენენ.

პირველი სასცენო რეპეტიცია, სავარჯიშო ფორმაში გამოწყობილი სცენის მომავალი ბალერინები, შტრაუსის დიდი ვალსი და თამაზ ვაშაკიძე პარტერში ხმამაღალი მითითებებით – ასეთია თებერვლის მიწურულს ოპერისა და ბალეტის დიდი საკონცერტო დარბაზი. სულ რამოდენიმე კვირაში შექმნილი დიდი მაესტროსადმი მიძღვნილი წარმოდგენა, ყოველდღე ახალ-ახალ ვარიაციებს ითვისებს, ხოლო ოპერის სამკერვალო ანა კალატოზიშვილის არაჩვეულებრივ, მსუბუქ, ჰაეროვან კოსტიუმებს ქმნის. სპექტაკლი, სადაც მონაწილეობას კომპოზიტორი ჯარჯი ბალანჩივაძე მიიღებს, მის მიერ შესრულებული შტრაუსის ვალსით დაიწყება, რომელიც ნელ-ნელა გადავა ვაშაკიძე-კალატოზიშვილის ქათქათა, თეთრი მუზების საოცარ სამყაროში. ეს იქნება პარალელი, ორი დიდი ფიგურის ბალანჩინისა და შტრაუსის, ბალეტისა და მუსიკის ზღაპრულ ჰარმონიას შორის, მათი მუზებით, ფანტაზიით, სილამაზით. ამ წარმოდგენას გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც ექნება: შტრაუსი - ბალანჩინის ძმისშვილი კომპოზიტორი ჯარჯი ბალანჩივაძე. ისევე როგორც დღეს, თავის დროზე, დიდი მაესტროს მიერ სწორედ შტრაუსის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი და ერთ-ერთი პირველი სერიოზული წარმოდგენა "სერენადა" იყო, რომელიც ქორეოგრაფიულის მოწაფეებთან დადგა.

"ბალანჩინი, მეოცე საუკუნის საბალეტო ხელოვნების უდიდესი მოვლენა იყო. და სწორედ მას ვუძღვნით ამ დიდ ვალსს, რომელსაც სასწავლებლის კურსდამამთავრებელი ჯგუფი შეასრულებს", - ამბობს თამაზ ვაშაკიძე. "ბალანჩინიმ თავის უამრავ დადგმაში სრულიად ახლებურად, მაქსიმალურად გამოხატა ადამიანის, ქალის სხეული. ამიტომაც ამ საღამოზე გოგონები სჭარბობენ, მისი მუზები. ხოლო შტრაუსის ვალსი კიდევ უფრო მომეხმარა იმაში, რომ ხაზი გამესვა ბალეტში ქალის სილამაზეზე, სიმშვენიერეზე. როგორც ცნობილია, 2004 წელი, იუნესკომ ბალანჩინის წლად გამოაცხადა, ამიტომაც მე როგორც ბალეტმეისტერი ბალეტმეისტერს ვუძღვნი ამ საღამოს ივნისის თვეში კი, იუნესკო მაესტროსადმი მიძღვნილ საღამოს მართავს ამერიკაში. გვინდა, კასეტაზე გადავიღოთ წარმოდგენა და გავაგზავნოთ, რათა მონაწილეობის უფლება მივიღოთ. ვიცი, რომ სუხიშვილები მიემგზავრებიან, თუმცა ვფიქრობ არანაკლებ მნიშვნელოვანია, დიდი ბალეტმეისტერისადმი, ქართული საბალეტო სამყაროდან მიძღვნილი სპექტაკლის წარდგენა."

ჩვენ კი, თუ მაკა მახარაძის სტუდიაში, პატარა არაპროფესიონალ ბალერინებთან ერთად, ვაშაკიძის ლამაზი ქორეოგრაფიით და კალატოზიშვილის მშვენიერი კოსტიუმებით შექმნილი სპექტაკლებით "კოპელია" და "ლურჯი ფრინველი" ვიმსჯელებთ, მაშინ ნათელი ხდება, რომ 29 თებერვალს ოპერისა და ბალეტის შენობაში მისული საზოგადოება ნამდვილი ზეიმის მომსწრე გახდება.

# რას ისწავლიან პოლიტიკოსები მუსიკოსებისგან

### თბილისის სიმფონიური ორკესტრი საგასტროლოდ რუსეთში მიემგზავრება

მადი სერებრიაკოვა

ვიდრე პოლიტიკოსები ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებაზე საუბრობენ, მუსიკოსები თავს იმით იწონებენ, რომ ეს ურთიერთობები არც არასოდეს გაუფუჭებიათ. თბილისის სიმფონიური მუსიკის ცენტრი ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი ახერხებდა გამოჩენილ რუს მუსიკოსებთან საუკეთესო ურთიერთობების შენარჩუნებას. ამჯერად, მოსკოვის ფილარმონიის მიწვევით პეტერბურგსა და მოსკოვში საგასტროლოდ თბილისის სიმფონიური ორკესტრი მიემგზავრება. სიმფონიური ორკესტრის გასტროლი მეტად ძვირი სიამოვნებაა. რუსეთში ქართული ორკესტრი გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ ყოფილა.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი თავის დროზე ჯანსუღ კახიძის მიერ შეიქმნა. გამოჩენილი დირიჟორის გარდაცვალების შემდეგ კი მუსიკალურ ცენტრსა და ორკესტრს მისი ვაჟი, კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე ხელმძღვანელობს. ორკესტრის ბაზაზე ტარდება ყოველწლიური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი", რომელიც თბილისში მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებს იკრებს. იმ წლებში, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები რუსეთთან ურთიერთობებს ვერ აგვარებდნენ, თბილისში რუსული მუსიკის ისეთი კორიფეები ჩამოდიოდნენ, როგორიც "მოსკოვის ვირტუოზები", მსტისლავ როსტროპოვიჩი, იური ბაშმეტი, ვიქტორ ტრეტიაკოვი, ალექსანდრ კნიაზევი, ნატალია გუტმანი და სხვები არიან: **"ეს კიდევ ერთხელ ადადსტურებს, რომ კულტურა საუკეთესო დესპანია"** – აღნიშნავს ვახტანგ კახიძე.



*ვახტანგ კახიძე*

ორკესტრის გასტროლი მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვით როდია მნიშვნელოვანი. პეტერბურგის ფილარმონია და მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური ცენტრების ათეულში შედის. სწორედ აქ გაიმართება თბილისის ორკესტრის კონცერტები. ამ ღონისძიებების საინფორმაციო სპონსორი კი ცნობილი ტელე-არხი "კულტურაა", რომელიც არამარტო გააშუქებს ორკესტრის გასტროლებს, არამედ ჩაწერს კიდეც კონცერტებს და თავის მუსიკალურ პროგრამაში ჩასვამს.

ორკესტრი რუსეთში სოლიდური პროგრამით მიემგზავრება. სტრავინსკის "კურთხეული გაზაფხული" ერთ-ერთ ურთულეს საორკესტრო ნაწარმოებად ითვლება. იგი ორკესტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელის ვახტანგ კახიძის დაჟინებული მოთხოვნით შესრულდება: **"ჯანსუღ კახიძემ 30 წელი მოანდომა და ჩვენ დაგვიტოვა ორკესტრი, რომელიც შეესატყვისება მსოფლიო სტანდარტებს,** - აღნიშნავს ვახტანგ კახიძე – **ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, მე ზურგს ისეთი დიდი დირიჟორის სიტყვები მიმაგრებს, როგორიც გენადი როჟდესტვენსკია. ამიტომ, ასეთი რთული ნაწარმოების არჩევით, ჩვენ პრეტენზია გვაქვს დავავმტკიცოთ, რომ ქართველებს რუსული მუსიკის შესრულება მის სამშობლოშიც ღირსეულად შეუძლიათ".**

მეორე განყოფილებისთვის რუსულმა მხარემ ქართული ნაწარმოების შესრულება ითხოვა. მათ შეთავაზებულ რეპერტუარიდან ვახტანგ კახიძის საშობაო ტრილოგია შეარჩიეს. 3 მარტს პეტერბურგში, ფაქტობრივად ტრილოგიის სიმფონიური ვერსიის მსოფლიო პრემიერა შედგება. ნაწარმოები 2000 წელს ქრისტეშობისთვის შეიქმნა. თვის დროზე, იგი შვეიცარიის არმიის სასულე ორკესტრის დაკვეთით სწორედ სასულე ორკესტრისათვის დაიწერა. საშობაო ტრილოგიის სიმფონიური ვერსია შარშან შეიქმნა. განახლებულ ტრილოგიას ორკესტრთან ერთად მამაკაცთა და ბიჭუნათა გუნდები შეასრულებენ. რუსეთში ორკესტრი ანსამბლ "რუსთავთან" და ბიჭუნათა გუნდ "მძლეველთან" ერთად მიემგზავრება.

როგორც ვხედავთ, 3 მარტს პეტერბურგში და 5 მარტს მოსკოვში დაგეგმილი კონცერტი გარკვეულწილად არატიპურია – იგი სოლისტების გარეშე, მთლიანად საორკესტრო პროგრამით იქნება წარმოდგენილი.

თბილისის ორკესტრის გასტროლი მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. მართალია, ქართველ მუსიკოსებს რუსეთის მხარე იწვევს და წესით ყველა ხარჯს თავის თავზეც უნდა იღებდეს, მაგრამ ბიუჯეტის სეკვესტრის სიმწარე, როგორც ჩანს, ჩვენი მეზობლისთვისაც ნაცნობი ყოფილა. მოსკოვის ფილარმონიის ბიუჯეტი მოულოდნელად შემცირდა და ქართველ მეცენატთა დახმარება რომ არა - გასტროლები ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგებოდა. ამასთან, ორკესტრს თან ანსამბლები - "რუსთავი" და "მძლეველი" ახლავს. 150 მუსიკოსის გადაადგილებას "ბაზის-ბანკი", "კოკა კოლა", ღვინო "თამადა" და TBC ბანკი უზრუნველყოფენ, გადაზიდვის სპონსორი კი "აირზენაა".

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ორკესტრისა და ანსამბლების თავდადებაა. ამჟამად სიმფონიური მუსიკის ცენტრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. გათბობის უქონლობის გამო, მუსიკოსები 5 გრადუსიან ყინვაში გადიან რეპეტიციებს. რემონტის გამო, არ გაიხსნება თბილისში საგაზაფხულო მუსიკალური სეზონიც. მაისში ერთადერთ კონცერტს ცენტრის 15 წლის იუბილეს აღსანიშნავად ისინი ოპერაში გამართავენ. ამ პირბებში ვახტანგ კახიძეს მაინც დიდი წარმატების იმედი აქვს და რუსეთში ქართული სიმფონიური კულტურის კიდევ ერთ ღირსეულ პრეზენტაციას გვპირდება.

# გამოუცემელი წიგნის პრეზენტაცია

### ის, რისი ხმამაღლა წაკითხვაც შეიძლება

ანა კორძაია-სამადაშვილი

განსხვავებით მის მიერ წარმოდგენილი ციკლის, "ახალი განზომილების" სხვა საღამოებისგან, გუშინ "წიგნის სახლში" სტუმარიც და მასპინძელიც ზაალ სამადაშვილი იყო. ის მემოთხრობეებისა და მოთხრობების შესახებ ჰყვებოდა, რაც თავისთავადაც ძალიან საინტერესოა. თუკი საზოგადოება ბრიტნი სპირსის სასიყვარულო ორომტრიალით ინტერესდება, განა უფრო მიმზიდველი არაა, როცა ვიღაც სერვანტესის თუ ფოლკნერის შესახებ ჰყვება, თან არა ამაღლებულ-პათეტიკური ტონით, როგორითაც, ჩვეულებრივ, კლასიკოსებზე საუბრობენ ხოლმე, არამედ, ჩვეულებრივად, ადამიანურად?! საზოგადოება ისმენდა, თან აშკარა ინტერესით, თან არამარტო "ჭორებს", არამედ ზაალ სამადაშვილის მოთხრობებსაც.

ეს მოთხრობები წიგნად არ გამოქვეყნებულა, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა - ერთხელ მაინც ყველას წაუკითხავს "ზაალ სამადაშვილის სვეტი". ზაალმა ეს საღამო იმისთვის გამართა, რომ რამდენიმე მოთხრობა წაეკითხა და მომავალ მკითხველს დაჰკითხვოდა, ღირს თუ არა მათი "წიგნად ქცევა". "ვიცი, თქმით არაფერს მეტყვით, მაგრამ მე ვეცდები, შევამჩნიო, რას ფიქრობთ, მოგწონთ თუ არა," თქვა ავტორმა.

პირველი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ტაში ზაალს მოწონების ნიშნად არ ჩაუთვლია: ეს მოთხრობა "ძველი" წიგნიდანაა, "ბოშებიდან" - "მემოთხრობეებისა და თხრობის შესახებ". ზაალის თქმით, ის ერთგვარად ლოცმანია, რომელიც დიდ გემს ნავსაყუდელიკენ უნდა გაუძღვეს, მეჩეჩებს და მსგავს უსიამოვნებებს აარიდოს, ხოლო ის, რასაც ის წერს, არც მოთხრობებია, არც ესსეები, არც ჩანახატები - ნაწერებია, და მათი არსის განმარტებისთვის რევაზ ინანიშვილის სიტყვები დაიხმარა: "ისეთ რაღაცეებს ვწერ, რისი ხმამაღლა წაკითხვაც შეიძლება" (და რისი მოსმენაც სასიამოვნოა - ა.კ.ს.).

რაც შეეხება ლოცმანობას: ნებისმიერი მწერლისთვის ზაალ სამადაშვილი საიმედო და უტყუარი გამცილებელია. მოკლედ, თუ მოგინდათ, რომ ვინმემ თქვენი ნაწარმოები ნამდვილად შეაფასოს, ზაალ სამადაშვილს მიმართეთ და, რაც მთავარია, დაუჯერეთ - არ ინანებთ. ის კარგი ლიტერატორიცაა და ძალიან კარგი ადამიანიც (ზოგიერთებისგან განსხვავებით). მეც ხომ ცოტა სამადაშვილი ვარ, რაღაცა მეც დამეჯერება.

# ნომინაციები მახინჯი რეალობისთვის

თეონა ჯაფარიძე

თბილისში, მოახლოებული "ოსკარის" ნომინაციებზე არანაკლებ საინტერესო ნომინციებს გამოავლენენ, ასევე არანაკლებ აზარტულ კონკურსზე: ავირჩიოთ ცუდიდან ყველაზე ცუდი. არჩევანი დამთვალიერებელმა უნდა გააკეთოს. დამთვალიერებელი გამოფენის აქტიური მონაწილეა. არ გეგონოთ რომელიმე კონცეპტუალისტი მხატვრის გამოფენაზე გესაუბრებოდეთ. ექსპოზიციის ავტორი საზოგადოება გახლავთ. ნამუშევრების დამკვეთი და შემსრულებელი – ისევ და ისევ საზოგადოება. ერთი სიტყვით, ეს თბილისის დღევანდელი არქიტექტურაა და ის გარემოა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ - ასეთი უმასშტაბო, უსახური, აგრესიული და კუსტარული.

"ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში" ამ ბოლო წლებში, თბილისის ისტორიულ ნაწილში (ვერა, ვაკე, პლეხანოვი, სოლოლაკი, ბეთლემიკალა) აშენებული თუ მშენებარე მონსტრების (40-მდე ობიექტის) ფოტო გამოიფინა. ყოველ თქვენგანს შანსი გეძლევათ ამოირჩიოთ ყველაზე უმასშტაბო, ყველაზე უსახური, ყველაზე აგრესიული და ყველაზე კუსტარული შენობა. ამისათვის უნდა აიღოთ ფერადი ფლომასტერი, (რომელსაც იქვე მოგართმევენ) და საგამოფენო დარბაზში გამოფენილ XXI საუკუნის ქართული არქიტექტურის "შედევრების" ფოტოებს ყურადღებით ჩამოუაროთ. ფლომასტერით შესაბამისი "შედევრისათვის" შესაბამისი ნომინაცია უნდა შემოხაზოთ. დღეს გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებელს ფლომასტერები აღარ ყოფნიდათ. ბევრი "შედევრისთვის" ერთდროულად რამდენიმე, ზოგისთვის კი ყველა ნომინაცია გაიმეტეს. მართლაც, ძნელი იყო გაგეკეთებია იმის არჩევანი, რომ მასივი მამა-დავითთან უფრო უსახურია თუ მასივი ბარნოვის ქუჩაზე. კორპუსი ხოშტარიაზე აგრესიულია, თუ კუსტარული. ფოტოების ქვეშ გაჩნდა წარწერებიც: - დასანგრევია.





*გამომსვლელები და შემფასებლები*





გამოფენა-აქციის ორგანიზატორები არიან საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი, ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი და ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. იდეის პრეზენტაცია გამოფენის გახსნის წინა დღით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა. დღეს გამოფენაზე მოსული ახლადარჩეული მინისტრი გიორგი გაბაშვილი ყველაზე უმასშტაბო, უსახურ, აგრესიულ და კუსტარულ შენობას არჩევდა. "სახელმწიფოს ნებართვის, თვალების დახუჭვისა და ზოგ შემთხვევაში ანგარების შედეგია ის, რაც დღეს ამ გამოფენაზეა წარმოდგენილი. კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტი აუცილებლად კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა იქნება" – განაცხადა მან გამოფენის გახსნაზე.

რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს პროტესტის ამ ცივილიზებულ და ჩემი აზრით ეფექტურ, ალბათ ნგრევაზე მეტად რადიკალურ ფორმას? "მორატორიუმი უნდა გამოვაცხადოთ არა იმიტომ, რომ შეწყდეს მშენებლობა, არამედ ვიცოდეთ, რა ვაშენოთ. ისეთი საკანონმდებლო სივრცე უნდა შევქმნათ, რომელიც მხოლოდ ქალაქის არქიტექტურას კი არა, სამშენებლო ორგანიზაციების ინტერესებსაც კი დაიცავს." – თქვა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა. მორატორიუმი ახალმშენებლობებზე ორი წლის ვადით ცხადდება. გამოფენა-აქციის ორგანიზატორებმა ამის თაობაზე მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და ქალაქ თბილისის საკრებულოს, სადაც ნათქვამია, რომ მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ისტორიული ნაწილი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ნომინანტია, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის ელემენტები, დღემდე არ არსებობს თბილისის ისტორიული ნაწილის სრულფასოვანი ქალაქდაგეგმარებითი დოკუმენტაცია, არსებული კანონმდებლობა ნაკლებეფექტურია, არ მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად ფულადი რესურსების მიზიდვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმი და ა.შ.

მიმართვაში, აქციის ორგანიზატორები აფრთხილებენ პრეზიდენტს, პარლამენტსა და **თბილისის საკრებულოს, რომ "ამიერიდან საზოგადოების კონტროლი არქიტექტოთა საქმიანობაზე, ქალაქის ოფიციალურ სამსახურებზე, ინვესტორებზე, სამშენებლო ორგანიზაციებზე და ბოლოს ხელისუფლებაზე იქნება ძლიერი. ჩვენ აღარ დავუშვებთ მათი მხრიდან, უსახურ, უმასშტაბო, აგრესიულ და კუსტარულ მშენებლობებზე ნებართვის გაცემასა და მათთვის "კანონიერების" სტატუსის მინიჭებას, პროექტირებასა და მშენებლობას"**

რომელი შენობები მოიპოვებენ ყველაზე უმასშტაბოს, ყველაზე უსახურის, ყველაზე აგრესიულისა და ყველაზე კუსტარულის ნომინაციას, ეს 28 თებერვალს გაირკვევა "ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში" გამართულ "დაჯილდოების" ცერემონიალზე. არჩევანში თქვენც მიიღეთ მონაწილეობა. ეს ხომ თქვენი ქალაქია.

"ოსკარამდე" ორი დღით ადრე

# კინოგლობალიზაცია

## უცხოელები ჰოლივუდში

გუშინ ამერიკა "მოგებულის" პოზიციიდან ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და შემოქმედი თვითონ არის. დღეს კი ამჩნევს, რომ ამერიკული ღირებულებების უკიდურეს პოპულარიზაციას უკუ-ეფექტიც მოჰყვა. ნაცნობი და იოლად წარმოსათქმელი სახელისა და გვარის – ბრედ პიტის ნაცვლად შოჰრეჰ აგჰდაშლოს სწორად წარმოთქმაზე უნდა იმტვრიოს ენა; ასევე ნაცნობი და საყვარელი ტომ კრუზის მაგივრად კი დიმონ ჰონსოსთვის უნდა შემოინახოს კეთილგანწყობა. ერთი სიტყვით, ჰოლივუდს უცხოეთი იპყრობს. როდესაც იანვარში "ოსკარის" ნომინანტთა ვინაობა გამოქვეყნდა, აღმოჩნდა, რომ სია სავსე იყო უცხოელი მსახიობებით, რეჟისორებითა და სცენარისტებით.


ირლანდიელები ამერიკაში. კადრი ჯიმ შერიდანის ფილმიდან.

თუმცა, ამერიკელი კინომცოდნეების განმარტებით, საქმე არა ზოგადად გლობალიზაციას ეხება, არამედ კონკრეტულად კინემატოგრაფში მიმდინარე გლობალიზაციას. მათი ვარაუდით, შემდეგი წლების "ოსკარის" ცერემონიალებზე საზღვარგარეთის ქვეყნები კიდევ უფრო მასშტაბურად იქნებიან წარმოდგენილნი.

"ოსკარი" ყოველთვის ასახავდა კინობიზნესში არსებულ მდგომარეობას. ახლაც ასეა და დღეს იგივე "ოსკარით" შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კინოინდუსტრია სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება", - აცხადებს გაზეთ "დეილი ვერაიეთის" რედაქტორი ტიმოთი გრეი. მისივე თქმით, ეს ინტერნაციონალიზაცია არა მხოლოდ შემოქმედებით მხარეზე, არამედ ფინანსებსა და ტექნიკურ წვრილმანებზეც აისახება. მაგალითად, იგივე "ბეჭდების მბრძანებელი", რომელმაც წელს ფურორი მოახდინა, ახალ ზელანდიაში იყო გადაღებული, დაფინანსებაც სხვადასხვა უცხოური წყაროდან ჰქონდა მიღებული.

კინოგლობალიზაციას ხელს ჰოლივუდურ კინოსტუდიებში შექმნილი არახელსაყრელი საქმიანი გარემოც უწყობს. რადგანაც ამერიკელ რეჟისორებს ფილმების გადაღება გაცილებით იაფი საზღვარგარეთ უჯდებათ, ისინი ხშირად ამერიკულ ფილმებს ევროპაში იღებენ. შემდეგ ამ ფილმებიდან ბევრი "ოსკარზეც" ხვდება და პატრიოტ ამერიკელებს, მოსვენებას არ აძლევს იმაზე ფიქრი, რომ ეს ფილმები ბოლომდე ამერიკული მაინც არ არის. ამ საკითხზე რამდენიმე ხნის წინ რეჟისორი და მსახიობი ტიმ რობინსიც წუხდა. მან ერთ-ერთ ჰოლივუდურ ცერემონიალზე ხმამაღლა მოითხოვა პრობლემის დარეგულირება.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროცესი ორმხრივია. ჰოლივუდი ინტეგრირდება დანარჩენ მსოფლიოში და პირიქით – ჰოლივუდელებთან ასიმილაციას უცხოელებიც განიცდიან. ეს პროცესი კი 90-იან წლებში რობერტო ბენინიმ დაიწყო. მისი "ცხოვრება მშვენიერია" 1998 წლის "ოსკარზე" არა მხოლოდ საუკეთესო უცხოური ფილმი გახდა, არამედ საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ტიტულიც ბენინის გადაეცა. არადა, მანამდე ამ კატეგორიაში ექსკლუზიურად ამერიკელები იმარჯვებდნენ ხოლმე.


"ოსკარის" ერთ-ერთი ფავორიტი, დენის არკანის "ბარბაროსული შემოტევა"

შემდეგ იყო პედრო ალმოდოვარი. შარშან მისი "ელაპარაკე მას" საუკეთესო სცენარის ტიტულით დაჯილდოვდა. ამავე კატეგორიაში ალმოდოვარს კიდევ ერთი არაამერიკელი – მექსიკელი ალფონსო კუარონი უწევდა კონკურენციას – ფილმით "და შენი დედაც". ალმოდოვარი იმავე წელს წარდგენილი იყო საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაზეც...

ასიმილაციის პროცესი წელსაც გრძელდება. ბრაზილიური ფილმი "ღმერთის ქალაქი" იოლად არღვევს "ოსკარის" უცხოური ფილმების კატეგორიის ჩარჩოებს და ოთხ სხვა კატეგორიაში გვევლინება: საუკეთესო რეჟისორი (ფერნანდო მერიელესი), საუკეთესო ადაპტირებული სცენარი, საუკეთესო მონტაჟი და საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი. იგივე შეიძლება ითქვას, კანადელი რეჟისორის დენის არკანის ფილმზეც "ბარბაროსული შემოტევა" – ის საუკეთესო უცხოური ფილმის გარდა, საუკეთესო სცენარის ნომინაციაზეც არის წარდგენილი. რაც შეეხება ჰოლივუდში უკვე კარგა ხნის წინ ინტეგრირებულ ბრიტანელებსა და ავსტრალიელ ვეტერანებს კი (იგივე, ნიკოლ კიდმანსა და რასელ ქროუს), წელს გვერდს მათ 14 წლის ავსტრალიელი ქეზლ-ჰიუზიც უმშვენებს.

ასე რომ, კინოგლობალიზაცია სრული სვლით მიიწევს წინ. ამასობაში, "ოსკარის" საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიის შესახებ უკმაყოფილებას გამოთქვამენ კინომცოდნეები. მათი აზრით, წლევანდელ ჟიურის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფილმი გამორჩა მხედველობიდან. მაგალითად, ვოლფგანგ ბეკერის ევროპაში მრავალგზის ნომინირებული "მშვიდობით, ლენინ!", ავღანელი რეჟისორის სიდიქ ბარმაკის "ოქროს გლობუსით" დაჯილდოებული "ოსამა" და ანდრეი ზვიაგინცევის ვენეციის პრიზიორის ფილმი "დაბრუნება". მათგან წლევანდელ "ოსკარზე" წარდგენილი არც ერთი არ არის.

კინომცოდნეებს კიდევ ერთი შენიშვნა აქვთ. უცხოური "ოსკარისთვის" შერჩეული ფილმები ძველმოდური თემატიკითაა სავსე. ხუთიდან ოთხ ფილმში მოქმედება 50-იან წლებში ხდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად კრიტიკოსები ჟიურის წევრების ხანდაზმულ ასაკს ასახელებენ. ასეა თუ ისე, ამ კატეგორიაში ერთ-ერთ ფავორიტად ზემოთხსენებულ "ბარბაროსული შემოტევას" ასახელებენ. ფილმი ბობოქარი წარსულის მქონე კაცის ამბავს მოგვითხრობს, რომელიც თავისი ოჯახის, მეგობრების და ყოფილი საყვარლების გარემოცვაში კვდება.

კანადურ ნამუშევარს კონკურენციას იაპონური "განთიადის სამურაი" უწევს. იოჯი იამადას ფილმში მოქმედება მე-19 საუკუნის იაპონიაში ხდება. დაქვრივებული სამურაი გაორებას განიცდის –ოჯახი რომ არჩინოს, იძულებულია, ოფისში კლერკად იმუშაოს, არადა, ვერც სამურაის პასუხისმგებლობებს ივიწყებს. ერთ მშვენიერ დღეს კი დილემის წინაშე დადგება – დედის დასაკრძალად სამურაის მახვილის გაყიდვა უწევს.

ჩეხი რეჟისორის ონდრეი ტროიანის ფილმს "ზელარის" კი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ჩეხეთში გადავყავართ. შვედი მიკაელ ჰაფსტრომი სურათში "ბოროტება" პატარა ბიჭის ერიკის ამბავს გვიამბობს. ერიკს დაბადებიდან სცემენ და შეურაცხყოფენ. ძალადობა მისი არსებობის ნაწილი გამხდარა, მაგრამ ის მაინც სწავლობს, თუ როგორ მოაგვაროს პრობლემები მუშტით კი არა – გონებით. დაბოლოს, უცხოელთა ექსპანსიას "ოსკარზე" ჰოლანდიელი რეჟისორის ბენ სომბოგაარტის "ტყუპი დები" ასრულებს. გოგონებს მშობლების გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთს აშორებენ და ცალ-ცალკე ზრდიან. ხოლო თუ ვიზე შეაჩერა საბოლოო არჩევანი კინოაკადემიის ჟიურიმ, ამას ორიოდე დღეში შევიტყობთ.

# ვის უფრო უყვარს საქართველო

ელენე ფარადაშვილი

მრავალ ჯილდოსა და წლის ნომინაციაზე წარდგენილი ფილმი Power Trip ("ენერგიის მოგზაურობა"), ქართველმა კინომაყურებელმა იხილა კინოთეატრ "რუსთაველში". დარწმუნებული ვარ, ამ ფილმის ნახვის შემდეგ, ნებისმიერ მაყურებელს საქართველო უფრო შეუყვარდება.

რამდენიმე დღის განმავლობაში, ქართველი კინომოყვარულები, ამერიკული კინოს ფანები, ასევე პროფესიონალი ოპერატორები, რეჟისორები (ან ქართული საზოგადოების წარმომადგენლები) ესწრებოდნენ ამერიკელი კინორეჟისორისა და პროდიუსერის პოლ დევლინის მასტერ კლასებს სარეჟისორო ხელოვნებაში.

საქართველოზე გადაღებული ასეთი თბილი დოკუმენტური ფილმი ამ ბოლო პერიოდში ძალიან იშვიათია (მით უფრო, როცა მას იღებს ამერიკელი ხელოვანი, რეჟისორი). თუმცა, ძალიან მძაფრი თემა არის გაშუქებული, ეს საკითხი საბოლოოდ კულტურის მაღალი დონით არის მიწოდებული მაყურებლისათვის. განხილულია ის თემატიკა, რასაც საქართველოში "ენერგოკრიზისი" ჰქვია. ასეთი შემძახებლები თუ ბევრი გვეყოლება, იქნებ ჩვენში არსებული აზროვნების მენტალობა უფრო გამოვასწოროთ, თუმცა არავისთვის არ არის უცხო ის ტენდეცია, რაც ამ ბოლო დროს შეინიშნება ჩვენთან: გაუთავებლად ვადანაშაულებთ ყველა უცხოურ ორაგანიზაციას, რომელიც გვეხმარება.

ფილმის ყურების პროცესში ისმის კითხვა - რატომ არ უნდა გვქონდეს შუქი, როცა ფასი მასზე გადახდილია, AES ტექნიკური პერსონალი კი გაოგნებული. ჩემი აზრით, ის ფორმატი, რომელიც ამერიკელმა რეჟისორმა პოლ დევლინმა შემოგვთავაზა, ძალიან რბილი კრიტიკაა. რატომ არ არის ზღვარი ადამიანის მოთხოვნებსა და ზნეობას შორის, სად არის ზნეობრივი კრიტერიუმი, რომელსაც აი უკვე რამდენი წელია ვუთავსებთ ჩვენს დათრგუნულ სინდისს? სადამდე? ასეთი კითხვები ბუნებრივად გებადება ფილმის ყურების დროს.

ფილმის კადრები ძალიან ლამაზად აღწერს ქართველების და ამერიკელების ურთიერთპატივისცემას, ქართულ სტუმართმოყვარეობას, ასევე ამერიკელი მეგობრების დამოკიდებულებას ქართული კულტურის მიმართ. აბა, რამდენს გინახავთ ჩოხაში გამოწყობილი ამერიკელი? ეს ფილმი აუცილებლად უნდა ნახოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ადამიანმა, ქართველი მაყურებელი კიდევ ერთხელ დარწმუნდება რომ ენერგომაფიის საკითხი გულგრილს არ ტოვებს არც უცხოელ ადამიანს და მით უფრო - ქართველს. ამ ფილმში ბევრი ცნობილი სახეა: მაიკლ სქოული, იგნასიო ირიბარენი, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი მირცხულავა, ამერიკელი კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლები და სხვა.

ფილმის გადაღება "AES თელასის" შესახებ დევლინს საქართველოში მისმა ინგლისელმა და ამერიკელმა მეგობრებმა ურჩიეს. ფილმი არ ეყრდნობა მხოლოდ მშრალ დოკუმენტურ ფაქტებს. ის ვითარდება ქართული მელოდიის ფონზე, რომელიც თითქოს ეფერება ჩვენს სამშობლოს, იმ ხალხს, რომლისთვისაც ასე აუცილებელია შუქი, ელემენტარული გათბობა.

ძველი დოკუმენტური ფილმების კადრების საშუალებით ავტორი საქართველოს უახლესი ისტორიის ფაქტებს, იმ მდგომარეობას ისე ოსტატურად უფარდებს, რომ გებადება კითხვა: ნუთუ, დამოუკიდებლობა იმისთვის იყო საჭირო, რომ ელექტროენერგია ადგილობრივი მაფიოზური კლანებისთვის ჩაგვეგდო ხელში?!



ფილმის პლაკატი

ფილმი საინტერესოა, სიუჟეტური თხრობის თვალსაზრისითაც. თხრობის მრავალფეროვანი ფორმა ძირითად სათქმელს უფრო ანვითარებს. ელექტროენერგიის საკითხის ირგვლივ, მაყურებლის თვალწინ იშლება უახლესი საქართველოს ისტორია სამამულო ომის დროიდან მოყოლებული დღემდე. ეს ძველი, დოკუმენტური ფილმის კადრები ქართველი ხალხის უაღესად ღირსეულ სახეს წარმოაჩენს. უბრალო მშრომელი ხალხისათვის ეს გაუთავებელი ხელოვნური ბარიერი შუქის მიწოდების გამო, აუღელვებელს არავის ტოვებს. მაყურებელი თვალს ავლებს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე განფენილ ელექტროსისტემას ფოთის პორტიდან დაწყებული, გუდაურის მთებით დამთავრებული. ფილმში ქართული კულტურის თვითმყოფადობა არაერთხელ ფიქსირდება. ვერტმფრენიდან გადაღებული კადრები: სვეტიცხოველი, ჯვარი, ქართველი გლეხის სახე, ავტორი არც ერთი მოვლენის მიმართ არ არის გულგრილი რაც ამ ბოლო პერიოდის საქართველოს შეეხება. ფილმი იწერებოდა ყოვლისმომცველი კორუფციის, პოლიტიკური მკვლელობებისა და ქუჩაში გამართული მიტინგების ფონზე. ამ ფონის მიუხედავად, გლობალური ამერიკული ენერგოკომპანიის "AES თელასის" წარმომადგენელი ლუისი, თავის თხრობას კომპანიის სიძნელეებთან ერთად ქართველი ხალხის სიყვარულით აბალანსებს. ასევე ჩანს, რომ "AES თელასის" გმირები ძალიან კარგად გაერკვნენ იმ ტექნოლოგიებში, რომელსაც, ნებით თუ უნებლიეთ, საქართველოს მოსახლეობა მიმართავს ახალი ხრიკების გამოგონებაში. თუმცა, ჩვენი მეგობრებისთვის ქართველების ყოფა არ არის უცხო. ისინი გულისტკივილით აფიქსირებენ იმ დარდუბალობას, რაც იქმნება ამ წლების განმავლობაში ენერგეტიკის სფეროში. ერთადერთი ვინც ზარალდება, ეს ქართველი ხალხია, "ცოდოა ხალხი" - ფილმში ისმის ფრაზა - ფილმის ავტორი აფიქსირებს ქართველი ადამიანის გასაჭირს იმ კუთხით, რომელსაც ადამიანური კეთილგანწყობა, კეთილგონიერება ჰქვია.

ფილმის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. თუმცა, ამ პრესკონფერენციის მთავარ კითხვას მე დავსვამდი, ვის უფრო მეტად გვიყვარს საქართველო, ქართველებს თუ ამერიკელებს?!

ყველას ვუსურვებდი, უახლოეს მომავალში ენახა ეს ფილმი და ეს კითხვა დაესვათ საკუთარი თავისათვის.

სვეტი



ლადო ბურდული

# ქართული შოუბიზნესი

## გაგრძელება

სიმართლე გითხრათ, საკმაოდ დამღალა შეუმდგარ თბილისურ კლუბებზე სიტყვის ასე გაგრძელებამ. მოდით, პატარა მონტაჟი გავაკეთოთ და პირდაპირ დღევანდელ რეალობას დავუბრუნდეთ. რეალობა კი შემდეგია: ჩემი აზრით, დღეს თბილისში არ არსებობს არც ერთი კლუბი, რომელიც პასუხს სცემს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, ანუ თბილისის არც ერთი კლუბი არ ემსახურება ხალხს და მათ ინტერესებს. მათი კრიზისის მიზეზები, მე ვფიქრობ შემდეგშია:

1. კლუბიც, ისევე როგორც სხვადასხვა მოხმარების დასავლური საგნები, შემდეგი შინაარსის არის: მაგალითად, თუ შენც იყიდი გადახდილ "მერსედესს" ან BMW-ს და გივი გქვია, ეს არ ნიშნავს, რომ ჯონი გახდები და ნენსი რამეს მოგცემს... თუნდაც მაყვალა. ან თუნდაც, როცა პლეიერს იყიდი და გაიკეთებ, თუ მაიმუნი ხარ, ეს არ ნიშნავს, რომ შენც ადამიანი გახდები და ადამიანივით იკაიფებ იმაზე, რაც შიგნით ხდება. ან თუ აბორიგენი ხარ, მოკასინს ნუ იყიდი - შენი ფეხი იქ მაინც ვერ ჩაეტევა, თანაც ძვირიც დაგიჯდება და ა.შ. ანუ ნივთების საფირმო მარკები ვერასდროს ვერ შეგცვლიან, თუ შენ თვითონ არ შეესატყვისები ამ მოთხოვნებს და ფასეულობებს. ანუ - "ფულით ყველაფერი არ იყიდება". მთავარი არ არის "ითრიო" რაღაც (ვთქვათ კლუბი), მთავარი ყოველთვის თვითონ შენ ხარ და ის სული და ენერგია, რომელსაც შიგნით დააყენებ.

2. კლუბის მფლობელ "ბიზნესმენ გოჭუნიებს" არა აქვთ არანაირი პროფესიონალური გამოცდილება და ამ საქმის სიყვარული. აქედან გამომდინარე, კლუბი ავტომატურად იძენს "ხაფანგის" სახეს, ისევ ძველმოდური და უკვე გამაღიზიანებელი მოტივაციით - "ბევრი ნაშების მოხსნის და ბევრი მაყუთის მოჭრის ხარბი სურვილით". ხოლო ამ "ბიზნესმენ გოჭუნიებს" ავიწყდებათ ერთი უმთავრესი რამ - მძიმე სამამულო ცხოვრებამ ხალხი გამოაწრთო და ვირთხების მსგავსად სუნზე ცნობენ იმ "ხაფანგს", სადაც ერთხელ უკვე მოხდა "იაღლიში".

3. ხოლო თუ "ბიზნესმენი გოჭი" მიხვდება პრობლემის დედააზრს და შეეცდება იშოვოს "სპეციალისტი" და ჩააბაროს საქმე მას, ის აღმოჩნდება შემდეგი უფსკრულის წინაშე: ქვეყანაში არ არსებობს ამის პრეცედენტი, ამის კულტურა და არ არსებობენ პროფესიონალები. ისიც დიდად არ იწუხებს მათი ძებნით თავს და უშვებს ყველაზე დიდ და საბედისწერო "იაღლიშს". თავის ბიზნესში საქმეს აბარებს იქვე, "ნე ოტხოდია ოტ კასი", საძმოში ნაპოვნ ახლობელს, რომელიც ამ დაწესებულებაში მაქსიმალურად "ნავერსტაეტ უპუშენოე" და მისაბაძად გულაობს, მხიარულობს და აჩანაგებს სხვისი სიმწრით და გაიძვერობით ნაშოვნ დოვლათს და ქონებას. და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მე ჯერ არ შემხვედრია ეგეთი ტიპის პროფესიონალი, "კრიჟანი" ან "ჟოშკა" რომ გამოდგეს - ძმაკაცები ამ დროს მას არასდროს არ ავიწყდება.

4. ფასები, რომლებიც დაწესებულია ჩვენი მშიერი ქვეყნის კლუბებში სასმელზე თუ ჩამოყვანილი არტისტების კონცერტების ბილეთებზე, არ შეესატყვისება რეალობას, ანუ თავისი შინაარსით, არც ერთი არ არის დემოკრატიული.

5. არც ერთი კლუბი არ მუშაობს პროფესიონალური თუ სოციალური მიმართულებით, არც შოუბიზნესთან და არც საზოგადოებასთან მიმართებაში.

6. ერთადერთი მისასალმებელი და უდავოდ აღსანიშნავი ტენდენცია, რაც გვაქვს ქართველებს და რითაც ჭეშმარიტად შეგვიძლია ბახუსის ქვეყნის შვილებმა ვიამაყოთ, ის არის რომ, მხოლოდ საქართველოში არსებობს კლუბები ნარკოტიკების და მსუბუქი ყოფაქცევის "ბაჭიების" გარეშე (თუ არ ჩავთვლით სპონტანურ ინიციატივებს კერძო პირებისაგან) ყველა სტანდარტის დაცვით, ანუ იმ სტილთან მიახლოებით, როგორც ანდროპოვის დროს "უალკოჰოლო ქორწილები" იყო.

7. და ბოლოს, პირველი და უმთავრესი წესი ყველა კლუბისთვის. არასდროს არ უნდა შეხვდე კლუბში გასართობად მოსულ კლიენტს იმ მზერით, რომლითაც ზვიად გამსახურდია უყურებდა კრიმინალურ ინტელიგენციას.

რაც შეეხება ახალი თაობის კლუბებს, როგორიც "აჭარა მიუზიკ ჰოლია" და რომელიც თავისი შინაარსით, სიმდიდრით და პოტენციური შესაძლებლობით კავკასიაში ერთადერთი და შედარებით დემოკრატიულია, ის პატივს იმსახურებს; კლუბმა ქართველ თინეიჯერებს რეალობაში მოასმენინა მუსიკა, რომლის შემსრულებლებიც მანამდე მათ ცნობიერებაში, სადღაც, ანგელოზებთან ერთად ცხოვრობდნენ და მიუწვდომლობის და მეათე ხარისხოვანი ქვეყნის სტატუსის კომპლექსი მოუხსნა მათ. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ კლუბმა ჯერჯერობით ვერ შეძლო ახალი პროდასავლური ორიენტაციის ბაზად ქცეულიყო ადგილობრივი ნიჭიერი არტისტებისთვის და ის მაინც ფილარმონიის რეჟიმში, მხოლოდ გასტროლიორ მუსიკოს - შემსრულებზე მუშაობს, მაგრამ... მოკლედ ვნახოთ!!!

კლუბ "თბილისის" შესახებ უფრო მეტი მოვისმინე, ვიდრე ვნახე. შიდა დიზაინი კი მართლა ასწორებს, მაგრამ ერთს მაინც ვერ მივხვდი და ვერ გავიგე - იმ საღამოს რომ დავჯექი მაგიდასთან, ასე უცებ, ჩემს ირგვლივ სად გაქრა "ქუჩის აკადემიის სტუდენტებით", იგივე "ჰეტერო ნაცარქექიებით" სავსე სამი მაგიდა.

კლუბ "16 რაუნდში" კი ჩემთვის ყველაზე "სუპერი" მაინც კლუბის მენეჯერი რჩება - იდეებით სავსე, მარად ენერგიული და მარად ახალგაზრდა ბატონი "იმანო". ყველაზე გასახალისებელი ჩემთვის ამ დაწესებულებაში არის ერთ დროს პიონერთა ბანაკებში ნანახი, ჩაცემენტებული "ბესედკები", ოღონდ იმ სხვაობით, რომ შუაგულში, ქართული ტრადიციების დაცვით, სუფრებია გაშლილი, რაც აბსოლუტურად არ შეესატყვისება იმდროინდელ პიონერულ სულისკვეთებას. ეს, ალბათ, ძველი, მხიარული პიონერებისთვის, ახლა კი უკვე მოწყენილი, ოდნავ "ღიპჩოიანი" ქართველი კორუმპირებული ჩინოვნიკებისთვის უფრო ნოსტალგიურ დატვირთვას ატარებს.

ჩემთვის ყველაზე საყვარელ და მხიარულ ადგილად მაინც დახურული კლუბი "ლიფტი" რჩება, სადაც პრინციპში, ყველა ის ძირითადი პუნქტია დაცული, რაზეც, სამწუხაროდ, თქვენი ძვირფასი დროის და ყურადღების მიპყრობა მომიწია; რამაც კლუბს დროის ასე მცირე მონაკვეთში ამხელა პოპულარობა მოუტანა; სადაც ამდენმა მონათესავე სულმა იპოვა ერთმანეთი და იპოვა რაღაც საინტერესოც და გასახალისებელიც - მუდამ "ქულ" დი ჯეები, განსაკუთრებით, "ჟორჟიკა" და შემოქმედებითი ატმოსფერო. და ბოლოს და ბოლოს ეს კლუბი თუნდაც იმიტომ მიყვარს, რომ იქ გავიცანი ჰეიზერი, ანუ ჩემი პრინცესა "მკვდარი ბარტყი", რომელმაც ასე სასიამოვნოდ, 180 გრადუსით შეცვალა ჩემი მოსაწყენი ცხოვრება და რაოდენ სამწუხაროა ჩემთვის, რომ ეს კლუბი დროებით დაიკეტა.

ანეკდოტი:

ამერიკული კოსმოსური ხომალდის, "შატლის" ტრაგედიის შესახებ:

ასტრონავტებმა ხომალდის საგულდაგულო დათვალიერების და შესწავლის შემდეგ პულტის გასამართ დაფაზე აღმოაჩინეს უცნობი წითელი ღილაკი. ეკიპაჟის კაპიტანმა გაკვირვებულმა იკითხა:

- ეს რაღა არის??? - და დააჭირა თითი ღილაკს!!!

**P.S.** : სატელეფონო კომპანიის ვალი მაქვს - 2 500 ლარი, "თბილგაზის" - 300 ლარი, სუპერმარკეტის - 120 ლარი, ავიაკომპანიის - 1 300 ლარი,. დედაჩემის - 300 ლარი. ჩემგან ფულად ჯილდოს მიიღებს ის, ვინც მეტყვის, სად შემიძლია ამ თანხის შოვნა. მსურველები დამიკავშირდით:

ელ-ფოსტა:ladoart@yahoo.com ვებ გვერდი: http://lado.art.ge

მოკლედ

## რუსები "რომას" ყიდულობენ

იტალიური პრესა იუწყება, რომ "რომას" ხელმძღვანელობა პრაქტიკულად შეუთანხმდა რუსულ კომპანია "ნაფტა-მოსკვას" კლუბის გაყიდვის თაობაზე. გუშინ "რომას" აქციებზე ვაჭრობა შეჩერდა. ბირჟა ელოდება ოფიციალურ განცხადებას, რომელიც დღეს რომაული კლუბის მმართველი ორგანოს სხდომის წინ უნდა გაკეთდეს.

"მოსაგვარებელი დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკური დეტალები. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უკვე განხილული და შეთანხმებულია", – აცხადებს Gazzetta dello Sport-თან დაახლოებული წყარო.

სხვა იტალიური გამოცემა, Corriere dello Sport-ი მიიჩნევს, რომ "რომას" მფლობელ ფრანკო სენსის, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და კლუბი რუსებს დაუთმო. საქმე ის არის, რომ კვირას იწურება უკანასკნელი ვადა უეფასთვის ლიცენზირებული ფინანსური ანგარიშის წარსადგენად. ახლანდელი მდგომარეობით კი, – მიიჩნევს გაზეთი, – "რომა" ვერ მიიღებს ლიცენზიას მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში სათამაშოდ.

## ტაისონს კინოში გადაღებას და ფორმენთან ჩხუბს სთავაზობენ

ცნობილმა პრომოუტერმა დონ კინგმა მოლაპარაკებები დაიწყო მძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონ მაიკ ტაისონთან. მოლაპარაკების მიზანი ტაისონისა და კრივში დაბრუნებული 55 წლის ჯორჯ ფორმენის ბრძოლის ორგანიზებაა. ბრძოლის შეთავაზებული ბიუჯეტი 20 მილიონ დოლარს აღემატება. ამას გარდა, სახელგანთქმულმა მსახიობმა და პროდიუსერმა ჯორჯ კლუნმა ტაისონს მრავალმილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა ფილმ "A-Team"-ის რიმეიკში გადაღებისთვის.

ჯორჯ ფორმენმა რინგზე დაბრუნების შესახებ ახლახან გააკეთა განცხადება და დონ კინგთან კონტრაქტი გააფორმა. კინგმა კი, თავის მხრივ, 55 წლის ვეტერანს 20 მილიონი დოლარი და ღირსეული მეტოქე აღუთქვა. თუ ტაისონი ფორმენთან ბრძოლის კონტრაქტს ხელს მოაწერს, მისი გასამრჯელო ბევრად ნაკლები იქნება, ვიდრე ფორმენის.

რაც შეეხება სატელევიზიო გადაღებებს, კრივის დიდმა ტრფიალმა ჯორჯ კლუნმა "რკინის მაიკს" ფილმში "A-Team" მთავარი როლი შესთავაზა. ტაისონმა სერჟანტ ბარაკასის როლი უნდა შეასრულოს. თვითონ კლუნი კი აპირებს, გუნდის ლიდერის, ჰანიბალ სმიტის როლი განასახიეროს.

"მაიკი ფილმში მონაწილეობას აპირებს, - გაზეთ "ევენინგ სტანდარტთან" საუბარში აღნიშნა სარწმუნო წყარომ ჰოლივუდში, – ტაისონი მიიჩნევს, რომ მისთვის ეს ერთადერთი შანსია, ყველაფერი თავიდან დაიწყოს. თუ მაიკი ფილმის გადაღებაზე კონტრაქტს ხელს მოაწერს, კლუნი, ფაქტობრივად, მისი მხსნელი გახდება".

ბოლო დროს ტაისონი სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. ამას წინათ "რკინის მაიკმა" აღიარა, რომ მის განკარგულებაში ხუთი ათას დოლარზე ოდნავ მეტი დარჩა.

## ანტიგლობალისტები: "ოლიმპიადას ვერ ჩაატარებთ!"

ათენის ცენტრალურ მოედანზე რამდენიმე ათასი ანტიგლობალისტი შეიკრიბა და დემონსტრაცია გამართა. მათი მოთხოვნა მარტივი იყო. ანტიგლობალისტებს არ სურთ, ათენში 13-29 აგვისტოს ოლიმპიური თამაშები გაიმართოს. "ოლიმპიადას ვერ ჩაატარებთ!" – გაჰყვიროდნენ ანტიგლობალისტები.

ეს დემონსტრაცია დაემთხვა ათენში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციებისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შეხვედრას.

"საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექტორები აქ არიან, მაგრამ ისინი ადამიანების აზრზე თვალს ხუჭავენ, – განაცხადა ერთ-ერთმა ანტიგლობალისტმა, – ჩვენ არ გვინდა, რომ ოლიმპიური თამაშები აქ გაიმართოს. ჩვენ მისი გამართვის წინააღმდეგი ვართ". სოკ-ის ხელმძღვანელობას დემონსტრაციის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. როგორც ჩანს, ანტიგლობალისტთა გამოხდომებს ყველა შეეგუა.

ცნობილია, რომ ანტიგლობალისტები უკვე დიდი ხანია ოლიმპიური თამაშების გამართვის წინააღმდეგ გამოდიან. საბერძნეთში კი დემონსტრანტები უკმაყოფილონი არიან უსაფრთხოების იმ ზომების გამო, რომლებსაც ოლიმპიური თამაშების დროს შემოიღებენ. ანტიგლობალისტებს განსაკუთრებით აღიზიანებთ ასობით ტელეკამერა, რომლებიც ათენის ირგვლივ არის განლაგებული. ასევე მთავრობის გადაწყვეტილება ოლიმპიურ დღეებში დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთი გეგმავს, უსაფრთხოების მიზნით 800 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯოს. წინასწარი პროგნოზებით, ოლიმპიურ თამაშებზე ადამიანთა სიმშვიდეს 50 000 პოლიციელი დაიცავს. ამას გარდა, საბერძნეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა NATO-ს, დაეხმაროს ათენს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ანტიგლობალისტებში ამ თხოვნამაც პროტესტის ტალღა გამოიწვია.

ფეხბურთი

# მადრიდში მე მარტო მოვიგებ მატჩს!

### ოლივერ კანის თავის მართლება და დაპირებები

ნინო პირველი






მიუნხენის "ბაიერნს" ამ სეზონში ბედი არ სწყალობს. არც ჟურნალისტები და კრიტიკოსები. რაც სეზონი დაიწყო, ოტმარ ჰიტცფელდსა და მის გუნდს ლანძღვისა და დაცინვის მეტი არაფერი მოუსმენიათ. ვისაც არ ეზარება, ყველა მიუნხენელებს აკრიტიკებს. ხან ოტმარ ჰიტცფელდს აძლევენ რჩევებს, ასე და ასე ითამაშეო, ხანაც ული ჰიონესს კარნახობენ, ახალი მწვრთნელისა და ფეხბურთელების დასაქმებაზე იზრუნეო. მოკლედ, საცოდავი "ბაიერნი" შავ დღეშია. პრინციპში, კრიტიკოსებს არც გაემტყუნებათ: ძნელია, გულგრილი დარჩე ამდენი წარუმატებლობისა და მარცხის შემდეგ. არ აგაღელვოს იმან, რომ გერმანიის მოქმედი ჩემპიონი თასის მეოთხედფინალში მეორე ლიგაში მესამე ადგილზე მყოფ გუნდთან აგებს, ბუნდესლიგის აუტსაიდერებთან მატჩებს ფრედ ამთავრებს და ჩემპიონთა ლიგაში "ანდერლეხტსა" და "ლიონს" ვერ უგებს. ამ ყველაფრის შემდეგ როგორ უნდა შეიანრჩუნო სიმშვიდე და არავინ გააკრიტიკო - არც მწვრთნელი და არც ფეხბურთელები? ჰოდა, "ბაიერნიც" იღებს იმას, რაც დაიმსახურა, თუმცა, არა ყოველთვის.

24 თებერვალს "ბაიერნმა" საკუთარ თავს აჯობა, ისე კარგად ითამაშა, როგორც დიდი ხანია, აღარ უთამაშია. ევროპის საუკეთესო კლუბად მიჩნეულ მადრიდის "რეალთან" თავი არ დაზოგა, ყველაფერი გაიღო გამარჯვებისთვის, მაგრამ გარჯა მაინც არ დაუფასდა. ვერც მადრიდელები დაამარცხა და არც სკეპტიკოსმა კრიტიკოსებმა შეუნდეს ცოდვები. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მიუნხენელთა ფიასკოს მიზეზი სწორედ ის კაცი გახდა, ვისაც აქამდე არაერთხელ გადაურჩენია "ბაიერნი" "რეალის" გოლებისგან, ვისგანაც მთელი გერმანია მუდამ სასწაულის მოხდენას ელის, ვინც გერმანიის ნაკრები თითქმის მარტომ გაიყვანა 2002 წლის მუნდიალის ფინალში. ოლივერ კანი - მსოფლიოს საუკეთესო მეკარის საპატიო ტიტულის მრავალგზის მფლობელი, მეკარე-ტიტანი, ზეკაცი, დაუძლეველი, შეუპოვარი, "ქერა ბესტია", ურჩხული, დრაკონი... ოლივერ კანი, რომლის სულელურმა შეცდომამ "ბაიერნი" ლიგიდან გამოსავარდნად გაწირა. რა სამწუხაროა, "ოლი"! რობერტო კარლოსი, ალბათ, თავადაც არ ელოდა, თუ მის მიერ ყოველი შემთხვევისთვის კარის მიმართულებით დარტყმული ბურთი "ბაიერნის" კარის ბადეში აღმოჩნდებოდა. იქ ხომ ოლივერ კანი იდგა! მსოფლიოს საუკეთესო მეკარე, "ერთ-ერთი იმ საშინელ ფეხბურთელთაგანი, რომელიც შიშის ზარს სცემს მეტოქეს და რომელიც ყველაზე მეტად არ უყვართ გულშემატკივრებს", - ამბობდა დევიდ ბექჰემი მატჩის წინ. მაინც რა დაემართა კანს? რატომ გაუსხლტა ბურთი ხელიდან? კაცმა არ იცის. "ეს დარტყმა აუცილებლად უნდა ამეღო, მაშინაც კი, საერთოდ უფეხო და უხელო რომ ვყოფილიყავი", - მწარედ შენიშნა "ოლიმ" მეორე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე. ნუთუ ეს შეცდომა "ბაიერნისთვის" საბედისწერო იქნება? ნუთუ ამ ლაფსუსს კანს უხმოდ აპატიებენ? მან ერთხელ უკვე ითამაშა ფატალური როლი გერმანიის ნაკრების სახელოვან საჩემპიონო ისტორიაში, როცა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბურთი ცხვირწინ მოიგერია და ბრაზილიელ რონალდოს შესანიშნავი სიურპრიზი მოუწყო. ასეთ საჩუქრებზე "ფენომენი" არასოდეს ამბობს უარს, არც რობერტო კარლოსი, სხვათა შორის...

მატჩის შემდეგ კანს, რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა. არავის დალაპარაკებია, არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია, უხმოდ შევიდა გასახდელში, გამოიცვალა და სწრაფად გასცილდა ოლიმპიურ სტადიონს. მეორე დღეს მრისხანება ცოტათი დაცხრა და კანმა პრესკონფერენცია მოაწყო, ვრცელ ინტერვიუზეც დათანხმდა "შპიგელს". "ვინც მე მიცნობს, კარგად იცის, რომ მეორე მატჩში თავს არ დავზოგავ გამარჯვებისთვის. მადრიდში მე მარტო მოვუგებ "რეალს". მეოთხედფინალში გასვლა ჩემთვის ღირსების საქმეა. თუ რობერტო კარლოსის გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდება, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ", - მტკიცედ განაცხადა კანმა. როგორც გაირკვა, "რეალთან" შეხვედრის წინ "ოლი" მეტად აღელვებული ყოფილა. იენს ლემანთან შეტაკებამ უკვალოდ არ ჩაიარა. კანი ძალიან გაანერვიულა "არსენალის" გოლკიპერის გამოხდომამ: "მთელი კვირა ყველა ამ თემაზე ლაპარაკობდა და მეც იძულებული ვიყავი, ნაირ-ნაირ დისკუსიებში მიმეღო მონაწილეობა. ამან ძალიან გადამღალა". ასე რომ, გარკვეულწილად, ლემანის ბრალიც ყოფილა "ბაიერნის" გაწბილება...

**- ჰერ კან, როგორ გრძნობდით თავს იმ საბედისწერო შეცდომის შემდეგ?**

- ასეთ დროს საკუთარ თავს წყევლა-კრულვას უგზავნი და გინდა, რაც შეიძლება, შორს გაიქცე...

**- რამდენად მწარეა თქვენთვის ის ფაქტი, რომ სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში შეცდით?**

- ასეთია ყველა მეკარის ცხოვრება. ასეთი რამ ყოველთვის შეიძლება დაგემართოს – სულ ერთია, სად, როდის და როგორ... მე ყოველთვის ვამბობდი, რომ წამებს ყველაფრის შეცვლა შეეძლოთ. სწორედ ასე მოხდა ამ მატჩში.

**- რას ელით მადრიდის მატჩისგან?**

- ჩვენ მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს. ვინც მე მიცნობს, იცის, რომ თავს არ დავზოგავ. ამ მატჩს მე მარტო მოვიგებ.

**- ზურგის ტრავმამ ხომ არ შეგიშალათ ხელი პირველ მატჩში?**

- ეს ტრავმა უკვე დაძლეულია. გამართული უნდა ვიყო და ყველაფერი მოგვარდება.

**- თქვენ ხორვატიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაშიც დაუშვით შეცდომა, რასაც გოლი მოჰყვა ჩვენს კარში. ამის შემდეგ იენს ლემანმა გაგაკრიტიკათ. ამანაც ხომ არ იმოქმედა თქვენზე?**

- არა მარტო ამან. რა თქმა უნდა, ძალიან გამაღიზიანებელია, როცა მთელი კვირა რაღაც სისულელეები გესმის და ძალაუნებურად იღებ მონაწილეობას უაზრო დისკუსიებში. მაინც რა იყო ხორვატებთან შეხვედრა? ერთი უბრალო ამხანაგური მატჩი, რომელიც საკმაოდ კარგად ჩავატარე და მხოლოდ საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე დავუშვი ერთი სულელური შეცდომა. ამის გამო არ ღირდა ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა. ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ მაქვს მოთმინება და ნერვები.

**- საკმაოდ დამთრგუნველად ჟღერს თქვენი ბოლო ფარაზა.**

- სპორტსმენის კარიერაში ყოველთვის დგება ისეთი მომენტი, როცა სერიოზულად უნდა დაფიქრდე, რა ხდება შენს თავს. ამჟამად ფიზიკურად შესანიშნავ ფორმაში ვარ, ბევრს ვმუშაობ, ყოველდღე საათობით ვვარჯიშობ. ამის მიუხედავად, რაღაც მაინც ვერ არის რიგზე. ახლა საკუთარ თავში ჩაღრმავება მჭირდება.

**- კარიერის დასრულებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- არა, ეს არ მიგულისხმია. დამთავრება ჯერ ადრეა. კიდევ რამდენიმე წელი გავა, სანამ ფეხბურთიდან წასვლას გადავწყვეტ.

ასეთ განწყობაზე გახლავთ ოლივერ კანი. "ბაიერნის" ფეხბურთელები და ხელმძღვანელობაც ოპტიმისტურადაა განწყობილი. თუ კარლ ჰაინც რუმენიგე 24 თებერვალმდე მეტად უიმედოდ იყო და ამბობდა, "რეალს" ვერაფერს დავაკლებთო, ახლა უკვე მეოთხედფინალში გასვლაზე ალაპარაკდა: "ჩვენ აღმავლობის გზაზე ვართ. ვფიქრობ, "ბაიერნი" გავა შემდეგ ეტაპზე. ჩვენ ვიბრძოლებთ ამისთვის. ოლივერ კანი მადრიდიდან გამარჯვებული დაბრუნდება", - მეტოქეს აშინებს რუმენიგე. მადრიდელებმაც კარგად იციან, რომ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩნენ მარცხს: "ჩვენ ბედმა გაგვიღიმა", - აღიარებს ზინედინ ზიდანი. "ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. "ბაიერნი" ძლიერი გუნდია. მეორე მატჩი დაუნდობელი იქნება. "სანტიაგო ბერნაბეუს" ჩვენ, ყველანი, დალურჯებული და დაჟეჟილი დავტოვებთ", - შეფიქრიანებულია დევიდ ბექჰემი. რონალდოს სასტიკად აკრიტიკებენ ინერტულობის გამო, არც რაული დაინდეს ესპანელმა ჟურნალისტებმა. მოკლედ, "რეალი" მიუნხენში სულაც არ ჰგავდა უპირობო ფავორიტს. მადრიდში ყველაფერი კიდევ უფრო რთულად იქნება. არავინ იცის, როგორ დამთავრდება მატჩი. ერთი რამ კი ცხადია: ოლივერ კანი ასეთ უაზრო შეცდომას ნამდვილად აღარ დაუშვებს...

TV-სპორტი

**პარასკევი, 27 თებერვალი.**

**НТВ+ ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "რეალ სოსიედადი" – "ლიონი". პირველი მატჩი
15:20 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-4 ტური
16:20 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალური მატჩების მიმოხილვა
18:50 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ინტერი"
20:30 "ევროფანკლუბი". "ბავარია"
21:00 "გაიტანე"! იან კოლერთან ერთად
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 თავისუფალი დარტყმა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" – "არსენალი"
23:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "GOLDEN STATE WARRIORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:00, 21:15 პრესცენტრი
11:15, 21:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TAMPA BAY LIGHTNING"- "TORONTO MAPLE LEAFS"
14:15 "მოტოვებული კვირა"
15:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში. ნახევარფინალები. შესვენებისას (17:00) – პრესცენტრი
18:15 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
18:45 "თოვლის სამყარო"
19:15 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
19:45 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
20:45 "გოლფი". ტელეჟურნალი
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
21:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
22:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
00:55 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TAMPA BAY LIGHTNING"- "TORONTO MAPLE LEAFS". შესვენებისას (01:30) – პრესცენტრი

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:00 სკელეტონი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
17:45 სკელეტონი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
18:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
19:45 სკელეტონი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
20:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
22:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი
23:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში
00:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი
01:00 უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
03:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის შედეგები
04:15 ახალი ამბები

# მიცვალებულებს "არსენალის" მაისურები აცვიათ

### ინგლისელები საყვარელი კლუბების ფორმებში დაკრძალვას ამჯობინებენ

*ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ნაწილისთვის საყვარელი კლუბი მთელი მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი რამაა. ზოგიერთი მათგანი ამის დამტკიცებას "მეორე" ცხოვრებაშიც ცდილობს. ლონდონის ერთ-ერთი დამკრძალავი ფირმის მეპატრონე, კრის ვესტი გარდაცვლილებს უკანასკნელ სურვილს უსრულებს – ის საფეხბურთო კლუბების მაისურებში ასაფლავებს ხალხს.*



*ახლა მოდაშია "საფეხბურთო დაკრძალვები"*

**- ბატონო ვესტ, როდის გაუჩნდათ ადამიანებს საფეხბურთო კლუბების მაისურებით დაკრძალვის სურვილი?**

- მას შემდეგ, რაც ამ მაისურების გაყიდვა დაიწყეს. ოცი წლის წინათ, როდესაც ეს ბიზნესი წამოვიწყე, თითო-ოროლა ადამიანი თუ გამოჩნდებოდა, რომლებიც ბოი-ჯორჯის თოჯინასთან ერთად დასაფლავების სურვილს გამოთქვამდნენ. მერე მოდაში შემოვიდა საყვარელი კლუბების ფერებში გადაწყვეტილი ყვავილები და შარფები, რომელთაც კუბოებს ზემოდან აფენდნენ.

**- და როდის გამოჩნდა პირველი მაისურა?**

- მოვიდა ერთი 80 წლის კაცი, რომელსაც უნდოდა, აუცილებლად "არსენალის" მაისურაში დასაფლავებულიყო.

**- გაგიკვირდათ?**

- ცოტათი, მართლაც, გამიკვირდა. მაგრამ დროთა განმავლობაში შევეჩვიე. ამ ცოტა ხნის წინათ "ლუტონ-თაუნის" მაისურაში გამოწყობილი მიცვალებული დავკრძალეთ. სულ უფრო მრავლდებიან პატარა კლუბების გულშემატკივრები, რომელთაც საყვარელი გუნდის ფორმაში სურთ დასაფლავება.

**- ყველაზე ხშირად რომელი გუნდის მაისურები აცვიათ მიცვალებულებს, "მანჩესტერ იუნაიტედის"?**

- არა, "არსენალის". ჩვენი ფირმა ლონდონის სიახლოვეს მდებარეობს. ალბათ, ეს არის მიზეზი.

**- საყვარელი კლუბისადმი ასეთ ერთგულებას, ძირითადად, ხანში შესული გულშემატკივრები გამოხატავენ?**

- არა, ასეთი სურვილით ყველა ასაკის ადამიანები მოგვმართავენ. ცოტა ხნის წინათ დავკრძალეთ ქალბატონი, რომელმაც დაგვიბარა, რომ ქმრის გვერდით, "მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურაში დაგვესაფლავებინა. მის ქმარს ძალიან ჰყვარებია ეს გუნდი.

**- საფეხბურთო კლუბების მაისურებში დაკრძალვა უკვე დამკვიდრდა. რა იქნება შემდეგ – საყვარელი კლუბის ფერებში გადაწყვეტილი კუბოები?**

- არის ფირმა, London Caskets-ი, რომელიც ასეთ მოდელებს შეკვეთით ამზადებს. მაგრამ ასეთი კუბოთი დასაფლავების სურვილი ჩვენთან ჯერ არავის გამოუთქვამს. ისინი ძალიან ძვირიც ღირს, დაახლოებით 4000 გირვანქამდე. თუმცა, ჩვენ უკვე გვქონდა საქმე ბობ-მარლეის კუბოებთან. ალბათ, მალე გამოჩნდებიან "საფეხბურთო კუბოებში" დაკრძალვის მსურველებიც.

**- პირადად თქვენ უკვე გადაწყვიტეთ, თუ რომელი კლუბის მაისურაში გაუყვებით უკანასკნელ გზას?**

- ოოო, დიახ! "იფსვიჩ თაუნის" მაისურაში.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** Tribalfootball-ის ცნობით, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე "მანჩესტერ სიტიდან" წასვლის შემდეგ "ბოლტონის" ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. თუ ქინქლაძე თავს გამოიჩენს, მაშინ მას კონტრაქტს შესთავაზებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუმინეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი მარიუს ლეკეტუში "უნივერსიტატის" (კრაიოვა) მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე საათში გადადგა. "როიტერის" ცნობით, ლეკეტუშის გადადგომის მიზეზი "უნივერსიტატის" გულშემატკივართა მანიფესტაცია გახდა. საქმე ისაა, რომ მანიფესტანტებს არ უნდათ, საყვარელი კლუბის დამრიგებლად იხილონ ის მწვრთნელი, რომელიც მანამდე "უნივერსიტატის" დაუძინებელი მტრის "სტიაუას" რიგებში თამაშობდა.

"როდესაც ჩემს გამო კლუბის გულშემატკივრები ზარალდებიან, ამას ნორმალურად არ მივიჩნევ და ამიტომაც მივდივარ", - წასვლისას განაცხადა ლეკეტუშმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საერთაშორისო კატეგორიის ყოფილი მსაჯი, თურქი აჰმეთ ზაკარი თავდასხმის მსხვერპლი გახდა. SoccerAge-ის ცნობით, უცნობმა დამნაშავემ ზაკარს ტყვია მაშინ ესროლა, როდესაც ეს უკანასკნელი საკუთარი მანქანიდან გადმოდიოდა. თურქი მსაჯი, ხუთი ჭრილობით, საავადმყოფოშია მოთავსებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ლეგიონერი რობერტო კარლოსი ბავარიელი მცველის მარტინ დემიკელისისთვის სახეში ჩარტყმის გამო, შესაძლოა, დაისაჯოს. "დაწყებულია დისციპლინარული გამოძიება და მისი შედეგები ორშაბათს გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, რობერტო კარლოსს ერთ ან რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის", - იტყობინება უეფას დისციპლინარული კომიტეტის წარმომადგენელი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიო საფეხბურთო ოჯახს კიდევ ერთი ქვეყანა შეემატება. "როიტერის" ცნობით, კირიბატის (წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფო) ხელისუფლების წარმომადგენლებს ფიფა-ში გაწევრიანება სურთ. გაწევრიანებას კი ათენის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ აპირებენ.

სხვათა შორის, კირიბატი (ქვეყნის მოსახლეობა - 80 ათასი კაცი) 2003 წელს გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 202-ე წევრი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ იტალიის ფინანსურმა პოლიციამ სერია A-სა და B-ს კლუბები გაჩხრიკა. ჩხრეკის მიზეზი საბუღალტრო აღრიცხვიანობაში თაღლითობის ფაქტები ყოფილა. გარდა ამისა, "როიტერის" ცნობით, იტალიის პოლიციამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციისა და ქვეყნის საფეხბურთო ლიგის ოფისებიც გაჩხრიკა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინის პოლიციამ "რივერ პლეიტთან" მატჩისას დააკავა "ესტუდიანტეს" მთავარი მწვრთნელი კარლოს ბილარდო. პოლიციის აზრით, არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა დაარღვია კანონი, რომელიც მატჩებისას სპირტიანი სასმელების მიღებას ეხებოდა.

"პოლიციელები შეცდნენ, - Sky Sports-თან საუბარში აცხადებს ბილარდო. – მათ ეგონათ, რომ მე შამპანურს ვსვამდი. სინამდვილეში კი ბოთლში წყალი ესხა. წინა კვირას მითხრეს, უგუნებოდ ჩანხარ და მხოლოდ ანგარიშზე ფიქრობო. ჰოდა, მეც ვიოხუნჯე – შამპანურის ბოთლში წყლის ჩასხმა გადავწყვიტე.

■ ■ ■

**კრივი.** ძმები კლიჩკოების გერმანელი პრომოუტერის კლაუს-პეტერ კოლის ცნობით, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლა ვიტალი კლიჩკოსა და სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსს შორის 24 აპრილს აშშ-ში შედგება. თუმცა, მატჩის ზუსტი ადგილი ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება ვლადიმირ კლიჩკოს, იგი უფროს ძმაზე ადრე, 10 აპრილს ავა რინგზე. ამასთან, ცნობილია ორთაბრძოლის ადგილი. კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) უმთავრესი ტიტულისთვის უმცროსი კლიჩკო ლას ვეგასში ლემონ ბრიუსტერს დაუპირისპირდება.

■ ■ ■

**ჰოკეი.** NHL-ის კლუბის "ვაშინგტონ კეპიტალზის" მცველს რიკ ბერს "ტამპა ბეის" მოთამაშის, მარტინ შიბაკისთვის ყვანჯის დარტყმის გამო ერთი მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ბერმა ეს ორშაბათის მატჩის მესამე პერიოდში ჩაიდინა. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, დისკვალიფიკაცია მცველს 2520,83 დოლარი დაუჯდება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა, ფერარელმა მიხაელ შუმახერმა იტალიაში, იმოლას ტრასაზე ტესტ-რბოლისას, წრის რეკორდი დაამყარა – 1 წუთი და 19,666 წამი. იმოლას ტრასის სიგრძე 4,933 კილომეტრია. "ფერარის" გერმანელი პილოტი პირველი მრბოლი გახდა ამ ტრასის ისტორიაში, რომელმაც ერთი წრე წუთსა და 20 წამზე სწრაფად გაიარა.

რბოლის შემდეგ შუმახერი კმაყოფილი ჩანდა: "ჩვენ დიდი სამუშაო გავწიეთ იმისთვის, რომ ასეთი შედეგისთვის მიგვეღწია. ასე რომ, ის, რაც მოხდა, სავსებით კანონზომიერია. ჩემი აზრით, ახლა უკეთ ვართ მომზადებული, ვიდრე შარშან".

იტალიური საჯინიბოს სპორტული დირექტორის ჟან ტოდტის განცხადებით: "ვფიქრობ, ახლა ჩვენი დროა. "ფერარი" ახალი ბოლიდითაც შეინარჩუნებს ლიდერობას".

სამეფო რბოლების პირველი ეტაპი 7 მარტს მელბურნში აიღებს სტარტს.

## კალათბურთი

# არაქველმოქმედი "შაკი"

სანდრო ნავერიანი

"ნაგეთსი"-"ლეიკერსის" მატჩის შემდეგ, რომელიც დენვერში გაიმართა, უსაქმურები კვლავ ალაპარაკდნენ კობი ბრაიანტის "დენვერ ნაგეთსში" გადასვლაზე. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ბრაიანტმა დენვერულ გუნდში შესაძლო გადასვლა არც უარყო და არც დაადასტურა: "როგორც უკვე ვთქვი, სეზონის ბოლოს დავჯდები და ყველა წინადადებას გულდასმით განვიხილავ. იმას, რომელიც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უფრო მისაღები იქნება, მივიღებ. მათ შორის არის "დენვერ ნაგეთსის" მიერ შემოთავაზებული კონტრაქტიც. გამორიცხული არაფერია. შეიძლება დენვერში გადავიდე, შეიძლება ლოს-ანჯელესში დავრჩე. და, საერთოდ, შესაძლოა, ევროპაში წავიდე", - განაცხადა ბრაიანტმა. ევროპაში გადასვლა ნაკლებად სავარაუდოა, დანარჩენი კი ყველაფერია მოსალოდნელი - ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდებს ხომ მრავალმილიონიანი ბიუჯეტები აქვთ. მთავარი კი სწორედ რომ ფულია. კონკრეტულ შეხვედრაში ბრაიანტი და კარმელო ენტონი საუკეთესონი იყვნენ. ლეიკერების ლიდერმა, კობი ბრაიანტმა, 35 ქულა და 10 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, რითაც მორიგი დაბლ-დაბლი მიითვალა თავის ანგარიშზე. მასპინძელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო დრაფტზე მესამე ნომრად არჩეული კარმელო ენტონი. მან, ბრაიანტის მსგავსად, 35 ქულა გააკეთა, რითაც პირადი რეკორდი მოხსნა. ნიკოლოზ ცქიტიშვილს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.



ბრაიანტმა, შესაძლოა, "ლეიკერსი" მიატოვოს

ზემოთ ნახსენებ მატჩში შაკილ ო`ნილმა პირდაპირ საშინლად ითამაშა. მან 16 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მისთვის ძალიან ცუდ შედეგად ითვლება. "შაკის" ასეთი თამაში მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას - კომპანია Paramount Celebrity Management-მა მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. საქმე ის არის, რომ შაკილ ო`ნილსა და ხსენებულ კომპანიას შორის არსებობდა მოლაპარაკება, რომელიც კონტრაქტის სახით იყო გაფორმებული. კონტრაქტის თანახმად, შაკილ ო`ნილს მონაწილეობა უნდა მიეღო კომპანიის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში (კომპანია, ძირითადად, საქველმოქმედო აქციებს აწყობს). უკანასკნელ საქველმოქმედო ღონისძიებაზე "შაკი" არ გამოცხადდა, რის შემდეგაც კომპანიამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. კალათბურთელის პირადმა ადვოკატმა განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც ღონისძიება მიმდინარეობდა, შაკილ ო`ნილს მაღალი სიცხე ჰქონდა და სწორედ ამიტომ ვერ გამოცხადდაო, მაგრამ, როგორც ჩანს, კომპანიის ხელმძღვანელობას ასეთი ახსნა-განმარტებები არ აკმაყოფილებს და შაკილ ო`ნილისგან 5,600,000 დოლარს ითხოვს. სასამართლო პროცესის ჩატარების თარიღი მაშინ დადგინდება, როდესაც "შაკი" კალიფორნიის შტატის პროკურორთან გამოცხადდება.

ფორვარდმა დენის როდმანმა კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დატოვა ABA-გუნდი "ლონგ ბიჩ ჯემი". "როდმანი ჩვენს გუნდში, უბრალოდ, ფორმის აღსადგენად ირიცხებოდა და ეს ყველამ კარგად იცოდა. ჩვენს ლიგაში კიდევ რამდენიმე მატჩის ჩატარება მას არაფერს მისცემდა. ამიტომაც გადავწყვიტე, მის სურვილს დავმორჩილებოდი. ვუსურვებ კვლავ ისეთ დონეზე თამაშს, როგორითაც მან სახელი გაითქვა. დარწმუნებული ვარ, NBA-ში არ მოიძებნება გუნდი, რომელიც როდმანის გადაბირებას არ მოისურვებს", - განაცხადა "ლონგ ბიჩ ჯემის" პრეზიდენტმა სტივ ჩეიზმა. ახლა დენის როდმანი მეჯიქ ჯონსონის მეთვალყურეობის ქვეშ ვარჯიშობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად "ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" ითამაშებს. როდმანი სხვა გუნდთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. ეს ამბავი უახლოეს ერთ კვირაში უნდა მოგვარდეს. გუნდის ვინაობას ჯერ არ ასახელებენ.

"იუტა ჯაზის" რუსმა ლიდერმა ანდრეი კირილენკომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის კალათბურთელია და რომ ჯაზმენები კირილენკოს გარეშე იგივეა, რაც ორკესტრი – დირიჟორის გარეშე. კირილენკომ უკანასკნელ მატჩში თავის გუნდს გაამარჯვებინა. ჯაზმენები "სიეტლ სუპერსონიქსს" ხვდებოდნენ და მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ერთ ქულას აგებდნენ. კირილენკომ ჯერ სამქულიანი სტყორცნა და 91:89 დაწინაურდნენ, ხოლო როდესაც ცხრა წამი იყო დარჩენილი, მან მეტოქის ფარიდან მოხსნა ბურთი, თავად ისროლა და საბოლოო შედეგი – 93:92 დააფიქსირა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა.

**ტორონტო-ვაშინგტონი 74:76**
**ტორონტო:** მარშალი(20), ბოში(15), პეტერსონი(13), მეისონი(10)
**ვაშინგტონი:** ბრაუნი(16), ჰეივუდი(13), სტექჰაუზი(11)

**ბოსტონი-მილუოკი 104:106**
**ბოსტონი:** პირსი(21), ბლაუნტი(20+10 მოხსნა), ჰანტერი(17), ეტკინსი(14), მიმი(11)
**მილუოკი:** რედი(26), მეისონი(21), კუკოჩი(18)

**მინესოტა-ნიუ-ჯერსი 81:68**
**მინესოტა:** ჰადსონი(29), გარნეტი(18), შერბიაკი(14)
**ნიუ-ჯერსი:** მარტინი(18+12 მოხსნა), კიდი(11+10 მოხსნა+7 გადაცემა), კიტლსი(11), ჯეფერსონი(10), კოლინზი(10)
ტროი ჰადსონმა ღირსეულად შეცვალა ტრავმირებული სემ კასელი და სწორედ მისი წყალობით "მინესოტა თიმბერვულვზმა" პირველად გაიმარჯვა ლოურენს ფრენკის შეგირდებზე.

**ნიუ-ორლეანი-კლიპერსი 99:93**
**ნიუ-ორლეანი:** დევისი(26+9 გადაცემა), მაგლოირი(21+14 მოხსნა), მაშბორნი(20), ბრაუნი(14+12 მოხსნა)
**ლ.ა.კლიპერსი:** ბრენდი(19+12 მოხსნა), რიჩარდსონი(18), უილკოქსი(18), მაგეტი(16)

**მემფისი-გოლდ. სთეითი 92:99**
**მემფისი:** პოუზი(25), რაიტი(14), უელსი(14), ბატიე(12), გაზოლი(11)
**გოლდენ სთეითი:** კლექსტონი(28+7 გადაცემა), რიჩარდსონი(24), დამპიე(14+18 მოხსნა), კარდინალი(13)

**ჩიკაგო-დეტროიტი 88:107**
**ჩიკაგო:** კერი(19)
**დეტროიტი:** ჰემილტონი(21)
"ჩიკაგო ბულზმა" ზედიზედ მერვე მატჩი წააგო "დეტროიტ პისტონზთან"

**ფენიქსი-ნიუ-იორკი 113:95**
**ფენიქსი:** სტაუდმაიერი(24+14 მოხსნა)
**ნიუ-იორკი:** ტომასი(25)

**დენვერი- ლეიკერსი 111:112**
**დენვერი:** ენტონი(35), მილერი(21), ჰილარიო(10+8 გადაცემა), კემბი(10). ცქიტიშვილს არ უთამაშია
**ლ.ა. ლეიკერსი:** ბრაიანტი(35+10 გადაცემა), ო`ნილი(16+4 ბლოქშოტი), პეიტონი(14+8 გადაცემა)

**ჰიუსტონი-კლივლენდი 90:84**
**ჰიუსტონი:** მობლი(22), მინი(17), ჯექსონი(15), უიზერსპუნი(12)
**კლივლენდი:** მაკაინისი(17+10 გადაცემა), ბუზერი(16), ჯეიმსი(11)

**სიეტლი-იუტა 92:93**
**სიეტლი:** ალენი(40)
**იუტა:** კირილენკო(22+8 მოხსნა+3 ბლოქშოტი).

## ქომაგის ტრიბუნა



კობა ხაბაზი

### რატომ შექმნეს აჭარაში რაგბისა და კალათბურთის გუნდები გასტროლიორებისგან

2004 წლის 3-4 თებერვალს თბილისში ჩატარებულ ჩემპიონატში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ერთ დროს აჭარის ძლიერმა გუნდმა ძალიან სუსტად იასპარეზა. მიზეზი ერთია: აჭარის დღევანდელი ხელისუფლება სრულებით არ უწყობს ხელს მოჭიდავეებს, მაშინ როცა აჭარა და ბათუმი, კარგი გაგებით, სწორედ ამ ბიჭებმა გააცნეს მსოფლიოს, ბიჭებმა, რომლებიც მსოფლიო დონის ყველა სინჯის მედალს ფლობენ.

დახმარების ნაცვლად, ასლან აბაშიძე და მისი ორი ბობოლა პოლიციელი, 1990-იანი წლების ყოფილი მოჭიდავეები, მოძრაობა "ჩვენი აჭარისა" და "კმარას" აქტივისტებისა და მათი მომხრეების დარბევა-დაპატიმრებით არიან დაკავებულნი.

საჭიდაო დარბაზის წართმევამ, ხალიჩის არქონამ (ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის მიერ ნაყიდი, აჭარისთვის განკუთვნილი ძვირად ღირებული ხალიჩები თბილისში ინახება) აჭარელი მოჭიდავეები აქცია დევნილებად, რომელთაც უფულობისა და გაჭირვების გამო თბილისს მიაშურეს. ზოგიერთი მათგანი ხშირად მშიერი ვარჯიშობს.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს აბაშიძის ვანდალიზმი, რომელიც მან ბათუმელი მოქალაქეების წინაშე ჩაიდინა. ქალაქში არსებული ორი საფეხბურთო სტადიონიდან ერთი საერთოდ გააქრო, მეორე, ცენტრალური კი თითქმის მთლიანად დაანგრია.

თავისი რეჟიმის შესანიღბავად, რათა კარგად ეძარცვა აჭარა და მისი ხალხი, ასლან აბაშიძემ მათი ყურადღება სხვა რამეზე გადატანა: შექმნა რაგბისა და კალათბურთის გუნდები, რომლებიც, ძირითადად, თბილისელი და ქუთაისელი სპორტსმენებით დააკომპლექტა. მათი ხელფასებისთვის და საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად რამდენიმე მილიონი დოლარი დახარჯა. ამას მოყვა ის, რომ აჭარაში მრავალი პოპულარული სახეობა, სპორტული და ჯანმრთელობის ჯგუფები მასობრივად გაქრა. შედეგი სავალალოა: ერთ დროს რესპუბლიკისა და საერთაშორისო დონის მოქმედი ადგილობრივი კადრები აჭარაში უკვე აღარ არსებობენ. გამონაკლისი მხოლოდ მოჭიდავეები არიან, თუმცა, ალბათ, მათაც სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა ბედი ელით.

მაგალითისთვის მოვიყვანთ: 2003 წელს აჭარელ სპორტსმენთა მიერ სპორტის ზოგიერთ ინდივიდუალურ სახეობაში ნაჩვენები შედეგები, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა შორის, ბევრად ჩამორჩება 1936 წელს აჭარელი სპორტსმენების მიერ ნაჩვენებ შედეგებს. ეს აჭარის დღევანდელმა სპორტის მინისტრმაც კარგად იცის. თუ გადავხედავთ აჭარისა და მისი დედაქალაქის სპორტული ცხოვრების მატიანეს 1936-დან 1990 წლამდე, აქაური სპორტსმენები და დანარჩენი მოქალაქეები ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ ბათუმში ჰქონდეთ ორი სტადიონი და ერთი საჭიდაო დარბაზი. არავის არა აქვს უფლება, აჭარაში სპორტული ცხოვრება 1936 წლის დონეს დაუბრუნოს. და რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა - მოხდა ის, რაც ასეთ მმართველობას მოსდევს ყველა ქვეყანაში: უსაქმურობამ აჭარის რეგიონის ახალგაზრდობა, საქართველოს მასშტაბით, პირველ ადგილზე დააყენა ნარკომანიისადმი მიდრეკილებით.

ამას ეძახიან აღმშენებლობას აჭარაში და მის დედაქალაქში ასლან აბაშიძის გონებაშეზღუდული მომხრეები, მონები. ეს მოუტანა საქართველოს ყველა რეგიონს შევარდნაძემ და მისმა რეჟიმმა. შევარდნაძე მიხვდა (ანდა, იქნებ ვერც მიხვდა) თავის დანაშაულს და გადადგა. იგი "სახლში" წავიდა მემუარების დასაწერად. აბაშიძეც უნდა მიხვდეს აჭარელი მოსახლეობის წინაშე ჩადენილ თავის შეცდომებს და მშვიდობიანად გადადგეს. ეს იქნება "ვარდების რევოლუციის" გაგრძელება, რადგან გაზაფხული კარზეა მომდგარი...

## ჭადრაკი

# ყაიმების გვალვა დამთავრდა

ლინარესის მე-20 კატეგორიის სუპერტურნირის მეექვსე ტურმა საკუთარ თავში ჭეშმარიტად ისტორიული ფაქტი დაიტია. კერძოდ, ერთ-ერთი დიდოსტატის გამარჯვება. ამჯერად თავისი გვარი ალექსეი შიროვმა ჩაწერა ისტორიაში. მან ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ვუნდერკინდი ტეიმურ რაჯაბოვი დაამარცხა.

ყაიმების ეპიდემიამ ლინარესის ტურნირის მეხუთე ტურში აპოგეას მიაღწია. დაძაბული ბრძოლის მიუხედავად, კვირას მორიგი სამი პარტია ყაიმით დასრულდა და ტურნირზე ფრეების საერთო რაოდენობა 14-მდე გაზარდა. მრავალრიცხოვან ქომაგთა მოლოდინი არ გაამართლა მატჩმა, რომელშიც მსოფლიო რეიტინგის მიხედვით ორი მოწინავე ხვდებოდა ერთმანეთს. ალბათ, მიხვდით, რომ საუბარია გარი კასპაროვსა და ვლადიმირ კრამნიკზე.

კასპაროვმა უარყო კრამნიკის წინადადება, 24-ე სვლაზე მშვიდობით დაესრულებინათ საქმე. "თამაში კიდევ მინდოდაო", – მატჩის შემდეგ განაცხადა კასპაროვმა. ამ დროისთვის მსოფლიოს პირველი ნომერი პარტიის მსვლელობისას მცირე უპირატესობას ფლობდა. თუმცა, თეთრი ფიგურებით მოასპარეზე კასპაროვმა 39-ე სვლაზე ოდნავ შესამჩნევი შეცდომა დაუშვა, რამაც ხუთი სვლის შემდეგ ის აიძულა, ყაიმზე დათანხმებულიყო.

ყაიმით დასრულდა ტურის სხვა ორი შეხვედრაც. მწვავე ცაიტნოტის გამო ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა შავი ფიგურებით ვერ შეძლო უნგრელი ლეკოს დამარცხება. ტეიმურ რაჯაბოვმა კი, რომელმაც უაღრესად აგრესიულად ითამაშა და მატჩის ბოლოს გამარჯვების კარგი შანსიც მოიპოვა, საბოლოოდ ყაიმით დაასრულა შეხვედრა ესპანელ ვალიეხოსთან.




კასპაროვმა და კრამნიკმა ფრედ ითამაშეს

ოთხშაბათს, ერთდღიანი შესვენების შემდეგ, პირველ და მეორე წრეებს შორის, მეექვსე ტურის მატჩები გაიმართა. ტურის ცენტრალური შეხვედრა გარი კასპაროვსა და ვესელინ ტოპალოვს შორის გაიმართა. მატჩმა თავისი შეუპოვრობით კინაღამ წერტილი დაუსვა ლინარესში გამეფებულ მშვიდობიან პროცესს, რომელმაც, სიმართლე რომ ითქვას, საგრძნობლად გადაღალა როგორც ტურნირის ორგანიზატორები, ისე მაყურებელიც.

კასპაროვმა მოიგერია ბულგარელის სადებიუტო ზეწოლა და თავად გადავიდა შეტევაზე, რომელმაც კინაღამ ბოლო მოუღო ტოპალოვის იმედსა და ამბიციებს. საფრთხე მომდინარეობდა c1-ზე დისლოცირებული ეტლისგან, რომელსაც ხელსაყრელ პირობებში თეთრი მეფისთვის შამათის ჩასმა შეეძლო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბულგარელმა გადაწყვიტა, თავისი მთავარი ფიგურა ბრძოლიდან გაეყვანა, მხარეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ასევე დასრულდა პარტია ვალიეხოსა და უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს შორის. აქ ყაიმი 25-ე სვლაზე დაფიქსირდა. დღის და მთლიანად ტურნირის ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ესპანელ ალექსეი შიროვსა და აზერბაიჯანელ ტეიმურ რაჯაბოვს შორის გაიმართა. საბედნიეროდ, ის შედეგიანი აღმოჩნდა. 66-ე სვლაზე შიროვმა მოახერხა და თავის განკარგულებაში მყოფი დედოფლითა და ორი პაიკით შეძლო, ფარხმალი დაეყრევინებინა რაჯაბოვისთვის, რომელსაც ამ დროს ორი ეტლი ჰყავდა. ამით შიროვი სატურნირო ცხრილში ლიდერ ლეკოს დაეწია. ახლა დიდოსტატებს სამ-სამი ქულა აქვთ.

## ფორმულა 1

# რჩევები უილიამსსა და რალფს

BMW-Motorsport-ის ყოფილი დირექტორი გერჰარდ ბერგერი ვარაუდობს, რომ "BMW-უილიამსის" ხელმძღვანელებმა ცოტა უნდა დაამუხრუჭონ და გუნდს ნდობისა და სიმშვიდის ატმოსფერო შეუქმნან, რადგან რალფ შუმახერისა და ფრენკ უილიამსის ბოლოდროინდელი დავა-კამათი, შესაძლოა, პილოტს ძვირი დაუჯდესო. ამ საკითხთან დაკავშირებით ბერგერს ინტერვიუ ჩამოართვეს. მას ჩვენც გთავაზობთ.

**- მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე გუნდში მღელვარებაა?**

- რალფთან დაკავშირებულ საკონტრაქტო ისტორიაში "უილიამსის" ქმედება პილოტს თავისთავად სინანულის, არასტაბილურობის გრძნობას უტოვებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მუშაობაშიც ხელშემშლელია.

**- რამდენად შესაძლებელია, რომ "სამილიონო" დავამ რალფისა "უილიამსის" ბოსებთან მისთვის ჩემპიონატში ასპარეზობაზე მოახდინოს გავლენა?**

- ბევრჯერ მინახავს, რომ გარეშე ფაქტორებს ჩემპიონატზე მოუხდენია გავლენა. იმედს ვიტოვებ, რალფი და "უილიამსი" გამოსავალს მიაგნებენ, რადგან მილიონებისთვის ომი, შესაძლოა, რალფს ტიტულად დაუჯდეს.

**- რალფი ამბობდა, უილიამსს მოველაპარაკე, მან კი პირობა დაარღვიაო...**

- ფორმულა 1-ში ღირსების კოდექსი არ არსებობს. ძალზე ცდება, ვისაც ეს არ ესმის. უილიამსი ბიზნესის საკითხებში დაუნდობელია. მას ყოველთვის მკაცრი პოზიცია უკავია.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის ძალზე სასიამოვნო ბოსია...**

- პილოტები, რომლებსაც თბილი, მეგობრული ურთიერთობა სჭირდებათ, ფრენკთან არ ყოვნდებიან. იმისთვის, რომ მასთან იმუშაო, ფსიქოლოგიურად ძლიერი უნდა იყო და არამც და არამც მგრძნობიარე.

**- საკმარისად ძლიერია თუ არა რალფი?**

- რალფს აუცილებლად ესაჭიროება ოჯახური მყუდროება, მაგრამ არა მგონია, რომ ფრენკთან ფსიქოლოგიურად გატყდეს, ისევე როგორც ეს ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის შემთხვევაში იყო.

**- "უილიამსი" რალფს 2005 წელს დაშორდება?**

- "უილიამსს" რამდენიმე პილოტისთვის აქამდეც არაერთხელ მიუთითებია კარისკენ. მეჩვენება, რომ არც ერთ მხარეს ჯერ კიდევ არა აქვს გადაწყვეტილი, ღირს თუ არა ისევ ერთად მუშაობა. ამ შემთხვევაში მარტო ფულზე არ არის საუბარი. პირადად მე რალფს არასდროს გავაგდებდი!



# ლუსტრაცია: ისტორიული სამართლიანობა თუ შენელებული ნაღმის ეფექტი

*"შეირთავ - ინანებ, არ შეირთავ - მაინც ინანებ" - თავიდანვე ეს ძველი ქალაქური ოხუნჯობა გვახსენდება ისეთი სერიოზული საკითხის განხილვისას, რასაც "კგბ"-ს არქივების გასაიდუმლოება და სპეცსამსახურების ფარული შემადგენლობის ლუსტრაცია წარმოადგენს.*
*"ისტორიის გასაიდუმლოება დიდი სისულელეა" - საქართველოს პრეზიდენტის ამ აზრს, ალბათ, ყველა დაეთანხმება. თუმცა, ამავე დროს უფრო დიდი სისულელე არ უნდა ჩავიდინოთ სახელმწიფო საიდუმლოებების დაუფიქრებელი გამჟღავნებით ან საზოგადოებაში ახალი დაპირისპირების პროვოცირებით. მხოლოდ ახალგაზრდულ ემოციებზე დაყრდნობით არ შეიძლება ამ სოციალურ-პოლიტიკურად და ზნეობრივად ურთულესი საკითხის გადაჭრა. სავსებით მოსალოდნელია, რომ ლუსტრაციის პროცესის ნაჩქარევად დაწყება კარგად გამოიყენონ ჩვენმა მტრებმა.*
*ამ საკითხების გადაწყვეტისას, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილებაც გვიჩვენებს, ძალზე ბევრ "წყალქვეშა რიფებს" შეიძლება წავაწყდეთ და ჩვენი "ისტორიული სამართლიანობის ხომალდი" რომ არ ჩაგვეძიროს, ჯერ უნდა განისაზღვროს, რა მიზნის მიღწევა გვინდა და შემდეგ დავსახოთ კონკრეტული, კარგად გააზრებული პოლიტიკა.*

ოპერატიული მუშაობა რთული პროცესია და მრავალ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ასევე რთულია მისი "დოკუმენტირება". ოპერატიული დამუშავების საქმე ამობრუნებულ პირამიდას წააგავს, რომელიც შეიძლება ერთი ანონიმური წერილით ("სიგნალით") იწყებოდეს და თანდათან იზრდებოდეს. ამ საქმიდან თუნდაც ერთი დოკუმენტის ამოღება თავდაყირა დააყენებს ისტორიულ ფაქტს და სიმართლეს.

### ლუსტრაციის უარყოფითი მხარე

1930-იან წლებში "ნკვდ"-ს შეეძლო, წამების შედეგად ნებისმიერი პიროვნება აეძულებინა, ნებისმიერ დოკუმენტზე მოეწერა ხელი, მათ შორის "ნებაყოფლობითი" თანამშრომლობის ხელწერილზე, მიეცა ოპერატიული ფსევდონიმი, საქმეში ჩაეკრა ამ ვითომდა აგენტისგან "ნებაყოფლობ-ით" დაწერილი ცნობა და ა.შ.

საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მოქალაქეების სხვადასხვა ოპერატიულ "თამაშებში" ჩაბმა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც არაყზე რიგები რუსეთში.

1920-1950-იან წლებში ამას "ხალხის მტრების" წინააღმდეგ ბრძოლას ეძახდნენ, ხოლო 1960-1990-იან წლებში "უცხოეთის მტრული იდეოლოგიის შემოტევისგან" ქვეყნის დაცვას. ხშირად "კგბ" თვითონ ქმნიდა კონსპირაციულ ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებს ეროვნული დამოუკიდებლობის, პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნების "შირმით", ახდენთა მოქალაქეთა პროვოცირებას "დისიდენტურ" პროცესებში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ კი "ხაფანგი" დაიხურებოდა და ყველა (ხანდახან მათ შორის იქ "ჩანერგილი" აგენტებიც) ციმბირში აღმოჩნდებოდნენ (აგენტები იქ უკვე "ნასედკების" ფუნქციას ასრულებდნენ). ამ ქმედებებს "ანდროპოვის შეგირდები", რატომლაც, "პროფილაქტიკურ ღონისძიებებს" ეძახდნენ.

ამ აგენტების გაშიფვრით ჩვენ მხოლოდ საზოგადოებრივ დაპირისპირებას გავაღვივებთ, რადგანაც მათ სისხლის სამართლის დევნას ვერ მოვახერხებთ. ისინი მაშინ არსებული ქვეყნის კანონებით მოქმედებდნენ.

რაც შეეხება ისტორიულ სიმართლეს. სპეცსამსახურების არქივების (კართოტეკების და აგენტთა ანკეტური ბარათების) დღევანდელი მდგომარეობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, იმდენად სავალალოა, რომ ვერავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ რაიმე დოკუმენტი ამოიღეს ან პირიქით, ხომ არ "შეაცურეს". ამიტომ ვინმეს ბაბუის ან ბაბუის-ბაბუის "ნკვდ"-"კგბ"-სთან თანამშრომლობის რაიმე დოკუმენტის (რომლის ნამდვილობას ვერც ერთი მხარე ვერ დაამტკიცებს და ვერც უარყოფს) ჰაერში აფრიალება, საზოგადოების ერთიანობას და სიმშვიდეს ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს. გვაქვს კი ჩვენ უფლება, განვსაჯოთ ისინი და ახალი სულიერი ტკივილი მივაყენოთ მათ შთამომავლებს?

ამ დაძაბულობას და ქაოსს, ჩვენი მოქალაქეების შანტაჟისათვის ან მათთვის არასასურველი, ნამდვილი პატრიოტი პიროვნებების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ასამხედრებლად უმალ გამოიყენებენ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები.

### ლუსტრაციის დადებითი მხარე

არქივების გახსნის და საიდუმლო ინფორმაციის განსაიდუმლოების დადებითი მომენტია ის, რომ მართლაც გაირკვეს ისტორიული სიმართლე, არ დამახინჯდეს ფაქტების შეფასება და მოვახდინოთ 1990 წლის ბოლოდან - დღემდე, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედი ყოფილი და ამჟამინდელი აგენტების ლუსტრაცია. თანაც ამას "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის 14-ე მუხლი პირდაპირ ითხოვს, კერძოდ: ინფორმაციის განსაიდუმლოების ვადა დამოკიდებულია მისი საიდუმლოების ხარისხზე. "განსაკუთრებული მნიშვნელობის" ინფორმაციისათვის იგი შეადგენს არა უმეტეს 20 წელს, "სრულიად საიდუმლო"-სთვის არა უმეტეს 10 წელს და "საიდუმლო"-სთვის არა უმეტეს 5 წელს. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს გააგრძელოს გასაიდუმლოების ვადა, რასაც წინა ორი პრეზიდენტი აქტიურად იყენებდა.

თუ არქივებში არსებული მასალებით იკვეთება ჩვენი მოქალაქეების თანამშრომლობა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობის პერიოდში, მაშინ რას აკეთებს ჩვენი უშიშროება და რატომ არ იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს? ამიტომ, მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის არქივების განსაიდუმლოება მეცნიერების და უშუალოდ რეპრესირებულთა (აგრეთვე მათი ოჯახის წევრების) ინტერესთა სფეროშია, ხოლო ძველი აგენტურის სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების სასარგებლოდ ამჟამად მუშაობის შემთხვევები კი უკვე ჩვენი კონტრდაზვერვის "გასამარგლი ბოსტანია."

### რა უნდა გავითვალისწინოთ ლუსტრაციის პროცესში?

სპეცსამსახურების არქივების განსაიდუმლეობის შემთხვევაში აუცილებელი იქნება მთელი რიგი წინმსწრები ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

- არსებული საკანონმდებლო ბაზის(კერძოდ საქართველოს კანონების "სახელმწიფო საიდუმლეობის შესახებ" და "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ") სრულყოფა.

ამჟამად დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროების და მართლწესრიგის დაცვის სფეროში სახელმწიფო საიდუმლებათა ნუსხას მიეკუთვნება ამ უწყებათა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემები და დოკუმენტები. მათ მიერ ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია. აგრეთვე ცნობები და მონაცემები იმ პირთა თაობაზე, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ამ უწყებებთან.

- საზოგადოებაში უნდა ჩატარდეს დაწვრილებითი ახსნა-განმარტებითი სამუშაო იმდროინდელი "ნკვდ-ს" და "კგბ-ს" საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდებისა შესახებ;
- სპეცსამსახურების არქივების განსაიდუმლეობისათვის უნდა შეიქმნას შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც არსებული კანონის საფუძველზე მოახდენს საიდუმლეობის გრიფის მოხსნას ან დატოვებას (მსგავს პროცესში დაშვებული შეცდომის გამო 2001 წელს აშშ-ში "ღია წყაროებში" "გაეპარათ" 175 ერთეული საიდუმლო დოკუმენტი 318 გვერდზე);
- გარდა ამისა, აუცილებელი იქნება დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს განსაიდუმლოებული დოკუმენტაციის გაცემის წესი.

# "მიტროხინის არქივი"

ჭეშმარიტებაა, რომ სპეცსამსახურში სახელმწიფო საიდუმლოებაზე ხელი დამლაგებელსაც კი მიუწვდება. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ საარქივო განყოფილების უფროსზე, თუნდაც უკვე პენსიონერზე?

ვასილი მიტროხინი, "კგბ"-ს პოლკოვნიკი, 1972-1984 წლებში ამ სპეცსამსახურის საარქივო განყოფილების უფროსი იყო. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ჩუმად და წყნარად გავიდა პენსიაზე და მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა საბაღე ნაკვეთზე თავისთვის ფუსფუსებდა.

არავინ ელოდა, რომ მიტროხინი კარტოფილის და პომიდორის მოსავალთან ერთად რამდენიმე წელში სხვა, გაცილებით ძვირფას "მოსავალსაც" აიღებდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისების გამომწვევი მიზეზი გახდებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ არქივის უფროსი წლების მანძილზე ხელით იწერდა "კგბ"-ს სხვადასხვა საიდუმლო დოკუმენტებს, მალავდა წინდებში და საცვალში, ასე გამოჰქონდა "ლუბიანკიდან" და შემდეგ აგარაკზე, მიწაში ფლავდა. გორბაჩოვის "პერესტროიკამ" და 1991 წელს საბჭოთა კავშირში განვითარებულმა მოვლენებმა მიტროხინს მშვენიერი "ამინდი შეუქმნა" ყველაზე ძვირფასი "მოსავლის" ასაღებად და მან "კგბ"-ს აგენტურის კართოტეკის მყიდველთა ძებნა დაიწყო. წინდახედული პოლკოვნიკი ლატვიის დედაქალაქში ჩავიდა და იქ აშშ-ის საელჩოში ცსს-ს რეზიდენტთან შეხვედრა მოითხოვა. ამერიკელმა მზვერავებმა ჩვეულებისამებრ ქედმაღლურად მიიღეს "კგბ"-ს პენსიონერი, ხოლო მიწაში ჩაფლული არქივების ამბავი სასაცილოდაც არ ეყოთ.

ამერიკელებისაგან გაწბილებული მიტროხინი შორს აღარ წასულა და იქვე რიგაში ბრიტანელებს მიადგა. ჯეიმს ბონდის თანამემამულეებმა ყურადღებით მოუსმინეს მოხუცს, შოტლანდიური ვისკიც დაალევინეს და 1992 წელს ინგლისში პოლიტიკური თავშესაფარიც გაუხერხეს. მაგრამ მთავარი - "კგბ"-ს არქივების ნაწილი კვლავ მოსკოვთან ახლოს, მიწაში ღრმად ჩაფლული რჩებოდა. მი-6-მა ოპერაციაში მოსკოვის რეზიდენტურა ჩართო და მალევე არქივები უკვე ლონდონში იყო.

მიტროხინის "დოსიეს" გაშიფვრის პარალელურად იზრდებოდა ბრიტანელების გაოცება "კგბ"-ს მიერ დაგეგმილი ოპერაციების მასშტაბების და მისი აგენტურის დიდი შესაძლებლობების გამო. თავად განსაჯეთ: 1970-იანი წლების ბოლოს "კგბ" გეგმავდა პოლონელი კარდინალის კაროლ ვოიტილას (შემდგომში რომის პაპი იოან პავლე II) დისკრედიტირებას.

მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავე რუდოლფ ნურიევი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გაიქცა და საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ისე უნდა ეცემათ, რომ მას სცენაზე გამოსვლა ველარასოდეს შეძლებოდა.

"კაგებეს" მიერ აშშ-ს ტერიტორიაზე იგეგმებოდა მთელი რიგი აქტიური ღონისძიებები თეთრ და შავკანიან მოსახლეობაში რასობრივი დაპირისპირების გასაღვივებლად.



ვასილ მიტროხინი



ინგლისელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია "კგბ"-ს მიერ ჩრდილოეთ ირლანდიელი ტერორისტებისათვის (ე. წ. "ირა"-სთვის) თანამედროვე შეიარაღების მიწოდების შესახებ.

"მიტროხინის დოსიემ" ბევრი აგენტი გამოააშკარავა, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ათწლეულების მანძილზე აქტიურად მოქმედებდნენ და "კგბ"-ს აწვდიდნენ ინფორმაციას. მათ შორის იყვნენ: ფელიქს ბლოხი - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი მოხელე; იტალიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფრანჩესკო დე მარენო; ევროპარლამენტის დეპუტატი იან გავრონსკი; ცნობილი იტალიელი ჟურნალისტები, პარლამენტის აპარატის თანამშრომლები, იტალიის შსს-ს მაღალჩინოსნები და ა. შ.

მიტროხინის არქივებში სულ 260 იტალიელის გვარი იყო აღნიშნული, ბუნებრივია, ეს ადამიანები კატეგორიულად უარყოფენ "კგბ"-სთან თანამშრომლობის ფაქტს. ამ ფონზე საზოგადოებრივი დაპირისპირება იტალიაში ძალზე გაიზარდა. ამიტომ იტალიის პარლამენტში, პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის წინადადებით, სპეციალური საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რომელმაც "მიტროხინის დოსიე" დაწვრილებით უნდა შეისწავლოს და სიმართლე დაადგინოს.

ამ სენსაციების "შემოქმედი" ვასილი მიტროხინი კი 2004 წლის იანვრის ბოლოს 81 წლის ასაკში წყნარად გარდაიცვალა ლონდონში.

# სპეცსამსახურების არქივების მოზაიკა

### დიდი ბრიტანეთი

1998 წელს დიდ ბრიტანეთში შეიქმნა სპეციალური ტრიბუნალი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს სპეცსამსახურის არქივებში დაცული დოსიეების მოქალაქეებისათვის გაცნობის შესახებ. წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ ბრიტანეთის კონტრდაზვერვას (მი-5) მილიონამდე მოქალაქის დოსიე აქვს, რომლებიც, ძირითადად, "ცივი ომის" პერიოდშია შედგენილი. ბრიტანეთში 1984 წლიდან მოქმედი "ინფორმაციის დაცვის" კანონის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ, გაეცნონ მათზე შედგენილ დოსიეებს - სპეცსამსახურის არქივებში არსებული დოკუმენტაციების გარდა.

მთავრობის ახალი გადაწყვეტილებით კი, სპეცტრიბუნალებს ამის უფლებაც ექნებათ. ბრიტანეთის პარლამენტის უშიშროებისა და დაზვერვის კომიტეტის ზოგიერთი წევრის აზრით, სპეცსამსახურების საიდუმლო ინფორმატორების შესახებ ინფორმაცია კვლავ საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ხოლო ის დოსიეები, რომელთაც ოპერატიული მნიშვნელობა უკვე დაკარგეს და მხოლოდ ისტორიულ ღირებულებასღა წარმოადგენენ, მხოლოდ მათში დასახელებული პირების (ან მათი ოჯახის წევრების) მოთხოვნის შემთხვევაში უნდა "გაიხსნას".

### გერმანია - ბრძოლა "შტაზის" არქივებისთვის.

სპეცსამსახურების არქივების შესახებ არსებულ მრავალ საინტერესო ისტორიაში, მაინც გამორჩეულია ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს ("შტაზის") არქივების გაუჩინარების ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული ფაქტი.

არსებული ინფორმაციით, აშშ-ს ცსს-მ, გათვალა რა აღმოსავლეთ გერმანიის მოსალოდნელი კრახი, დაგეგმა და განახორციელა ოპერაცია კოდური სახელწოდებით "როზენჰოლცი". არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი მკითხველი, ვინც ტელევიზიით თვალს ვადევნებდით 1990 წელს ბერლინის ქუჩებში მიმდინარე მრავალათასიან აქციას და შემდეგ ეგზალტირებული დემონსტრანტების მიერ მათთვის საძულველი უშიშროების სამინისტროს დარბევას, ამერიკის დაზვერვის ამ ოპერაციის თვითმხილველები გავხდით.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაირკვა, რომ სამუშაო კაბინეტებში შეჭრის, სეიფების დამტვრევის და დოკუმენტაციის დაწვის პარალელურად, დემონსტრანტებში შერეულმა ცსს-ს აგენტებმა შეძლეს გდრ-ის უშიშროების სამინისტროს საიდუმლო არქივების და აგენტურული კართოტეკის კომპიუტერული ვარიანტების (ვერსიების) ხელში ჩაგდება. ამჟამად ცსს-ს შტაბბინაში (ლენგლი) ინახება "შტაზის" არქივებიდან გამოტანილი 500 ათასზე მეტი სააღრიცხვო ბარათი.

2000 წელს აშშ-ს ცსს-მ გერმანიის ფედერალური კანცლერის კაბინეტს გადასცა რამდენიმე ლაზერული კომპიუტერული დისკი, სადაც რამდენიმე ათას ფაილზე ჩაწერილი იყო "შტაზის" აგენტურული კართოტეკის ძირითადი ოპერაციები დასავლეთ გერმანიის და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, აგენტთა გვარები, ოპერატიული ფსევდონიმები, ბიოგრაფიული და სხვა მონაცემები. ამ ინფორმაციის გაშიფვრისათვის კი საჭიროა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა და საკმაოდ ბევრი დრო.

გერმანიის ხელისუფლებამ სახელმწიფო ღალატისათვის 20 წლიანი პატიმრობა განსაზღვრა. აშშ-სა და გერმანიის ხელისუფლება ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან "შტაზის" არქივების ბედზე. გერმანიის მხარე მოითხოვს არქივების მთელი მოცულობის უპირობო გადაცემას, ხოლო ამერიკელები თანახმა არიან მხოლოდ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედი აგენტების დოსიეების გადაცემაზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ ყოფილი "შტაზის" ხელმძღვანელები (ერიხ მირკე და მარკუს ვოლფი), სხვა მაღალჩინოსნები და ზოგიერთი აგენტი გაასამართლეს და "ძველი ცოდვებისათვის" სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, 1995 წლის 23 მაისს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ არა მარტო გაამართლა ისინი, არამედ მეტად საყურადღებო (მათ შორის ჩვენთვისაც) გადაწყვეტილებაც მიიღო - ყოფილი გდრ-ის სპეცსამსახურის თანამშრომლების გასამართლება "სამშობლოს ღალატის" მუხლით აიკრძალა, რადგანაც ისინი იმ დროს არსებული ქვეყნის კანონებით მოქმედებდნენ.

"შტაზის" არქივი, როგორც ნელი მოქმედების "ნაღმი", ხან რომელ ქვეყანაში "აფეთქდება" და ხან რომელში.

2002 წლის დასაწყისში ფინეთში გამოააშკარავეს 10 ფინელი, რომლებიც "შტაზის" აგენტები იყვნენ. მათი ნაწილი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში სწავლის დროს გადაიბირეს. ამჟამად, ყოფილი აგენტები ცნობილი პოლიტიკოსები, მეცნიერები და ბიზნესმენები არიან. ფინეთის ხელისუფლება სწავლობს საკითხს ამ პიროვნებების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზანშეწონილობის შესახებ.

### პოლონეთი

2001 წლის გაზაფხულზე პოლონეთის "ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის" და მისი ფილიალების (რომელსაც კანონის მიხედვით გადაეცათ პოლონეთის სპეცსამსახურების არქივები) წინ დიდი რიგები შეინიშნებოდა. ვის არ ნახავდით მომლოდინე ადამიანთა შორის - მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, პარლამენტის წევრებსა და მინისტრებს. ყველა მოთმინებით ელოდა იმ წუთს, როცა მათზე შედგენილი დოსიეების გაცნობის საშუალება მიეცემოდათ. მიუხედავად იმისა, რომ 1989 წელს პოლონეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეძლო არქივების ნაწილის განადგურება, ინფორმაციის დიდი მოცულობა მაინც გადარჩა. საზოგადოებაში დაპირისპირების და პირადი ანგარიშსწორების თავიდან ასაცილებლად დოსიეებში წაშლილი იყო სპეცსამსახურის აგენტებისა და ინფორმატორების გვარები და ოპერატიული ფსევდონიმები. საიდუმლოდ დარჩა ასევე იმ აგენტების ვინაობაც, რომლებიც კვლავ პოლონეთის სპეცსამსახურებზე აგრძელებენ მუშაობას.

### რუმინეთი

რუმინეთის უშიშროების სამსახური ("სეკურიტატე") ათწლეულების მანძილზე შიშის ზარს სცემდა ამ ქვეყნის მოქალაქეებს. არსებული ინფორმაციით, 1989 წელს "სეკურიტატე"-ში ოფიციალურად 15 ათასი კაცი მსახურობდა, რომლებიც ფარულ თანამშრომლებთან ერთად 1,3 მლნ რუმინელის ოპერატიულ შესწავლას აწარმოებდნენ. 1999 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურა - "სეკურიტატეს" არქივების შემსწავლელი ეროვნული კოლეჯი", რომლის ძირითადი ფუნქციაა არქივებში არსებული დოსიეების "გახსნა". "კოლეჯის" ხელმძღვანელებს სურდათ "სეკურიტატეს" იმ ოფიცრების გვარების გამოქვეყნება, რომლებიც რუმინელ დისიდენტებზე "მუშაობდნენ". მაგრამ საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ მკაცრად არეგულირებს არქივებში არსებული ოპერატიული ინფორმაციის გამოქვეყნებას. კერძოდ კი, მათ "დღის სინათლის" ნახვა მხოლოდ დოკუმენტის შედგენიდან 30-40 წლის შემდეგ შეუძლიათ.

### ლატვია

ლატვიაში "კგბ"-ს არქივების შესასწავლად შექმნილია "ტოტალიტარიზმის შედეგების დოკუმენტაციის ცენტრი". ამ ქვეყანაში 1994 წლიდან მოქმედი კანონის მიხედვით "კგბ"-ს შტატიან და ფარულ თანამშრომლებს ათი წლის მანძილზე ეკრძალებათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, სახელმწიფო სამსახური, მათ შორის უპირველესად სამართალდამცავ უწყებებში. ის დეპუტატი, რომელსაც წარსულში "კგბ"-სთან ფარული თანამშრომლობის ფაქტი დაუდასტურდება, პარლამენტის წევრობას უნდა დაემშვიდობოს. ზოგიერთი პოლიტიკოსი სამართლიანად მიიჩნევს, რომ "კგბ" ინფორმაციას ნამდვილ აგენტებზე არქივებში არ დატოვებდა.

2004 წლის 3 ივნისს იწურება ყოფილი საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლების უფლებების შეზღუდვის ათი წელი, ლატვიის სეიმში კი უკვე მზადდება კანონპროექტი ამ შეზღუდვების კიდევ 10 წლით გაგრძელების თაობაზე. ამ საკითხების გამო საზოგადოებაში დაპირისპირება ღრმავდება.

### ესტონეთი

ესტონეთში დამოუკიდებლობის მიღებიდან სულ მალე მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა პირს, რომელიც "კგბ"-სთან რაიმე ფორმით თანამშრომლობდა, ათი წლის ვადაში უნდა განეცხადებინა ამის შესახებ ესტონეთის უშიშროების პოლიციაში. სახელმწიფო, თავის მხრივ, ამ ფაქტის საიდუმლოდ შენახვის გარანტიას იძლეოდა. გარდა ამისა, 1994 წლიდან მოქმედებს კანონი, რომელიც საბჭოთა სპეცსამსახურების ყველა იმ თანამშრომელს, რომლებიც დაბადებიდან არ არიან ესტონეთის მოქალაქეები, უკრძალავს სახელმწიფო სამსახურს, თუმცა მათ არჩევით საკანონმდებლო ორგანოებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

ესტონეთის ყოფილი "კგბ"-ს არქივებიდან ამჟამად მხოლოდ ნაწილის ასლებიღაა დარჩენილი, რადგანაც"კგბ"-ს არქივი ადრევე გაიტანეს რუსეთში.

### რუსეთი

რუსეთში 1990-იანი წლების დასაწყისში ადგილი ჰქონდა სპეცსამსახურების არქივებიდან საიდუმლო დოკუმენტაციის "გაჟონვის" ფაქტებს. იმ პერიოდში მასმედიაში დასახელდა ცნობილი პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების, საეკლესიო პირების გვარები, რომელთაც საბჭოთა სპეცსამსახურებთან ფარულ თანამშომლობაში სდებდნენ ბრალს. ამ მოვლენებს რუსეთის ოფიციალური სტრუქტურებისგან არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ საზოგადოება დაიყო ორ დაპირისპირებულ ჯგუფად - "აგენტებად" და "რეპრესირებულებად". პროცესები უმართავი რომ არ გამხდარიყო რუსეთის "ფსბ"-მ მოვლენებს დაასწრო და ოდნავ "ასწია" სპეცსამსახურების არქივების "მძიმე ფარდა" - 1995 წლიდან დაიწყო განსაიდუმლებული დოკუმენტების და მათი კომენტარების მრავალტომიანი კრებულების სახით გამოცემა. თუმცა, იმედები მალევე გაცრუვდა- 700-700 გვერდიან ტომებში კვლავ ძველი, ძილის წინ წასაკითხი და ათასჯერ მოყოლილი საბჭოთა "ზღაპრები" აღმოჩნდა. ბოლო დროს რუსული, პირველ რიგში, ამ ქვეყნის სპეცსამსახურებთან დაახლოებული საინფორმაციო საშუალებები, პირდაპირ აცხადებენ, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების "კგბ"-ს არქივები (ბუნებრივია უპირველესად ოპერატიული აღრიცხვის საქმეები, აგენტურისა და ფარული თანამშრომლების კართოტეკები) წინასწარ გაიტანეს რუსეთის ტერიტორიაზე.

თუმცა, როგორც ირკვევა, რუსეთის სპეცსამსახურების ხელშია ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური ქვეყნის საიდუმლო არქივებიც. ჩეხეთის მასმედიის ცნობით, 1990 წელს საბჭოთა "კგბ"-მ იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიიდან გაიტანა უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ მონაცემთა ბაზის დიდი ნაწილი, მათ შორის საიდუმლო ინფორმაცია ამ ქვეყნის 30 ათას მოქალაქეზე.

გვერდი მოამზადა გიორგი აბესაძემ
დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დარეკოს: 20 00 24

# კვირის პროგრამა



## ორშაბათი 1.03

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.30 სერიალი "მაშველები" 17.30 პერეკროსტოკი 18.20 "ტელელიპუტები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "ჯაშუში" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "დამიჭირე თუ შეგიძლია". მთ. რ-ში: ტომ ჰენკსი, ლეონარდო დი კაპრიო.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 16.45 ოქროს მართვე 17.15 რამპა 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-ლი ს. 19.00 მრავალჟამიერ 19.25 "იმღერე რამე" 20.00, 23.00 მოამბე 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.10 "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (სტივენ სპილბერგი) 23.30 მხ. ფილმი "ლედი კაროლინა ლემი"

### პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "ჩემი ბიჭი". მთ.რ-ში ჰიუ გრანტი, ტონ კოლეტი. 01.40 "ღამურა" 03.00 პაუზის გარეშე

### მზე

09.00 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 10.00 სერიალი "მისი სულის მუსიკა" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" 19.00 სერიალი "მისი სულის მუსიკა" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "პარკში ფეხშიშველი" (რობერტ რედფორდი) 23.00 მხ. ფილმი "ხილვებზე მონადირენი" (მორგან ფრიმანი)

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.35 კინოსეანსი "სანუკვარი ოცნებები" 21.15 ხელოვნების სცენარები 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" მე-2ს.

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი "განკიცხული" 15.00 მხ. ფილმი "ნიღაბი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მანაწნალა ძაღლი მორგანი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "40 დღე და 40 ღამე" 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.05 მხ. ფილმი 10.20 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 დოკ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 21.00 დოკ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.25 რუს. სერიალი "დიდი შესვენება" 1-ლი ს. 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50, 17.50, 20.15 მუსიკა 12.10 ქართ. ფილმი "მაცი ხვიტია" 13.40 "ზელისიმო" 14.15 "ოლიმპი" 14.50 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.20 მხ. ფილმი "მეგრე" მე-4ს. 17.00 მხ. სერიალი "ჯონ როსი" მე-11 ს. 18.00 მულტფილმი "კონკია" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ინდიგოს მიწა" მე-12ს. 20.00 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 ღამის მატარებელი - რამაზ ჩხიკვაძე 01.00 მხ.ფილმი "კენგურუ ჯეკი" (ენტონი ანდერსონი)

### იმედი

07.00, 12.00, 13.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 17.20, 02.05 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის"დილა 10.10 "დროება" 11.30 "ერთხელ ჰოლივუდში" 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 "ლარის მახე" 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 ქრონიკა 14.05 სერიალი "კლონი" 15.15 მხ. ფილმი "ურჩხულთა მეჯლისი" 17.25 ჩ -კლუზივი 18.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 19.00, 21.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 სერიალი "ნეშ ბრიჯისი" 21.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 22.50 "ოსკარის" დაჯილდოვების 76-ე ცერემონიალი 00.50 სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

### არხი

08.00 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "კუპერის მთა" 09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მხ. ფილმი "მკურნალი ადამსი" 11.20 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ.გამ. "დღეს" 12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" 12.20 თრილერი "ბუნდოველი წმინდანები" 14.20 კომედია "მაფიის ცოლი" 15.05 მუსიკა 16.20 მულტფილმი "ნინძები" 17.30 მხ. ფილმი "მფრინავ გუსართა ესკადრონი" 1 ს. 19.30 მხ. ფილმი "რომაელი ცენტურიონის ჯვარი" 21.50 მუსიკა 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 მუსიკა 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მელოდრამა "გონება და გრძნობები" 03.10, 05.35 მუსიკა 03.30 მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე"

### ОРТ

07.00 "Доброе утро!" 09.45 Выборы-2004 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 **Худ.фильм "Чикаго"** 12.20 "Ералаш" 12.40 "Следствие ведет Колобков" 13.20 **Мелодрама "Влюблен по собственному желанию"** 15.00 Шоу "Город женщин" 16.20 **Сериал "Берег мечты"** 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Выборы-2004" 19.30 **Худ.фильм "Фаворит"** 22.00 "Время" 22.30 **Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5"** 23.30 Церемония вручения "Оскар-2004" 01.20 "Искатели". "Граф-поджигатель" 01.50 "Загадочная японская душа" 02.20 **Комедия "Шансы есть"** 04.10 **Детектив "Тайная война"**

### РТР

